სიმ. ყაუხჩიშვილი

ლათინური ენის სახელმძღვანელო

II გამოცემა

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ უმაღლესი სასწავლებლებისათვის

გამომცემლობა „განათლება“
თბილისი — 1967

4А (Латин)
47÷47—87
у 369

6—6
288—67

წინასიტყვაობა

„ლათინური ენის სახელმძღვანელოს“ ეს ახალი გამოცემა უკანასკნელი (1959 წლის) გამოცემის განმეორებაა. მხოლოდ ქრესტომათიულ ნაწილს შეეხო გადამუშავება მასალის განლაგების ნაწილობრივ შეცვლისა და ახალი სავარჯიშო მასალის შეტანის მეშვეობით. მხედველობაში მივიღეთ ი. შნაიდერის მიერ ბერლინის უნივერსიტეტის სტუდენტთათვის 1955 წელს შედგენილი „Lateinisches Übungsbuch für Universitätskurse“, რომლის VIII გამოცემიდან ამოვიღეთ რამდენიმე სავარჯიშო მასალა.

სიმ. ყაუხჩიშვილი

თბილისი
1966 წლის 23 სექტემბერი

ლათინური ანბანი

ბეჭდური	სახელწოდება	ბგერ. შესატყვისობა
A a	ა	ა
B b	ბე	ბ
C c	ცე	კ, ც
D d	დე	დ
E e	ე	ე
F f	ეფ	ფ
G g	გე	გ
H h	ჰა	ჰ
I i	ი	ი
K k	კა	კ
L l	ელ	ლ
M m	ემ	მ
N n	ენ	ნ
O o	ო	ო
P p	პე	პ
Q q	კუ	კ
R r	ერ	რ
S s	ეს	ს
T t	ტე	ტ
U u	უ	უ
V v	ვე	ვ
X x	იქს	ქს
Y y	იგრეკ	ჯ, ი
Z z	ზეტ	ძ, ზ

ფონეტიკა

ანბანი

§ 1. **ლათინური ანბანი** შეიცავს სულ 24 ასოს: 18 თანხმოვანს

b c d f g h k l m n p q r s t v x z

და 6 ხმოვანს

a e i o u y.

ეს ასოები გამოყენებულია დღევანდელ ევროპულ ენებშიც (ესპანურში, ფრანგულში, ინგლისურში, იტალიურში და სხვაგან), მაგრამ, ცხადია, ყველა ენას შეფარდებული აქვს ეს ლათინური ანბანი თავის საჭიროებასთან, ასე რომ ამ ასოების დანიშნულება ყოველთვის ერთი და იგივე არ არის ყველა იმ ენაში, რომელიც ლათინურ ანბანს ხმარობს.

ლათინურში მოიპოვება როგორც მთავრული (A B C...), ისე ნუსხური (a b c...) ასოები. მთავრული ასოთი იწყება ხოლმე: 1) ახალი წინადადება (წერტილის შემდეგ); 2) საკუთარი სახელის აღმნიშვნელი სიტყვა (Romulus, Caesar, Roma, Italia, Graecia) და 3) საკუთარი სახელისაგან ნაწარმოები ზედსართავი სახელებიც (Romanus „რომაული“, Gallicus „გალიური“).

1. **C.** ანბანის ამ ასოს ლათინურში ორგვარი ბგერითი შესატყვისობა აქვს: ზოგჯერ ის იხმარება ც-ს გამოსახატავად, ზოგჯერ კიდევ კ-ს გამოსახატავად. სახელდობრ:

ა) იმ შემთხვევაში, როდესაც c-ს შემდეგ მოისმის ე ან ი, c გამოითქმის როგორც ც

cella (ცელლა) — „ოთახი“, „უჯრედი“
celer (ცელერ) — „სწრაფი“
civis (ცივის) — „მოქალაქე“
vicinus (ვიცინუს) — „მეზობელი“
cylindrus (ცილინდრუს) — „ცილინდრი“.

შენიშვნა: C გამოითქმის როგორც ც აგრეთვე ae-ს და oe-ს წინ: caedo (ცედო) — „ვეაპობ“, „ვკლავ“; coena (ცენა) — „სადილი“. შეად. ქვემოთ § 3, შენიშვნა 1.

ბ) ყველა დანარჩენ შემთხვევაში **c** გამოითქმის როგორც **კ**

caput (კაპუტ) — „თავი“
collum (კოლლუმ) — „კისერი“
factum (ფაკტუმ) — „საქმე“
decretum (დეკრეტუმ) — „დადგენილება“
accipio (აკციპიო) — „ვღებულობ“.

2. **კ** ბგერის გამოსახატავად არქაულ ლათინურს[1] **c**-ს გარდა მოეპოვებოდა კიდევ **k** და **q** ასოები, თითოეული მათგანის ხმარება განსაზღვრული იყო ცალკე წესით. მაგრამ კლასიკურმა ლათინურმა გაამარტივა **კ**-ს გადმოცემის წესი და **კ**-ს გამოსახატავად დასტოვა მხოლოდ **c**. რაც შეეხება ორ დანარჩენ ასოს:

ა) **k** დარჩა მხოლოდ რამდენსამე შემთხვევაში, მაგალითად, **kalendae** („კალანდა“, თვის დასაწყისი), **kalium** („კალიუმი“);

ბ) **q** (მთავრული **Q**) დარჩა მხოლოდ **u**-სთან ერთად. არ არის შემთხვევა, რომ **q** იხმარებოდეს **u**-ს გარეშე. ამის შესახებ საჭიროა ვიცოდეთ შემდეგი მტკიცე წესი: **qu** გამოითქმის როგორც **კვ** და ყოველთვის, როდესაც ლათინურ სიტყვაში გვესმის **კვ**, იგი იწერება უთუოდ როგორც **qu**:

aqua (აკვა) — „წყალი“
liquor (ლიკვორ) — „სითხე“
quercus (კვერკუს) — „მუხა“.

3. **F**. ამ ასოთი ლათინურში გამოხატულია ის ბგერა, რომლის შესატყვისი ქართულში არ მოგვეპოვება. მისი შესატყვისია რუსული **ф**.

ferrum (ფერრუმ) — „რკინა“
frater (ფრატერ) — „ძმა“.

4. **G**. ეს ასო გამოხატავს ყოველთვის იმასვე, რასაც ქართული **გ**:

gutta (გუტტა) — „წვეთი“.

gu — კომპლექსი, როდესაც მას მოსდევს ხმოვანი (ე. ი. **gua, guo, gui, gue**) გამოთქმაში უახლოვდება ქართულ **გვ**-ს.

lingua (ლინგვა) — „ენა“
sanguis (სანგვის) — „სისხლი“.

[1] ჩვენ ვარჩევთ: კლასიკურ ლათინურ ენას და არქაულ ლათინურს. კლასიკური ლათინურია ი ს ძ ვ ე ლ ი ლათინური, რომელსაც ჩვენ ვსწავლობთ და რომელზედაც დაწერილია ცნობილი ძეგლები რომის ლიტერატურისა, ხოლო არქაული ლათინური უ ძ ვ ე ლ ე ს ლათინურ ენას წარმოადგენს. ამ ენით არის დაწერილი უძველესი წარწერები და ზოგიერთი ლიტერატურული ძეგლიც.

5. **H (h)** გამოითქმის როგორც ქართული **ჰ**:

herba (ჰერბა) — „მცენარე“
hordeum (ჰორდეუმ) — „ქერი“
homo (ჰომო) — „ადამიანი“.

6. ხმოვანი **i** სიტყვის თავში, თუ მას მოსდევს რომელიმე ხმოვანი, ნახევარ-ხმოვნად იქცევა და მის მომდევნო ხმოვანთან ერთად შეადგენს ერთ მარცვალს, მაგალითად:

iecur (ჲეკურ) — „ღვიძლი“
iocus (ჲოკუს) — „ხუმრობა“
Iulius (ჲულიუს) — „იულიოსი“ (კაცის სახელია)
iustus (ჲუსტუს) — „სამართლიანი“ [1].

მაგრამ ბერძნულიდან ნასესხებ სიტყვებში **i** არასდროს არ გადაიქცევა ნახევარ-ხმოვნად:

iodum (იოდუმ) — „იოდი“.

7. **S** გამოითქმოდა ძველ ლათინურში ყოველთვის როგორც **ს**. მაგრამ ახალი ევროპული ენების გავლენით ლათინურისათვის დამკვიდრდა შემდეგი წესი: **s** ხმოვნებს შუა გამოითქმის როგორც **ზ**:

Asia (აზია) — „აზია“
cerasum (ცერაზუმ) — „ალუბალი“
nasus (ნაზუს) — „ცხვირი“
aquosus (აკვოზუს) — „წყლიანი“.

8. **T (t)**. ეს ასოც ძველ ლათინურში იხმარებოდა ყოველთვის მხოლოდ **ტ**-ბგერის გამოსახატავად. მაგრამ საშუალო საუკუნეების განმავლობაში თვით ბგერამ განიცადა ცვლილება ერთ შემთხვევაში (ti), და დღეს **t**-ს შესახებ საჭიროა ვიცოდეთ შემდეგი წესი: მარცვალი **ti**, უკეთუ მას მოსდევს რომელიმე ხმოვანი, გამოითქმის როგორც **ცი**:

motio (მოციო) — „მოძრაობა“
solutio (სოლუციო) — „ხსნარი“
distantia (დისტანცია) — „მანძილი“
liquiritia (ლიკვირიცია) — „ძირტკბილა“
patientia (პაციენცია) — „მოთმინება“.

---

[1] ასეთ შემთხვევაში ზოგიერთი ავტორი **i**-ს მაგიერ სწერს **j**-ს (**jecur, jocus, Julius, justus**).

მაგრამ, თუ ti-ს წინ არის s, t ან x, ამ შემთხვევაში ti გამოითქმის როგორც ტი; მაგ.,

bestia (ბესტია) — „მხეცი"; Attius (ატტიუს) — „ატიუსი".

გამოთქმა ტი რჩება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ti-მარცვალს მოუდის მახვილი: მაგალითად, totius (ტოტრუს) — „მთელისა", „მთლიანისა".

§ 2. ბერძნული სიტყვების გადმოცემისას ხმარებული ასოები. ლათინთა ლიტერატურა და მეცნიერება ძველთაგანვე ვითარდება ბერძნული ლიტერატურისა და მეცნიერების გავლენის ქვეშ. თითქმის ყველა იმ სამეცნიერო დისციპლინას, რომელიც რომში განვითარდა და შემდეგ გავრცელდა ევროპისა და აზიის ქვეყნებში, საფუძველი საბერძნეთში ჩაეყარა. ასეთ პირობებში, ცხადია, ლათინურ ენაში მრავალი ბერძნული სიტყვა შემოვიდოდა, და, მართლაც, ლათინურში ჩვენ აუარებელი ბერძნული ნასესხები სიტყვა გვხვდება. ბერძნული სიტყვების დასაწერად ლათინებს თავიანთი ანბანი მთლიანად ვერ დააკმაყოფილებდა, ვინაიდან ბერძნულ ენას მოეპოვება ისეთი ბგერები, რომელთა შესატყვისი ასოები ლათინურ ანბანში იმთავითვე არ ყოფილა. ეს ბგერებია: ჯ, ძ, ფ, ქ, თ; მათი შესატყვისი ბერძნული ასოებია: Y, Z, Φ, X, Θ (υ, ζ, φ, χ, θ).

განვიხილოთ ცალ-ცალკე.

Y. ბერძნულში ეს გამოხატავდა თავდაპირველად, დაახლოებით იმასვე, რასაც ძველ ქართულში ჯ (მაგ., ღჯნო). სვანურში ჯ (მაგ., სჯფ, ტჯბ და სხვ.) ან გერმანულში ü (მაგ., Rücken „ზურგი"). ვინაიდან ლათინებს საკუთარ ენაში ასეთი ბგერა არ გააჩნდათ, არც შესატყვისი ასო მოეპოვებოდათ ანბანში და პირდაპირ გადმოიღეს ბერძნული ასო. ეს ის ასოა, რომელიც ლათინურ ანბანში 23-ე ადგილას მოიპოვება. შემდეგ თვით ბერძნულში ეს ბგერა თანდათან დაუახლოვდა გამოთქმაში ი-ს და ამიტომ დღეს მიღებულია ლათინურშიც მისი ი-თ გამოთქმა. მას ეწოდება „იგრეკი" ე. ი. ი ბერძნული. (ბერძნები მას ეძახდნენ „ჯ ფსილონ", ე. ი. „ჯ მარტივი").

Z. ეს აღნიშნავდა ბერძნულში თავდაპირველად ძ-ს, შემდეგ ზ-ს. და რადგან არც ეს ბგერა და არც მისი შესატყვისი ასო არ ჰქონდათ ლათინებს, ამიტომაც Z-ც პირდაპირ შემოიტანეს მათ თავიანთ ანბანში. ლათინურში დღეს მიღებულია მისი მერმინდელი გამოთქმა ზ.

ამგვარად, Y და Z ბერძნული ასოებია და შემოსულია ლათინურ ანბანში ბერძნული სიტყვების საჭიროებისათვის. გამოთქმაში

პირველი (იგრეკი) უდრის ი-ს, ხოლო მეორე (ზეტი) ზ-ს. მაგალითები:

hydrogenium (ჰიდროგენიუმ) — „წყალბადი“
hydrargyrum (ჰიდრარგირუმ) — „ვერცხლისწყალი“
protozoa (პროტოზოა) — „უმარტივესი ცხოველი“
oryza (ორიზა) — „ბრინჯი“.

Φ, Χ, Θ ბერძნულში თავდაპირველად გამოხატავდნენ იმასვე, რასაც ქართული ფ, ქ, თ. ამ ბერძნული ბგერების გადმოსაცემად ლათინებმა მიმართეს თავიანთ საკუთარ ანბანს და ლათინური ასოების შეზავებით მოახერხეს ამ ბერძნული ბგერების გადმოცემა. სახელდობრ, მათ აიღეს p, c, t (ე. ი. პ, კ, ტ) და დაუმატეს ფშვინვითი h (ჰ) და ამრიგად მიიღეს ph (ფ), ch (ქ), th (თ). ვინაიდან I-შემდეგ თვით ბერძნულში ფ, ქ, თ ბგერებმა გამოთქმაში მოგვცეს ფ, ხ, თ, ამიტომ დღეს ლათინურისათვისაც სავალდებულოდ არის მიჩნეული შემდეგი წესი:

ph გამოითქმის როგორც რუსული ф
ch გამოითქმის როგორც ქართული ხ
th გამოითქმის როგორც ქართული თ.

მაგ.: pharmacon (ფარმაკონ) — „წამალი“
charta (ხარტა) — „ქაღალდი“
theatrum (თეატრუმ) — „თეატრი“.

შენიშვნა: ბერძნული სიტყვების თავში რ ბგერას ფშვინვა ჰქონდა და იწერებოდა ῥ. ლათინურად ასეთ შემთხვევებში იწერება rh, თუმცა ჩვენ გამოვთქვამთ მარტივად რ-ს: მაგალითად, Rhodus (როდუს) — კუნძული როდოსი.

Sch. ლათინურ ენაში (განსაკუთრებით სამედიცინო ტერმინოლოგიაში) გვხვდება რამდენიმე სიტყვა, რომელშიც შედის sch. მეტი წილი ამ სიტყვებისა ბერძნული წარმოშობისაა (schola — „სკოლა“, schema — „სქემა“, schizontes — „სქიზონტები“ და სხვ.). გერმანული ენის გავლენით (სადაც sch ნიშნავს შ-ს) ზოგიერთები ამ შემთხვევებში კითხულობენ შ-ს (schizontes — შიზონტეს, ischias — იშიას), რასაც არავითარი გამართლება არ მოეპოვება. ბერძნულ სალიტერატურო ენაში (და არც ლათინურში) არასდროს არ ყოფილა შ და ამიტომ უმართებულოა ზემოაღნიშნულის მსგავს სიტყვებში შ-ს გამოთქმა.

უნდა წაკითხულ იქნეს:

schola — სხოლა (და არა „შოლა“)
schema — სხემა (და არა „შემა“)
schizontes — სხიზონტეს (და არა „შიზონტეს“).

მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის სამეცნიერო დისციპლინა (მაგ., მედიცინა, ზოოლოგია, ბოტანიკა) ლათინური ენის საშუალებით ქმნის ახალ ტერმინს და ტერმინად ხმარობს ისეთ სიტყვას, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ლათინურ ენასთან, გარდა იმისა, რომ ის ლათინური ასოებით არის დაწერილი. მაგალითად, რუსი მეცნიერის შელკოვნიკოვის სახელით არის ცნობილი მის მიერ დადგენილი erigeron Schelkovnikovii და ამ სიტყვაში ჩვენ **sch**-კომპლექსი უნდა წავიკითხოთ როგორც **შ**.

§ 3. დიფთონგები (ორხმოვანები). დიფთონგები ეწოდება ისეთ ბგერებს, რომელთაც ახასიათებს ორი ხმოვნის ერთ მარცვლად გამოთქმა. ლათინურში ასეთი დიფთონგებია:

ae — გამოითქმის როგორც **ე**
oe — გამოითქმის როგორც **ე**[1]
au — გამოითქმის როგორც **აუ** (ან **ავ**)
eu — გამოითქმის როგორც **ეუ** (ან **ევ**).

მაგ., saevus (სევუს) — „სასტიკი"
poena (პენა) — „სასჯელი"
pleuritis (პლეურიტის) — პლევრიტი".

შენიშვნა 1: ვინაიდან **ae** და **oe** გამოთქმაში თითქმის უდრის **ე**-ს, ცხადია, მათ წინ **c** გამოითქმის, თანახმად ზემოაღნიშნული წესისა (§ 1, 1, ა), როგორც **ც**:

caecus (ცეკუს) — „ბრმა"
coetus (ცეტუს) — „შეკრება".

შენიშვნა 2: არის შემთხვევები, როდესაც **ae** და **oe** არ წარმოადგენენ დიფთონგებს და საჭიროა მათი შემადგენელი ხმოვნების ცალ-ცალკე გამოთქმა (აე, ოე) ასეთ შემთხვევებში სწერენ: **aë** და **oë**:

aër (აერ) — „ჰაერი"
poëta (პოეტა) — „პოეტი".

§ 4. მახვილის წესები. ყოველ ენას მახვილის საკუთარი წესები აქვს: ფრანგულ ენაში, მაგალითად, სიტყვას მახვილი უკანასკნელ მარცვალზე აქვს, სიტყვის ბოლოში (მაგ., travaillér — „მუშაობა"). გერმანულში მახვილი მეტწილად ძირეული სიტყვის თავშია (árbeiten — „მუშაობა"). რაც შეეხება ლათინურ ენას, მისი მახვილი შემდეგ წესებს ემორჩილება:

1) ლათინურ სიტყვას არ შეიძლება ჰქონდეს მახვილი ბოლოში (თუ, რასაკვირველია, სიტყვა ერთმარცვლოვანი არ არის);

---

[1] ამ დიფთონგებისათვის (**ae, oe**) მოყვანილი ქართული შესატყვისობები, რასაკვირველია, მიახლოებითია; მათ უფრო შეესატყვისება გერმანული **ä** და **ö**.

2) ლათინურ სიტყვას მახვილი შეიძლება ჰქონდეს ბოლოდან ან მეორე მარცვალზე, ან მესამეზე, მაგალითად:

მეორე მარცვალზე: edíctum — „ბრძანება“
argéntum — „ვერცხლი“
aegrótus — „ავადმყოფი“,

მესამე მარცვალზე: médicus — „ექიმი“, „საექიმო“
símilis — „მსგავსი“
óleum — „ზეთი“.

8) ბოლოდან მეორე მარცვალზე მახვილი აქვს სიტყვას იმ შემთხვევაში, თუ ეს მეორე მარცვალი გ რ ძ ე ლ ი ა;

4) უკეთუ მეორე მარცვალი მ ო კ ლ ე ა, მახვილი სიტყვას აქვს მესამე მარცვალზე, მიუხედავად იმისა, ეს მესამე მარცვალი გრძელია თუ მოკლე.

ზემოაღნიშნულით ამოიწურება ლათინური მახვილის წესები. მაგრამ სიძნელეს წარმოადგენს სწორედ იმის გარკვევა, რასაც მესამე და მეოთხე წესი მიგვითითებს. მესამე-მეოთხე წესი გვასწავლის იმას, რომ ჩვენ სწორად დავსვამთ მახვილს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გავიგებთ, სიტყვის მეორე მარცვალი გრძელია თუ მოკლე. არსებობს ორი მტკიცე წესი, რომლითაც შეიძლება იმის გარკვევა, მოკლეა თუ გრძელი ესა თუ ის ხმოვანი, სახელდობრ:

ა) ხმოვანი მ ო კ ლ ე ა, თუ მას მეორე ხმოვანი მოსდევს:

hordĕum — „ქერი“
arteria — „არტერია“
brachium — „მკლავი“.

ვინაიდან ამ სიტყვებს მეორე მარცვალი მოკლე აქვს, მახვილი, თანახმად ზემოაღნიშნული მეოთხე წესისა, მათ მესამე მარცვალზე ექნება: hórdeum, artéria, bráchium.

ბ) ხმოვანი გ რ ძ ე ლ ი ა, თუ მას მოსდევს ორი ან მეტი თანხმოვანი:

hirūndo — „მერცხალი“
hestērnus — „გუშინდელი“
demōnstro — „ვუჩვენებ“.

ვინაიდან ამ სიტყვებს მეორე მარცვალი გრძელი აქვს, მახვილი, თანახმად ზემოაღნიშნული მესამე წესისა, მეორე მარცვალზე ექნება: hirúndo, hestórnus, demónstro.

შენიშვნა: თუ ხმოვანს ისეთი ორი თანხმოვანი მოსდევს, რომელთაგან პირველი ყრუა (p t c b d g), ხოლო მეორე ნარნარა (l, r), ასეთი ხმოვანი მ ო კ ლ ე ა; მაგ., cerĕbrum — „ტვინი“, palpĕbra — „ქუთუთო“.

გ) გრძელია აგრეთვე ის მარცვალი, რომელშიც შედის დიფთონგი; მაგალითად, inaequo („ვათანასწორებ"), persaepe („ძალიან ხშირად").

ეს ორი წესი გვშველის მარცვლის სიგრძე-სიმოკლის გარკვევის დროს მხოლოდ იმ შემთხვევებში, რომლებიც ამ წესებით არის განსაზღვრული. უამრავ დანარჩენ შემთხვევაში კი მარცვლის სიგრძე-სიმოკლის გასარკვევად საჭიროა ვიცოდეთ სიტყვის ისტორია. რადგან ამის ცოდნა მოსწავლისათვის შეუძლებელია, ამიტომ ქრესტომათიებსა და ლექსიკონებში მიღებულია გრძელი ხმოვნების აღნიშვნა ჰორიზონტალური ხაზით (—), ხოლო მოკლე ხმოვნისა — ნახევარრკალით (⏑): aegrōtus, aquōsus, repĕto, acrĭdum და სხვ.

მორფოლოგია

არსებითი სახელი — Nomen substantivum

§ 6. არსებითი სახელი. ლათინურ ენაში ხმარებული სიტყვები განიყოფებიან ცხრა ჯგუფად, ანუ მეტყველების ცხრა ნაწილად:

არსებითი სახელი — nomen substantivum (terra — „მიწა“)
ზედსართავი სახელი — n. adiectivum (clarus — „ბრწყინვალე“)
რიცხვითი სახელი — n. numerale (tres — „სამი“, tertius — „მესამე“)
ნაცვალსახელი — pronomen (nos — „ჩვენ“)
ზმნა — verbum (dico — „ვამბობ“)
ზმნისართი ანუ ზმნიზედა — adverbium (fortiter — „მამაცად“)
წინდებული — praepositio (in cella — „ოთახში“)
კავშირი — coniunctio (Asia et Africa — „აზია და აფრიკა“)
შორისდებული — iuteriectio (heu — „ვაი!“).

მეორე მხრით, იმ სიტყვებში, რომელთაც ხმარობს ადამიანის მეტყველება, ჩვენ ვარჩევთ ორ ჯგუფს: ერთ ჯგუფს შეადგენენ ის სიტყვები, რომლებიც არ იცვლიან თავიანთ სახეს (მაგ., სიტყვები „ადრე“, „გვიან“, „ხვალ“, „ზეგ“ და სხვ.), ხოლო მეორეს შეადგენენ ფორმა-ცვალებადი სიტყვები (მაგ., „სტუდენტი სწავლობს“, „სტუდენტებმა ისწავლეს“). ფორმა-ცვალებადი სიტყვები კიდევ განიყოფებიან ორ ჯგუფად: ერთია ბრუნებადი სიტყვების ქვეჯგუფი, ხოლო მეორე — უღვლილებადი სიტყვებისა.

ბრუნებადი სიტყვები სხვადასხვა დანიშნულებას ასრულებენ: ერთნი აღნიშნავენ საგნის ან მოვლენის სახელწოდებას (არსებითი სახელები); მეორენი აღნიშნავენ საგნის ან მოვლენის თვისებას (ზედსართავი სახელები); ზოგიც რიცხვს (რიცხვითი სახელები); დასასრულ, არის ისეთი ბრუნებადი სიტყვები, რომლებიც რომელიმე ზემოაღნიშნული სახელის მაგივრობას სწევენ (ნაცვალსახელები).

ბრუნებადი სიტყვები იცვლებიან სქესის, ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით.

ლათინურ ენაში სამი სქესი გვხვდება:

მამრობითი სქესი	—	genus masculinum
მდედრობითი „	—	femininum
საშუალო „	—	neutrum.

რიცხვი ორია:

მხოლობითი რიცხვი	—	numerus singularis
მრავლობითი „	—	„ pluralis.

ბრუნვა ლათინურში ექვსია თითოეული რიცხვისათვის:

სახელობითი ბრუნვა	—	casus nominativus
ნათესაობითი „	—	„ genetivus
მიცემითი „	—	„ dativus
ბრალდებითი „	—	„ accusativus
მოქმედებითი „	—	„ ablativus
წოდებითი „	—	„ vocativus.

თითოეულ ბრუნვას თავისი დამახასიათებელი დაბოლოება აქვს. რომ ავიღოთ, მაგალითად, სიტყვები **navis** („ნაი"), **fructus** („ნაყოფი"), **dies** („დღე"), მათ საერთო აქვთ დაბოლოება **-s**, რაც მხოლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის ნიშანს წარმოადგენს; სიტყვებში **navi, fructui, diei** მოცემულია მიცემითი ბრუნვის ნიშანი **i**. ძველად დაბოლოებები, საზოგადოდ, ყველა ბრუნებადი სიტყვისათვის ერთნაირი უნდა ყოფილიყო; ბრუნებად სიტყვებს შორის განსხვავებას ბრუნვათა დაბოლოება კი არ იძლეოდა, არამედ ფუძის დაბოლოება. მაგ., **navi-s** წარმოადგენს **i**-ფუძიან სიტყვას, **fructu-s** კი **u**-ფუძიანს, ხოლო **die-s** **e**-ფუძიანია; მაგრამ დროთა განმავლობაში ზოგიერთმა ფუძემ ესა თუ ის დაბოლოება ბრუნვისა დაკარგა ან შეცვალა, ანდა, სხვადასხვა მიზეზის გამო, თვითონ შეიცვალა სახე. მაგალითად, იმ დროს, როდესაც დანარჩენ ფუძეებს შერჩათ მთ. რ. სახელობითი ბრუნვის **s**-დაბოლოება, **u**-ფუძიანმა სიტყვებმა მეტწილად დაჰკარგეს ეს დაბოლოება; სიტყვას **terra** („მიწა"), მაგ., აღარ აქვს სახელობითი ბრუნვის დაბოლოება. ასევე დაემართა ზოგიერთ სხვა ბრუნვასაც ამა თუ იმ ფუძიან სიტყვებში და, ამნაირად, თითოეული ფუძისათვის (**a**-ფუძე, **o**-ფუძე, **i**-ფუძე, **u**-ფუძე, **e**-ფუძე და თანხმოვანი ფუძეები) ჩამოყალიბდა ბრუნვათა თავისებური ბოლოკიდურები.

ლათინური არსებითი სახელები ფუძეების მიხედვით დაყოფილია ხუთ კანკლედობად.

I	კანკლედობას ეკუთვნიან ის სახელები, რომელთა ფუძე ბოლოვდება	**a**-თი
II	„ „ „ „ „ „	**o**-თი (ზოგჯერ **o** შეცვლილია **u**-თი)
III	- „ „ „	**i**-თ ან თანხმოვნით
IV	„ „ „ „	**u**-თი
V	„ „ „ „	**e**-თი

მაგალითად, **silva, populu-s, navi-s, fructu-s, die-s.**

§ 6. პირველ კანკლედობას ეკუთვნის **a**-ფუძიანი სიტყვები: **bestia, cella, herba, schola, terra** და სხვ. პირველი კანკლედობის სიტყვები იბრუნება შემდეგნაირად:

	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახ.	terr-**a**	terr-**ae**
ნათ.	terr-**ae**	terr-**ārum**
მც.	terr-**ae**	terr-**īs**
ბრ.	terr-**am**	terr-**ās**
მქ.	terr-**ā**	terr-**īs**
წოდ.	terr-**a**	terr-**ae**

შენიშვნა: აქ დეფისით გამოყოფილია ბრუნვათა ბოლოკიდურები: **a, ae, ae, am**... აქ გამოყოფილ ბოლოკიდურებში შეერთებულია სიტყვის ფუძის დაბოლოება და ბრუნვის ნიშანი. მაგალითად, **terram**-ში **a** წარმოადგენს სიტყვის ფუძის დაბოლოებას (**terra**), ხოლო **-m** ბრალდებითი ბრუნვის დაბოლოებაა. ასე რომ, მორფოლოგიური თვალსაზრისით, კანონიერია აღნიშვნა **terra-m**.

პირველი კანკლედობის ბრუნვათა ბოლოკიდურებში თითქმის ყველგან ვხედავთ ფუძის დაბოლოებას **a**-ს: ამ **a**-თი განსხვავდება პირველი კანკლედობა დანარჩენი კანკლედობებისაგან.

– ამ კანკლედობის სახელები ჩვეულებრივ მ დ ე დ რ ო ბ ი თ ი სქესისაა. იმ შემთხვევაში, როდესაც სიტყვა თავისი შინაარსით აღქმულია მამრობითი სქესის კუთვნილად, მაშინ ის მამრობითი სქესის სიტყვად ითვლება (მაგ., **agricola** — „მიწის მუშა“, **nauta** — „მეზღვაური“, **incola** — „მცხოვრები“).

მახვილის სწორად ხმარებისათვის საჭიროა აღინიშნოს, რომ მრავლ. რ. ნათესაობითი ბრუნვის ბოლოკიდურ **-ārum**-ში **a** ყოველთვის გრძელია და, მაშასადამე, მახვილიც მასზე იქნება: **agricolā́rum, terrā́rum** და სხვ.

ბრუნვათა ბოლოკიდურების გადახედვისას ადამიანს თვალში ეცემა შემდეგი მოვლენა: რამდენსამე ბრუნვას ხშირად ერთი და იგივე ბოლოკიდური აქვს, მაგალითად:

terra — მხ. რიცხვის სახელ., მოქმ., წოდებ.
terrae — მხ. რ. ნათეს., მიც. და მრ. რ. სახელ., წოდებ.

სხვადასხვა ბრუნვაში ერთი და იგივე ბოლოკიდურის არსებობა აიხსნება შემდეგი გარემოებით: სიტყვის ფუძისა და ბრუნვის დაბოლოების შეერთებისას ხშირად ადგილი აქვს ამა თუ იმ ცვლილე-

ბას ან ფუძეში ან დაბოლოებაში. მაგალითად, ქართულ ენაში ბრუნვათა დაბოლოების სახით გვაქვს:

სახელობითში **-ი**
ნათესაობითში **-ის**
მიცემითში **-ს**,

რის მიხედვითაც მიღებულია: კაც-**ი**, კაც-**ის**, კაც-**ს**. როდესაც ვაბრუნებთ ა-ფუძიან სახელებს, ვღებულობთ:

სახ. მამა (უნდა ყოფილიყო მამა-ი, დაიკარგა ბრუნვის დაბოლოება -ი).
ნათ. მამ-ის (უნდა ყოფილიყო მამა-ის, დაიკარგა ფუძისეული **ა**).
მიც. მამა-ს.

ხოლო, თუ ავიღებთ ო-ფუძიან სახელებს:

სახ. ხბო (უნდა ყოფილიყო ხბო-ი, დაიკარგა -ი).
ნათ. ხბო-ს (უნდა ყოფილიყო ხბო-ის, დაიკარგა -ი).
მიც. ხბო-ს.

ო- ფუძიანმა სახელმა ნათესაობითში რომ დაჰკარგა ბრუნვის დაბოლოების ი-, შედეგად მივიღეთ ის, რომ **ნათესაობითი ბრუნვა დაემსგავსა მიცემითს** (ხბოს, ხბოს).

ამგვარად, ერთნაირი ბოლოკიდური რამდენსამე ბრუნვაში შეიძლება იყოს შედეგი მერმინდელი ცვლილებისა, რომელიც განიცადა სიტყვამ ფუძისა და ბრუნვის დაბოლოების შეერთებისას.

ლათინურ ენაშიც უმეტეს შემთხვევაში ამით აიხსნება ერთნაირი ბოლოკიდურების არსებობა რამდენსამე ბრუნვაში.

იმ შემთხვევაში, როდესაც რამდენსამე ბრუნვას ერთი და იგივე დაბოლოება აქვს, ბრუნვებს გავარჩევთ იმის მიხედვით, თუ რა დანიშნულება აქვს წინადადებაში ამა თუ იმ მოცემულ სიტყვას, ან სხვა რომელიმე ნიშნის მიხედვით.

მაგალითად:

In schola sunt filiae („სკოლაში არიან ქალიშვილები").

ამ წინადადებაში filiae დაბოლოების მიხედვით შეიძლება იყოს: ნათესაობითი ბრუნვა მხ. რ., მიცემითი ბრუნვა მხ. რ., სახელობითი ბრუნვა მრავლ. რ. და წოდებითი ბრუნვა მრ. რ. მაგრამ საკითხს წყვეტს ის გარემოება, რომ ამ წინადადებაში filiae წარმოადგენს ქვემდებარეს („სკოლაში არიან ქალიშვილები"), ხოლო **ლათინურ ენაში ქვემდებარე შეიძლება იყოს მხოლოდ**

სახელობითს ბრუნვაში. მაშასადამე, filiae შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ სახელობითი ბრუნვა მრ. რიცხვისა.

ამავე წინადადებაში **schola** დაბოლოების მიხედვით შეიძლება იყოს: სახელობითი, მოქმედებითი ან წოდებითი მხ. რიცხვისა. ამ წინადადებაში **schola** დაკავშირებულია წინდებულთან **in** (-ში). ხოლო ცნობილია დებულება, რომ წინდებული არც ერთ ენაში არ შეიძლება იყოს დაკავშირებული არც სახელობით ბრუნვასთან, არც წოდებითთან; მაშასადამე, **schola** წარმოადგენს მოქმედებით ბრუნვას (**in** ამ შემთხვევაში მოითხოვს მოქმედებით ბრუნვას).

შენიშვნა: ამ ბოლო ხანებში გამოითქვა აზრი, რომ ქართულში არის თანდებული „ვ ი თ“, რომელიც სახელობით ბრუნვას უკავშირდება (მაგ., კაცი-ვით).

მეოთხე კანკლედობა

§ 7. მეორე კანკლედობას ეკუთვნის **o**-ფუძიანი სიტყვები. ზოგ ბრუნვაში ეს **o გადადის u-ში**. სახელობით ბრუნვაში ფუძეს ემატება **-s** და გვაქვს სახელობითი ბრუნვის ბოლოკიდური **-us**. ეს სიტყვები არიან მამრობითი სქესისა, მაგალითად, popul·us — „ხალხი“. გარდა ამისა მამრობითი სქესის ზოგიერთ სიტყვებს ბოლოში აქვთ **er** და **ir**: მაგალ., puer — „ბავშვი“, vir — „მამაკაცი“. სახელობით ბრუნვაში ასეთ სიტყვებს დაკარგული აქვთ ფუძის დაბოლოება და ბრუნვის დაბოლოებაც (**-us**), რის მაჩვენებელია ის, რომ შემდეგ ბრუნვებში მათ ზედ ემატებათ ბრუნვების დაბოლოებები. მხოლოდ ზოგიერთ **er**-ზე დაბოლოებულ სიტყვაში ამოვარდება „**e**“, მაგ., magister, magistri- („მასწავლებელი“). მეორე კანკლედობით იბრუნვიან აგრეთვე საშუალო სქესის სიტყვები, სახელობით ბრუნვაში მათ აქვთ **-um** (bellum — „ომი“).

მამრობითი სქესის სახელები იბრუნება შემდეგნაირად:

სახ.	popul-**us**	popul-ī
ნათ.	popul-ī	popul-**ōrum**
მც.	popul-ō	popul-**īs**
ბრ.	popul-**um**	popul-**ōs**
მქ.	popul-ō	popul-**īs**
წოდ.	popul-**e**	popul-ī

თუ ამ კანკლედობას პირველ კანკლედობას შევადარებთ, დავინახავთ, რომ ბრუნვათა დაბოლოების მხრივ მათ შორის დიდი მსგავსებაა. ასე, მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში ორივე კანკლედობას აქვს დაბოლოება **-rum**, ხოლო პირველ კანკლედობას ამ დაბოლოების წინ უშის [illegible] (რომელიც პირველი კანკლედობის დამახასიათებელი ხმოვანია), მეორე კანკლედობას კი **o**

(რომელიც მეორე კანკლედობის დამახასიათებელ ხმოვნად ითვლება). ასევეა მრავლ. რიცხვის ბრალდებითში (**-as** და **-os**), მიცემითსა და მოქმედებითში (**-is**); მხოლობითი რიცხვის ბრალდებითში როგორც პირველ, ისე მეორე კანკლედობაში გვაქვს დაბოლოება **-m**, რომლის წინ მეორე კანკლედობის სახელებს აქვთ **u**, რომელიც იმავე **o**-ს სახინაცვალია (არქაულ ლათინურში ბრალდებითში მეორე კანკლედობისა ბოლოკიდურად გვქონდა — **om**, რომელიც შემდეგ **um**-ად შეიცვალა).

§ 8. საშუალო სქესის სახელები. მეორე კანკლედობით იბრუნება აგრეთვე საშუალო სქესის სახელები:

	მხოლობ. რ.	მრავლობ. რ.
სახ.	bell-**um**	bell-**a**
ნათ.	bell-ī	bell-**ōrum**
მც.	bell-ō	bell-**īs**
ბრ.	bell-**um**	bell-**a**
მქ.	bell-ō	bell-**īs**
წოდ.	bell-**um**	bell-**a**,

საშუალო სქესის ამნაირი სახელების ბრუნება რომ შევადაროთ წინა პარაგრაფში განხილულ **-us** ბოლოკიდურიანი მამრობითი სქესის სახელების ბრუნებას, შევამჩნევთ, რომ ყველა ბრუნვაში, გარდა სახელობითისა, ბრალდებითისა და წოდებითისა, მამრობითი და საშუალო სქესის სახელებს ერთნაირი ბოლოკიდური აქვთ:

		მამრ. სქ.	საშ. სქ.
მხოლ. რ.	სახ.	popul-**us**	bell-**um**
	ნათ.	popul-ī	bell-ī
	მც.	popul-ō	bell-ō
	ბრ.	popul-**um**	bell-**um**
	მქ.	popul-ō	bell-ō
	წოდ.	popul-**e**	bell-**um**
მრავლ. რ.	სახ.	popul-ī	bell-**a**
	ნათ.	popul-**ōrum**	bell-**ōrum**
	მც.	popul-**īs**	bell-**īs**
	ბრ.	popul-**ōs**	bell-**a**
	მქ.	popul-**īs**	bell-**īs**
	წოდ.	popul-ī	bell-**a**

მაშასადამე, მამრობითი სქესის **-us** ბოლოკიდურიანი სახელები (**nervus** — „ნერვი“, **oculus** — „თვალი“, **populus** — „ხალხი“) და

საშუალო სქესის -um ბოლოკიდურიანი სახელები (bellum — „ომი“, ferrum — „რკინა“, oleum — „ზეთი“, oppidum — „ქალაქი“) იბრუნება ერთნაირად (განსხვავებაა მხოლოდ სახელობითსა, ბრალდებითსა და წოდებითში). ამ მოსაზრებით ამ ორივე ტიპის სახელები ერთსა და იმავე, მ ე ო რ ე, კანკლედობას მიეკუთვნება.

ამნაირად, **მეორე კანკლედობის** სახელები ორი სქესისაა. ის სახელები, რომელთაც მხ. რ. სახელობითში **-us** ბოლოკიდური აქვთ, მ ა მ რ ო ბ ი თ ი სქესისაა, ხოლო **-um** ბოლოკიდურის მქონე — ს ა შ უ ა ლ ო სქესისაა.

შენიშვნა 1: ზოგიერთი **-us**-იანი სახელი მ დ ე დ რ ო ბ ი თ ი სქესისაა; ასეთებს ეკუთვნიან:

1) ქვეყნების, კუნძულების, ქალაქებისა და ხეების სახელები, მაგალითად: **Aegyptus** — „ეგვიპტე“, **Rhodus** —„კ. როდოსი“, **Corinthus** — „კ. კორინთო“, **malus** — „ვაშლის ხე“, **buxus** — „ბზა“;

2) ზოგიერთი ძვირფასი თვლის სახელი, მაგალითად: **amethystus** — „ამეთვისტო“;

3) სიტყვები: **alvus** — „ბოქვენი“, **humus** — „ნიადაგი“, „მიწა“.

შენიშვნა 2: არის სამი სიტყვა ს ა შ უ ა ლ ო სქესისაც: **pelagus** — „ზღვა“, **virus** — „შხამი“ და **vulgus** — „ბრბო“ (არც ერთი ეს სიტყვა მრავლობით რიცხვში არ იხმარება).

ს ა შ უ ა ლ ო სქესის სახელების შესახებ საზოგადოდ უნდა ვიცოდეთ შემდეგი:

ა) საშუალო სქესის სახელებს ერთნაირი ბოლოკიდური აქვთ სახელობითში, ბრალდებითში და წოდებითში, როგორც მხოლობით რიცხვში ისე მრავლობითში;

ბ) მრავლობითი რიცხვის სახელობითში მათ აქვთ **-a** დაბოლოება.

საზოგადოდ, საშუალო სქესის სახელები ამ თვისებებს ატარებენ არა მარტო მეორე კანკლედობაში, არამედ ყველგან, სადაც კი საშუალო სქესის სახელები გვხვდება (მესამე კანკლედობაში, მეოთხე კარკლედობაში — ამათ შესახებ იხ. ქვემოთ თავთავის ადგილას), და არა მარტო ლათინურ ენაში, არამედ სხვა მის მონათესავე ენებშიც (ბერძნულში, რუსულში). ასე, მაგ., რომ ავიღოთ რუსული **окно**, მისი სახელობითი, ბრალდებითი (**винительный**) და წოდებითი ბრუნვები იქნება **окно́**, ხოლო მრავლობითი რიცხვის იგივე ბრუნვები — **о́кна**.

§ 9. მეორე კანკლედობის r-ფუძიანი სახელები. ზოგიერთ სახელს მხოლ. რიცხვის სახელობით ბრუნვაში არა აქვს **-us** (ამას-

თან დაკავშირებით არც მხოლ. რ. წოდებით ბრუნვაში აქვს ბოლოკიდური -e). ეს ის სახელებია, რომელთა ფუძეს ახასიათებს -r: puer („ბავშვი"), magister („მასწავლებელი"), liber („წიგნი"), vir („კაცი"). ასეთი სახელები შემდეგნაირად იბრუნება:

	მხოლობითი რ.			მრავლობითი რ.		
სახ.	puer	magister	vir	puerī	magistrī	virī
ნათ.	puerī	magistrī	virī	puerōrum	magistrōrum	virōrum
მც.	puerō	magistrō	virō	puerīs	magistrīs	virīs
ბრ.	puerum	magistrum	virum	puerōs	magistrōs	virōs
მქ.	puerō	magistrō	virō	puerīs	magistrīs	virīs
წოდ.	puer	magister	vir	puerī	magistrī	virī

როგორც აქ მოყვანილი ნიმუშებიდან ჩანს, puer, magister და სხვა ამგვარი სახელი იბრუნება ისევე, როგორც -us ბოლოკიდურის მქონე სახელები (populus. oculus და სხვ.); განსხვავებაა მხოლოდ მხ. რ. სახელობითსა და წოდებითს ბრუნვებში.

II კანკლედობის -r ფუძიანი სახელები ყველა ერთი ხასიათისა არაა; ზემომოყვანილი ნიმუშებიდან magister ბრუნების დროს ჰკარგავს ფუძისეულ e-ს (ნათეს. magistri და არა magisteri), ხოლო puer ამ e-ს ინარჩუნებს ბოლომდე. ამრიგად, ზოგიერთი -r ფუძიანი სახელი მეორე კანკლედობისა, რომელთაც r-ს წინ აქვთ e, ამ უკანასკნელს ჰკარგავს ბრუნების დროს, ზოგიერთი კი მას არ ჰკარგავს.

ინარჩუნებენ e-ს შემდეგი არსებითი სახელები:

gener, generi „სიძე"
liberi, liberorum „ბავშვები" (მაგრამ liber, libri „წიგნი")
puer, pueri „ბიჭი"
socer, soceri „სიმამრი"
vesper, vesperi „საღამო".

ზედსართავი სახელები I—II კანკლედობისა

§ 10. პირველი და მეორე კანკლედობით, გარდა ზემოთ განხილული არსებითი სახელებისა, იბრუნება აგრეთვე **ზედსართავი სახელების** ერთი წყება, რომელიც იმავე ბოლოკიდურის მქონეა, როგორიც არსებით სახელებს აქვთ, მაგალითად:

albus („თეთრი") — მამრობითი სქ. (იბრუნება II კანკლედობით).
alba — მდედრობითი სქ. (იბრუნება I კანკლედობით).
album — საშუალო სქ. (იბრუნება II კანკლედობით).

მაშასადამე, პირველი და მეორე კანკლედობის ზედსართავ სახელებს სამივე სქესის ფორმა აქვთ. მდედრობითი სქესის ფორმა იბრუნება პირველი კანკლედობით, ხოლო მამრობითი და საშუალო სქესებისა — მეორე კანკლედობით. ყველა ეს ფორმა იბრუნება იმავე სახით, როგორც არსებითი სახელები.

ნიმუში ზედსართავი სახელების ბრუნებისა

charta alba — „თეთრი ქაღალდი“

	მხოლ. რ.	მრავლ. რ.
სახ.	charta alba	chartae albae
ნათ.	chartae albae	chartarum albarum
მც.	chartae albae	chartis albis
ბრ.	chartam albam	chartas albas
მჭ.	charta alba	chartis albis
წოდ.	charta alba	chartae albae

amicus strenuus — „ბეჯითი მეგობარი“

სახ.	amicus strenuus	amici strenui
ნათ.	amici strenui	amicorum strenuorum
მც.	amico strenuo	amicis strenuis
ბრ.	amicum strenuum	amicos strenuos
მჭ.	amico strenuo	amicis strenuis
წოდ.	amice strenue	amici strenui

bellum cruentum — „სისხლისმღვრელი ომი“

სახ.	bellum cruentum	bella cruenta
ნათ.	belli cruenti	bellorum cruentorum
მც.	bello cruento	bellis cruentis
ბრ.	bellum cruentum	bella cruenta
მჭ.	bello cruento	bellis cruentis
წოდ.	bellum cruentum	bella cruenta.

ზედსართავი სახელების ხმარებაში, ქართული ენისაგან განსხვავებით, უნდა აღინიშნოს შემდეგი:

ახალ ქართულ ენაში სავალდებულო არაა, რომ ზედსართავმა სახელმა ყოველთვის იქონიოს ბრუნვის სრული დაბოლოება. ასე მაგ.:

სახ.	თეთრი ქაღალდი
ნათ.	თეთრი ქაღალდის (ნაცვლად იმისა რომ იყოს „თეთრის ქაღალდის“)
მც.	თეთრ ქაღალდს (ნაცვლად იმისა რომ იყოს „თეთრს ქაღალდს“)
მოთხრ.	თეთრმა ქაღალდმა
მქ.	თეთრი ქაღალდით (ნაცვლად იმისა რომ იყოს „თეთრით ქაღალდით“)
ვით.	თეთრ ქაღალდად (ნაცვლად იმისა რომ იყოს „თეთრად ქაღალდად“).

იმ დროს, როდესაც ფრჩხილებში მოთავსებული ზოგიერთი სრული ფორმა (თეთრის ქაღალდის, თეთრს ქაღალდს) ხანდახან მაინც გვხვდება, მრავლობით რიცხვში სრული ფორმები არასდროს არ იხმარება. ასე, მაგ., ითქმის

თეთრი ქაღალდები და არა „თეთრები ქაღალდები“
თეთრი ქაღალდების (ან თეთრის ქაღალდების) და არა „თეთრების ქაღალდების“ და სხვ.

მეორენაირ, ე. წ. ნარ-თანიან მრავლობით რიცხვთან ზედსართავი სახელიც დაისმის მრავლობით რიცხვში, მაგ.: მაღალნი მთანი).

რაც შეეხება ლათინურ ენას, აქ ზედსართავი სახელისათვის, როგორც ეს ბრუნების ზემომოყვანილი ნიმუშებიდან ჩანს, სავალდებულოა ბრუნვის სრული დაბოლოების ხმარება და ზედსართავი სახელი უთანხმდება არსებით სახელს სქესში, რიცხვსა და ბრუნვაში, მაგალითად:

elephantus albus „თეთრი სპილო“
creta alba „თეთრი ცარცი“
elephanti albi „თეთრი სპილოები“ (მრავლ. რ. სახელობითი ბრუნვა)
elephantorum alborum „თეთრი სპილოებისა“ (მრავლ. რ. ნათ. ბრუნვა).

§ 11. არის აგრეთვე **-r** ფუძიანი ზედსართავი სახელები, რომლებსაც მსგავსად ზემომოყვანილი არსებითი სახელებისა (§ 9) მამრობითი სქესისათვის მხოლ. რ. სახელობით ბრუნვაში (და წოდებით ბრუნვაშიც) არა აქვთ ბოლოკიდური **-us** (წოდებითში არა აქვთ ბოლოკიდური **e**).

ater, atra, atrum — „მუქი“, „შავი“
miser, misera, miserum — „საბრალო“
liber, libera, liberum — „თავისუფალი“.

ეს ზედსართაეი სახელები იბრუნება ისევე, როგორც § 10-ში მოყვანილი ზედსართავი სახელები (albus, alba, album და სხვ.); განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მამრობით სქესში ამ სახელებს არა აქვთ -us.

როგორც არსებით სახელებში ზოგიერთი (როგორც magister) ბრუნების დროს e-ს კარგავს, ზოგი კი (როგორც puer) e-ს არა კარგავს, ზედსართავ სახელებშიც ზოგი კუმშვადია (ater, atra, atrum), ზოგიერთი კიდევ არაკუმშვადი (liber, libera, liberum).

არაკუმშვადია შემდეგი ზედსართავი სახელები:

asper, aspera, asperum „მწვავე", „ტლანქი", „ხორკლიანი"
liber, libera, liberum „თავისუფალი"
miser, misera, miserum „საბრალო"
tener, tenera, tenerum „ნაზი", „რბილი".

არაკუმშვადია აგრეთვე რთული ზედსართავი სახელები, რომელთა მეორე ნაწილშია -fer და -ger. მაგალითად: frugifer (frugifera, frugiferum) „ნაყოფის მომტანი". armiger (armigera, armigerum) „საჰერველთმტვირთველი".

მესამე კანკლედება

§ 12. მესამე კანკლედობით იბრუნება ის სახელები, რომელთა ფუძე დაბოლოებულია i || e-თი ან თანხმოვნით. მესამე კანკლედობის არსებითი სახელები შემდეგნაირად იბრუნება:

	მხოლობითი რიცხვი			მრავლობითი რიცხვი		
	„ტკივილი"	„ფეხი"	„საპონი"			
ს. წ.	dolor	pes	sapo	dolor-ēs	ped-ēs	sapon-ēs
ნ.	dolor-is	ped-is	sapon-is	dolor-um	ped-um	sapon-um
მც.	dolor-i	ped-i	sapon-i	dolor-ibus	ped-ibus	sapon-ibus
ბრ.	dolor-em	ped-em	sapon-em	dolor-ēs	ped-ēs	sapon-ēs
მქ.	dolor-e	ped-e	sapon-e	dolor-ibus	ped-ibus	sapon-ibus.

როგორც აქ მოყვანილი ნიმუშებიდან ჩანს, მესამე კანკლედობას ბრუნვებში (გარდა მხოლ. რ. სახელობითი ბრუნვისა) ერთნაირი ბოლოკიდური აქვს ყველა სახელისათვის:

	მხოლ. რ.	მრავლ. რ.
სახ.		-ēs
ნათ.	-ĭs	-ŭm
მც.	-ī	-ĭbus
ბრ.	-ĕm	-ēs
მქ.	-ĕ	-ĭbus

მესამე კანკლედობას ახასიათებს ის, რომ მხ. რ. სახელობითში მას არა აქვს ერთი გარკვეული ბოლოკიდური. იმ დროს, როდესაც პირველი კანკლედობის სახელებს სახელობითში აქვთ **-a** და მეორისას **-us** ან **-um**, მესამე კანკლედობის სიტყვები წარმოდგენილია ნაირ-ნაირი ბოლოკიდურით (**dolor** „ტკივილი“, **pes** „ფეხი“, **sapo** „საპონი“, **cortex** „ქერქი“, **lac** „რძე“, **caput** „თავი“, **pater** „მამა“ და სხვ.).

სიტყვის ფუძეს სახელობითი ბრუნვის დაბოლოებასთან (**-s**) შეერთებისას შეუცვლია თავისი სახე, ისე რომ მესამე კანკლედობის სიტყვები თავის ფუძეს გამოიჩენენ ხოლმე ნათესაობით ბრუნვაში, და ამ ნათესაობითი ბრუნვის საშუალებით მიღებულ ფუძეს უნდა მივუმატოთ ჩვენ ბრუნვათა ის ბოლოკიდურნი, რომლებიც ზემოთ მოყვანილ სქემაში არის დაბეჭდილი. მაგალითად:

სახ. **sapo**, ნათ. **sapon-is** (ფუძე **sapon-**)
„ **pes** „ **ped-is** (ფუძე **ped-**)
„ **homo** „ **homin-is** (ფუძე **homin-**).

შენიშვნა 1: Acc. Abl. S. ზოგიერთ სიტყვებს დაცული აქვთ არქაული **-im**, **-i** (turrim, turri).

შენიშვნა 2: N. Acc. Pl. **-es**-ის პარალელურად გვხვდება აგრეთვე **-is** (finis=fines).

შენიშვნა 3: Gen. Pl. ზოგიერთ სახელებს აქვთ **-ium** (dentium, animalium),

საშუალო სქესის სახელებზე ვრცელდება ის წესები, რომლებიც ზემოთ § 8-ში იყო მოყვანილი, ამიტომ

N.	caput	capit-**a**
G.	capit-**is**	capit-**um**
D.	capiti	capit-**ibus**
Acc.	caput	capit-**a**
Abl.	capit-**e**	capit-**ibus**.

ხოლო ზოგიერთ სიტყვებს N. Acc. Pl. **-a**-ს ნაცვლად აქვთ **-ia** (მაგალითად, animalia, maria).

მესამე კანკლედობის არსებითი სახელები, სახელობითი ბრუნვის წარმოების მიხედვით, შეგვიძლია ოთხ ძირითად კატეგორიად დავყოთ:

1. არსებითი სახელები, რომელთაც სახელობით ბრუნვაში დაცული აქვთ სახელის ფუძეც და სახელობითი ბრუნვის დაბოლოებაც (**-s**):

urb-s, ნათ. urb-is „ქალაქი“
hiem-s, ნათ. hiem-is „ზამთარი“
lex (=*leg-s), ნათ. leg-is „კანონი“
nux (=*nuc-s), ნათ. nuc-is „ნიგოზი“, „კაკალი“.

2. არსებითი სახელები, რომელთაც სახელობით ბრუნვაში დაცული აქვთ სახელის ფუძე და არ აქვთ დაბოლოება სახელობითი ბრუნვისა:

dolor, ნათ. dolor-is „ტკივილი“
scriptor, ნათ. scriptor-is „მწერალი“
animal, ნათ. animal-is „ცხოველი“.

3. არსებითი სახელები, რომელთაც სახელობით ბრუნვაში დაცული აქვთ სახელობითი ბრუნვის დაბოლოება -s, მაგრამ ფუძეში განუცდიათ ცვლილება:

laus (←laud-s), ნათ. laud-is „ქება“
pes (←ped-s), ნათ. ped-is „ფეხი“
ars (←art-s), ნათ. art-is „ხელოვნება“
mens (←ment-s), ნათ. ment-is „გონება“
miles (←milet-s), ნათ. milit-is „ჯარისკაცი“, „მეომარი“.

აქ მოყვანილ მაგალითებში სიტყვებს სახელობით ბრუნვაში დაუკარგავთ ფუძისეული **d** ან **t**. ეს მოვლენა აიხსნება ფონეტიკურ ნიადაგზე: ფუძისეული **d** (laud-, ped-) და **t** (art-, ment-) შეხვდა სახელობითი ბრუნვის **s**-ს; **ds** და **ts** ასიმილაციის გზით იძლევა **ss**, რაც შემდეგ მარტივ **s**-დ იქცევა (*ments → menss → mens); **ss**-იანი ფორმა miless (←milets) აქვს, მაგალითად, შემონახული პლავტეს (Aul. 528).

4. არსებითი სახელები, რომელთაც სახელობით ბრუნვაში არც ფუძე შემოუნახავთ უცვლელად და არც სახელობითი ბრუნვის **-s** დაბოლოება მიუღიათ:

homo, homin-is „ადამიანი“
natio, nation-is „ერი“
fortitudo, fortitudin-is „სიმამაცე“.

§ 13. მესამე კანკლედობის სახელები სქესის მიხედვით. მესამე კანკლედობის სახელები არის სამივე სქესისა. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა სახელობითი ბრუნვის მიხედვით გამოვიცნოთ ხოლმე, თუ რომელი სქესისაა ესა თუ ის სახელი, სახელდობრ:

1) **მამრობითი** სქესისაა ის სახელები, რომელთაც N. S. აქვთ ბოლოკიდური **-or, -os, -er, -es** (არათანაბარმარცვლოვანი) და **-o** (იმ სიტყვების გარდა, რომელთა ბოლოკიდურია **-do, -go, -io**):

-or: defensor, defensóris „დამცველი“
dolor, dolóris „ტკივილი“
horror, horróris „შიში“
orator, oratóris „ორატორი“
scriptor, scriptóris „მწერალი“
-os: flos, floris „ყვავილი“
mos, moris „ჩვეულება“
-er: agger, ággeris „ყრილი“, „ნაყარი“
asser, ásseris „პალო“
carcer, cárceris „მოაჯირი“
later, láteris „აგური“
-es: არათანაბარმარცვლოვანი[1]
eques, équitis „მხედარი“
hospes, hóspitis „სტუმარი“, „მასპინძელი“
miles, mílitis „მეომარი“
pedes, péditis „ქვეითა მეომარი“
pes, pedis „ფეხი“
-o: homo, hóminis „ადამიანი“
sermo, sermónis „(წარმოთქმული) სიტყვა“.

გამონაკლისი: ზემომოყვანილ ბოლოკიდურთა მქონე ზოგიერთი სიტყვები არ არის მამრობითი სქესისა; ასე მაგ.:

მდედრობითი სქესისაა	საშუალო სქესისაა
-or: arbor, árboris „ხე“	-or: aequor, aequoris „ზედაპირი“
-os: cos, cotis „ერბოქვა“	cor, cordis „გული“
dos, dotis „მზითვი“	marmor, mármoris „მარმარილო“
-er: linter, líntris „ნავი“	-os: os, oris „პირი“
-es: merces, mercédis „ჯილდო“	os, ossis „ძვალი“
merges, mérgitis „ძნა“	-er: cadáver, cadáveris, „გვამი“, „ლეში“
quies, quiétis „მოსვენება“	iter, itíneris „გზა“
seges, ségetis „ნათესი“	papáver, papáveris „ყაყაჩო“
-o: caro, carnis „ხორცი“	ver, veris „გაზაფხული“
	-es: aes, aeris „სპილენძი“.

2) **მდედრობითი** სქესისაა ის სახელები, რომელთაც N. S. აქვთ ბოლოკიდური **-tas, -is, -s** (თუ წინ თანხმოვანია), **-x, -es** (თანაბარმარცვლოვანი), **-us** (ნათ. -utis ან -udis), **-do, -go, -io.**

[1] თანაბარმარცვლოვანი ეწოდება ისეთ არსებით სახელებს, რომელთაც სახელობითში და ნათესაობითში აქვთ თანაბარი რაოდენობა მარცვლებისა (vulpes, ნათ. vulpis), ხოლო არათანაბარმარცვლოვანი — რომელთაც ნათესაობითში აქვთ ერთი მარცვლით მეტი, ვიდრე სახელობითში (miles, ნათ. militis).

-tas [1]: aetas, aetátis „ხანა“, „ასაკი“
aestas, aestátis „ზაფხული“
cívitas, civitátis „სახელმწიფო“
hiláritas, hilaritátis „სიმხიარულე“
véritas, veritátis „ჭეშმარიტება“ [2]

-is: avis, avis „ფრინველი“
ovis, ovis „ცხვარი“
turris, turris „კოშკი“

-s: mens, mentis „გონება“
pars, partis „ნაწილი“
urbs, urbis „ქალაქი“

x: lux, lucis „შუქი“
nux, nucis „ნიგოზი“, „კაკალი“
pax, pacis „ზავი“, „მშვიდობა“

-es: caedes, caedis „მკვლელობა“, „კვლა“
clades, cladis „დაღუპვა“
vulpes, vulpis „მელა“

---

[1] -tas-იანი სიტყვები ნაწარმოებია ზედსართავი სახელებისაგან (იშვიათად არსებითისაგან) -tat-სუფიქსის საშუალებით:

brevis „მოკლე“ : brevi-tas (— brevi-tat-s) „სიმოკლე“
gravis „მძიმე“, „მკაცრი“ : gravi-tas „სიმძიმე“, „სიმკაცრე“
hilarus „მხიარული“ : hilari-tas „სიმხიარულე“
rarus „იშვიათი“ : rari-tas „იშვიათობა“
verus „ჭეშმარიტი“ : veri-tas „ჭეშმარიტება“
civis „მოქალაქე“ : civi-tas „მოქალაქეობა“, „მოქალაქეთა კრებული“, „სახელმწიფო“.

იგივე სუფიქსი გამოყენებულია გერმანულ, ინგლისურსა და ფრანგულ ენებში:

გერმ. -tät: Universi-tät, Fakul-tät, Rari-tät
ფრანგ. -té: universi-té, verité, rareté.

(ორსავე ენაში ასეთი სახელები მდედრობითი სქესისაა, ისევე როგორც ლათინურში).

ინგ. -ty: universi-ty, rari-ty.

[2] -tas-იანი სიტყვებისაგან უნდა გავარჩიოთ -as-იანი სახელები, რომელთაგან ზოგი მამრობითი სქესისაა, ზოგი საშუალისა:

მამრობ. სქ.	საშუალო სქ.
ádamas, adamantis „ალმასი“	vas, vasis „ჭურჭელი“.
as. assis „ასი“ (საზომისა და ფულის ერთეული)	
élephas, elephantis „სპილო“	
vas, vadis „თავდები“.	

-us: fraus, fraudis „მოტყუება“
laus, laudis „ქება“
salus, salútis „ხსნა“, „გადარჩენა“, „სალამი“
-do: crépido, crepídinis „ბალავერი“, „საფუძველი“
cúpido, cupídinis „წადილი“
libído, libídinis „სურვილი“, „თვითნებობა“
fortitúdo, fortitúdinis „სიმამაცე“ [1]
-go: calígo, calíginis „სიბნელე“
imágo, imáginis „სახე“, მოჩვენება“
orígo, oríginis „დასაბამი“
-io: légio, legiónis „ლეგიონი“
régio, regiónis „მხარე“, „ქვეყანა“
resolútio, resolutiónis „დაშლა“, „გახსნა“ [2].

ზემომოყვანილ ბოლოკიდურთა მქონე ზოგიერთი სახელი არ არის მდედრობითი სქესისა. ასე:

მამრობითი სქესისაა

-is: amnis, amnis „მდინარე“
axis, axis „ღერძი“
cassis, cassis „ბადე“, „მახე“
collis, collis „ბორცვი“
ensis, ensis „მახვილი“
fascis, fascis „კონა“
fustis, fustis „ჯოხი“
lapis, lápidis „ქვა“
mensis, mensis „თვე“
orbis, orbis „წრე“
panis, panis „პური“
piscis, piscis „თევზი“
postis, postis „წირთხლი“
pulvis, púlveris „მტვერი“

---

[1] ამ ჯგუფის სახელთაგან მეტი წილი -tudo-სუფიქსის მქონეა. ეს სიტყვები ნაწარმოებია ზედსართავი სახელისაგან, მაგალითად:

longus „გრძელი“ : longi-tudo, longitudinis „სიგრძე“
magnus „დიდი“ : magni-tudo, magnitudi-nis „სიდიდე“
multi „მრავალი“ : multi-tudo, multitudinis „სიმრავლე“
similis „მსგავსი“ : similitudo „სიმსგავსე“, „მსგავსება“.

[2] ამ ჯგუფის სახელთაგან მეტი წილი -tio- (ან -sio-) სუფიქსის მქონეა, ზმნისაგან არის ნაწარმოები და განყენებული ცნების გამომხატველია:

laudo „ვაქებ“ : lauda-tio „ქება“
lavo „ვბან“ ; lava-tio „ბანა“
video „ვხედავ“ ; vi-sio „ხედვა“, „ძერეტა“, „მოჩვენება“.

sánguis, sánguinis „სისხლი“
sentis, sentis „ჯაგნარი“
torris, torris „მუგუზალი“
unguis, unguis „ფრჩხილი“
vectis, vectis „ურდული“
vermis. vermis „ჭია“, „მატლი“ [1]

-s: dens, dentis „კბილი“
fons, fontis „წყარო“
mons, montis „მთა“
pons, pontis „ხიდი“
óccidens. occidentis „დასავლეთი“
óriens, orientis „აღმოსავლეთი“
rudens, rudentis „თოკი“

-x: calix, cálicis „თასი“
codex, códicis „წიგნი“
cortex, córticis „ქერქი“
fornix, fórnicis „თაღი“
grex, gregis „ჯოგი“ [2]
pollex, póllicis „ცერი“

-do: cardo, cárdinis „რაზა“
ordo, órdinis „წყება“, „რიგი“

-go: hárpago, harpagónis „კაკიანი ჯოკი“
margo, márginis „კიდე“, „არშია“

-io: curculio, curculiónis „პურის მატლი“
papilio, papiliónis „პეპელა“
pugio, pugiónis „ხანჯალი“
scipio, scipiónis „კვერთხი“
scorpio, scorpiónis „მორიელი“
septentrio, septentriónis „ჩრდილოეთი“
titio, titiónis „მუგუზალი“.

3) **საშუალო** სქესისაა ის სახელები, რომელთაც N. S. აქვთ ბოლოკიდური -e, -l, -ar, -ur, us- (ნათ. -oris და -eris), -men.

-e: mare, maris „ზღვა“

-l: ánimal, animális „ცხოველი“
cápital, capitális „სისხლის სამართლის დანაშაული“
véctigal, vectigális „ბეგარა“

-ar: calcar, calcáris „დეზი“
far, farris „ასლი“ (მარცვლეულია)

---

[1] Anguis „გველი“, canis „ძაღლი“, tigris „ვეფხვი“ შეიძლება მამრიც და მდედრიც. სიტყვა finis „საზღვარი“ უფრო ხშირად მამრობითი სქესისაა; ზოგჯერ მდედრობითისაა.

[2] ბუნებრივია, რომ მამრობითი სქესისაა მამაკაცის აღმნიშვნელი rex (regis) „მეფე“ და dux (ducis) „სარდალი“.

par, paris „წყვილი“ [1]

-ur: ebur, éboris „სპილოს ძვალი“
fulgur, fúlguris „ელვა“
robur, róboris „ღონე“

-us: corpus, córporis „სხეული“
decus, décoris „სამკაული“
tempus, témporis 1. „დრო“, 2. „საფეთქელი“
genus, géneris „გვარი“
latus, láteris „გვერდი“, „ფერდი“
sidus, síderis „მნათობი“, „ვარსკვლავი“

-men: flumen, flúminis „მდინარე“
nomen, nóminis „სახელი“
semen, séminis „თესლი“.

გარდა ამისა, საშუალო სქესისაა სიტყვები cáput (cápitis) „თავი“, lac (lactis) „რძე“, და -ma სუფიქსიანი რამდენიმე ბერძნულიდან შემოსული სიტყვა: poëma (poëmatis) „ლექსი“, „თხზულება“, embléma (emblématis) „ჩანართი“, ისევე როგორც თანამედროვე სამედიცინო ტერმინოლოგიაში ხმარებული fibroma, sarcoma და სხვ.

ზემომოყვანილ ბოლოკიდურთა მქონე ზოგიერთი სიტყვა არ არის საშუალო სქესისა. ასე:

---

[1] საშუალო სქესის იმ სიტყვებს, რომლებიც დაბოლოებული არიან -e, -al, -ar-ით, ზოგიერთ ბრუნვაში თავისებური დაბოლოებები აქვთ, სახელდობრ, abl. sing. -i, nom. acc., pl. -ia, gen. pl. -ium.

მხოლობითი რიცხვი

ს. წ.	mare „ზღვა“	animal „ცხოველი“	calcar „დეზი“
ნ.	maris	animalis	calcaris
მც.	mari	animali	calcari
ბრ.	mare	animal	calcar
მკ.	mar-i	animal-i	calcar-i

მრავლობითი რიცხვი

ს. წ.	mar-ia	animal-ia	calcar-ia
ნ.	mar-ium	animal-ium	calcar-ium
მც.	maribus	animalibus	calcaribus
ბრ.	mar-ia	animal-ia	calcar-ia
მკ.	maribus	animalibus	calcaribus.

მამრობითი სქესისაა	მდედრობითი სქესისაა
l: sal, salis „მარილი“ sol, solis „მზე“	**us:** tellus, tellúris „მიწა“.
ur: furfur, fúrfuris „ქატო“ turtur, túrturis „გვრიტი“ vultur, vúlturis „ძერა“	
us: lepus, léporis „კურდღელი“ mus, muris „თაგვი“.	

შენიშვნა: -us-იანი სიტყვები, ამგვარად, გვაქვს მდედრობითი და საშუალო სქესისა: მდედრობითისაა, თუ ნათესაობით ბრუნვაშია -utis ან -udis (salus, salutis; laus, laudis), ხოლო საშუალოსია, თუ ნათესაობითშია -oris ან -eris (corpus, corporis; latus, lateris). მაგრამ არის რამდენიმე სახელი, რომლებიც არც ერთ ჯგუფს არ მიეკუთვნება:

grus, gruis „წერო“ — მამრობითი და მდედრობითი სქესისაა
sus, suis „ღორი“ — მამრობითი და მდედრობითი სქესისაა
tripus, trípodis „სამფეხი“ — მამრობითი სქესისაა.

მეოთხე კანკლედობა

§ 14. მეოთხე კანკლედობით იბრუნება **u**-ფუძიანი სიტყვები. ეს სიტყვები არის მ ა მ რ ო ბ ი თ ი სქესისა (**-us** ბოლოკიდურის მქონე) და საშუალო სქესისა (**-u** ბოლოკიდურის მქონე).

შენიშვნა 1: რამდენიმე **-us** ბოლოკიდურიანი სიტყვა მდედრობითი სქესისაა: მაგ., acus „ნემსი“, domus „სახლი“, manus „ხელი“, porticus „პორტიკი“, quercus „მუხა“.

შენიშვნა 2: საშუალო სქესის სიტყვებზე ვრცელდება § 8-ში მოყვანილი წესები.

	მხოლ. რ.		მრავლ. რ.	
N.	fruct-**us** „ნაყოფი“	corn-ū „რქა“	fruct-**ūs**	corn-**ua**
G.	fruct-**ūs**	corn-**ūs**	fruct-**uum**	corn-**uum**
D.	fruct-**uī**	corn-**uī**	fruct-**ibus**	corn-**ibus**
Acc.	fruct-**um**	corn-**ū**	fruct-**ūs**	corn-**ua**
Abl.	fruct-**ū**	corn-**ū**	fruct-**ibus**	corn-**ibus**
V.	fruct-**us**	corn-**ū**.	fruct-**ūs**	corn-**ua**.

მეოთხე კანკლედობას მრავლობითი რიცხვის მიც. და მოქმ. უნდა ჰქონოდა **-ubus**, ხოლო III კანკლედობის გავლენით იქ განვითარდა **ibus**. მაგრამ რამდენიმე სიტყვაში დაცულია ძველი ბოლოკიდური -ubus; ეს სიტყვებია: acus „ნემსი“, „ქინძისთავი“, arcus „მშვილდი“, „თაღი“, lacus „ტბა“, partus „შობა“, წარმო-

შობა“, quercus „მუხა“, specus „მღვიმე“, tribus „ტრიბი“, veru „შამფური“ (acubus, arcubus, lacubus...).

სიტყვა domus „სახლი“ თავისებურად იბრუნება: ზოგიერთი ბრუნვა მეოთხე კანკლედობით აქვს, ზოგიც — მეორე კანკლედობით ან ორივე კანკლედობით.

N.	domus	domus
G.	domus და domi	domuum და domorum
D.	domui	domibus
Acc.	domum	domos და domus
Abl.	domo და domu	domibus.

ზმნისართის მნიშვნელობით იხმარება: domi „შინ“, domuum „შინისაკენ“, domo „შინიდან“.

შენიშვნა: მეოთხე კანკლედობის სახელთა უმეტესი ნაწილი ნაზმნარი არსებითი სახელებია. ago „ვმოქმედებ“, actus, us — „მოქმედება“; sentio — „ვგრძნობ“, sensus, us — „გრძნობა“; laudo—„ვაქებ“, laudatus, us — „ქება“ (იხ. ქვემოთ § 44).

მეხუთე კანკლედობა

§ 15. მეხუთე კანკლედობით იბრუნება -e ფუძიანი სახელები.

ეს სახელები მ დ ე დ რ ო ბ ი თ ი სქესისაა გარდა სიტყვისა dies, რომელიც მამრობითისაა. გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც dies „განსაზღვრულ“, „დანიშნულ“ დღეს აღნიშნავს, ის მდედრობითი სქესისაა (certa dies, dicta dies).

	მხოლ. რ.	მრავლ. რ.
N.	di-ēs „დღე“	di-ēs
G.	di-ēī	di-ērum
D.	di-ēī	di-ēbus
Acc.	di-em	di-ēs
Abl.	di-ē	di-ēbus
V.	di-ēs	di-ēs.

შენიშვნა: დაბოლოება -ei შეიცავს მოკლე e-ს თუ მის წინ თანხმოვანია (მაგალითად rĕi).

მეხუთე კანკლედობის სიტყვათაგან მხოლოდ ორს აქვს სრული ბრუნება მხოლობითსა და მრავლობით რიცხვებში: dies „დღე“ და res „საქმე“. დანარჩენი სახელები სრულად იბრუნება მარტო მხოლობით რიცხვში: მრავლობითი რიცხვის ბრუნვათაგან ზოგიერთ მათგანს (მაგალითად, acies „წვეტი“, „რაზმი“, facies „სახე“,

„გარეგნობა“, series „მწკრივი“, spes „იმედი“, species „შეხედვა“, „სახე“) აქვს მხოლოდ სახელობითი და ბრალდებითი ბრუნვები.

შენიშვნა: არის ისეთი არსებითი სახელები, რომლებიც მეხუთე კანკლედობითაც იბრუნება და პირველი კანკლედობითაც, მაგალითად: **duri-ties** და **duritia** „სიმტკიცე“, **luxuries** და **luxuria** „ფუფუნება“, **materies** და **materia** „ნივთიერება“, **planities** და **planitia** „ეკე“. ასეთ სიტყვებს მეხუთე კანკლედობით მოეპოვებათ მხოლობითი რიცხვის სახელობითი და ბრალდებითი ბრუნვები, ხოლო პირველი კანკლედობით — ყველა ბრუნვა ორივე რიცხვისა.

თავისებური ბრუნება

§ 16. თავისებურებანი ზოგიერთ სახელთა ბრუნებაში. ზოგიერთი არსებითი სახელი ბრუნების დროს იჩენს თავისებურებას. ეს თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ არსებით სახელს, მაგალითად, არ მოეპოვება ყველა ბრუნვა ან ყველა რიცხვი, ან იხმარება სხვადასხვა სქესის ფორმით. მაგალითად:

1) იხმარება მხოლოდ N. და Acc. მხოლობითი რიცხვისა III კანკლედობის სიტყვებში:

fas „ნება“, „უფლება“
nefas „უკანონობა“, „უსამართლობა“.

2) მხოლობით რიცხვში მოეპოვებათ მხოლოდ ზოგიერთი ბრუნვა III კანკლედობის სიტყვებს **vis** („ძალა“), **opis** („საშუალება“), **spontis** („თავისუფალი ნება“), **verberis** („დარტყმა“).

N.	vis	vires	—	—	—
G.	—	virium	opis	spontis	verberis
D.	—	viribus	—	—	—
Acc.	vim	vires	opem	—	—
Abl.	vi	viribus	ope	sponte	verbere.

ამათგან spontis-ს მრავლობითი რიცხვი არა აქვს, opis და verberis აწარმოებენ წესიერად (opes, verbera), ხოლო vis-ის მრავლობითი რიცხვი არის: vires, virium, viribus...

3) სიტყვა Juppiter (ზოგჯერ იწერება Iupiter) „იუპიტერი“ შედგება ორი ნაწილისაგან: Iu(v) და pater, და ნიშნავს „მამა იოვი“. სახელობით ბრუნვაში იგი ორნაწილედად იხმარება (Iuppiter), ხოლო დანარჩენ ბრუნვებში მხოლოდ პირველი ნაწილი (Iuv-) არის წარმოდგენილი:

N.	Iuppiter
G.	Iovis
D.	Iovi
Acc.	Iovem
Abl.	Iove.

4) სიტყვა vas „ჰურჭელი“ მხოლობით რიცხვში იბრუნება III კანკლედობით, ხოლო მრავლობით რიცხვში — II კანკლედობით; ასევე იბრუნება ბერძნულიდან ნასესხი -ma სიტყვები:

	მხოლ. რ		მრავლ. რ.	
N.	vas	poëma	vasa	poëmata
G.	vasis	poëmatis	vasorum	poëmatorum[1]
D.	vasi	poëmati	vasis	poëmatis[1]
Acc.	vas	poëma	vasa	poâmata
Abl.	vase	poëmate	vasis	poëmatis[1].

5) Bos, bovis „ხარი“, „ძროხა“ თავისებურად იბრუნება მრავლობით რიცხვში: G. boum, D. Abl. bubus.

6) მოეპოვებათ მხოლოდ მრავლობითი რიცხვი შემდეგ სახელებს:

I კანკლ.: augustiae, augustiarum „ვიწრობი“
divitiae, divitiarum „სიმდიდრე“
epulae, epularum „სადილი“, „ნადიმი“
feriae, feriarum „არდადეგები“
indutiae, indutiarum „დროებითი ზავი“
insidiae, insidiarum „ჩასაფრება“
kalendae, kalendarum „თვის პირველი რიცხვი“
nonae, nonarum „ნონები“ (თვის 5 ან 7 რიცხვი)
nundinae, nundinarum „ბაზრობა“
nuptiae, nuptiarum „ქორწილი“
reliquiae, reliquiarum „ნაშთი“, „ნეშტი“
tenebrae, tenebrarum „წყვდიადი“
vindiciae, vindiciarum „მოთხოვნის წარდგენა“

II კანკლ.: arma, armorum „იარაღი“
cunabula (ან incunabula), cunabulorum „აკვანი“
fasti, fastorum „კალენდარი“, მატიანე“
hiberna, hibernorum „საზამთრო ბანაკი“
lamenta, lamentorum „ტირილი“, „გოდება“

[1] ზოგჯერ III კანკლედობის ფორმებიც გვხვდება: poëmatum და poëmatibus.

liberi, liberorum „ბავშვები“
posteri, posterorum „შთამომავლობა“
spolia, spoliorum „მტრისათვის წართმეული საჭურველი“

III კანკლ.: aborigines, aboriginum „თავდაპირველი ბინადრები“
maiores, maiorum „წინაპრები“
moenia, moenium „ქალაქის ზღუდე“
preces, precum „თხოვნა“, „მუდარა“

IV კანკლ.: idus, iduum „იდეები“ (თვის 13 და 15 რიცხვი).

ასეთ სახელებს ეწოდება pluralia tantum („მხოლოდ მრაელობითი რიცხვისა“). ამ კატეგორიას მიეკუთვნება აგრეთვე რამდენიმე გეოგრაფიული სახელი, მაგალითად: Alpes (Alpium), Athenae, Cannae, Delphi, Leuctra (Leuctrorum), Sardes (Sardium), Thebae, Thurii ან Thuriae, Verulae.

7) ზოგიერთ არსებით სახელს მრავლობით რიცხვში მოეპოვება მხოლობითისაგან განსხვავებული მნიშვნელობა:

aedes, aedis „ოთახი“	aedes, aedium „სახლი“
auxilium „დახმარება“	auxilia, orum „დამხმარე ჯარი“
castrum „ციხე-სიმაგრე“	castra, orum „ბანაკი“
copia „სიმრავლე“	copiae, arum „ლაშქარი“
fortuna „ბედი“	fortunae, arum „სიმდიდრე“
impedimentum „დაბრკოლება“	impedimenta, orum „ბარგი“ (ჯარისა)
litera „ასო“	literae, arum „წერილი“, „მწერლობა“, „მეცნიერება“.

8) ზოგიერთი არსებითი სახელი წარმოდგენილია სხვადასხვა სქესის ფორმით ან იბრუნება, ერთსა და იმავე დროს, სხვადასხვა კანკლედობით, მაგალითად:

carrus და carrum „ეტლი“
commentarius და commentarium „შენიშვნები“
frenum, მრ. რ. frena და freni „ლაგამი“
locus, მრ. რ. loci და loca „ადგილი“
plebs (plebis) და plebes (plebei) „მდაბიო ხალხი“
vas (vasis), vasum და vasus; მრ. რ. vasa (vasorum) „ჭურჭელი“
materies (materiei) და materia (materiae) „ნივთიერება“ (იხ. ზემოთ § 15, შენიშვნა).

კანკელდობათა ნიმუშები

მხოლობითი რიცხვი

	I	II		III		IV		V
სახელობითი	terra	oculus	bellum	leo	mare	fructus	cornū	diēs
ნათესაობითი	terrae	oculī	bellī	leonis	maris	fructūs	cornūs	diēī
მიცემითი	terrae	oculō	bellō	leoni	mari	frutuī	cornuī	diēī
ბრალდებითი	terram	oculum	bellum	leonem	mare	fructum	cornū	diem
მოქმედებითი	terrā	oculō	bellō	leone	mari	fructū	cornū	diē
წოდებითი	terra	ocule	bellum	leo	mare	fructus	cornū	diēs

მრავლობითი რიცხვი

სახელობითი	terrae	oculī	bella	leonēs	maria	fructūs	cornua	diēs
ნათესაობითი	terrārum	oculōrum	bellōrum	leonum	marium	fructuum	cornuum	diērum
მიცემითი	terrīs	oculīs	bellīs	leonibus	maribus	fructibus	cornibus	diēbus
ბრალდებითი	terrās	oculōs	bella	leonēs	maria	fructūs	cornua	diēs
მოქმედებითი	terrīs	oculīs	bellīs	leonibus	maribus	fructibus	cornibus	diēbus
წოდებითი	terrae	oculī	bella	leonēs	maria	fructūs	cornua	diēs

ზედსართავი სახელი (Nomen adiectivum)

§ 17. ლათინური ზედსართავი სახელები განიყოფებიან ორ ძირითად კატეგორიად:

ა) ზედსართავი სახელები I და II კანკლედობისა,

ბ) ზედსართავი სახელები III კანკლედობისა.

I და II კანკლედობის ზედსართავ სახელებს აქვთ ბოლოკიდური **us, a, um; longus, longa, longum.** მამრობითი და საშუალო სქესის ზედსართავი სახელი (**longus, longum**) იბრუნება II კანკლედობით, ხოლო მდედრობითი სქესისა (**longa**) იბრუნება I კანკლედობით. ამ ჯგუფის ზედსართავი სახელებია, მაგალითად:

albus,	alba,	album	„თეთრი“
varius,	varia	varium	„ნაირ-ნაირი“
magnus,	magna,	magnum	„დიდი“
purus,	pura,	purum	„სუფთა“, „წმინდა“
strenuus,	strenua,	strenuum	„ბეჯითი“
clarus,	clara,	clarum	„ნათელი“
rarus,	rara,	rarum	„იშვიათი“
doctus,	docta,	doctum	„ნასწავლი“
saevus,	saeva,	saevum	„მრისხანე“
validus,	valida,	validum	„ღონიერი“.

I და II კანკლედობით იბრუნება აგრეთვე ზედსართავი სახელები ტიპისა: **miser, misera, miserum** „საბრალო“. ეს ზედსართავი სახელები განირჩევიან ზემოთმოყვანილი სახელებისაგან იმით, რომ მათ აკლიათ მამრობითი სქესის დაბოლოება **us**. ეს ზედსართავი სახელებიც იბრუნება I და II კანკლედობით იმ განსხვავებით, რომ მამრობითი სქესის ზედსართავ სახელს სახელობითში არ ექნება დაბოლოება **us** და არც **e-** ექნება მხ. რ. წოდებით ბრუნვაში. ზოგიერთი ზედსართავი სახელი ამ ტიპისა კუმშავს **e-**ს, მაგალითად: **niger, nigra, nigrum** „შავი“, **piger, pigra, pigrum** „ზარმაცი“ (უფრო დაწვრილებით იხ. ზემოთ § 10 და § 11).

§ 18. მესამე კანკლედობის ზედსართავი სახელები გვაქვს სამი ტიპისა: ერთდაბოლოებიანი, ორდაბოლოებიანი, სამდაბოლოებიანი.

1) ორდაბოლოებიანი ზედსართავი სახელი მესამე კანკლედობისა ყოველთვის არის შემდეგი სახისა: **brevis, brevis, breve.** ე. ი. მამრობითი და მდედრობითი სქესისათვის აქვს დაბოლოება **-is**, ხოლო საშუალო სქესისათვის **-e**. მაგალითები:

brevis,	breve	„მოკლე“
dulcis,	dulce	„ტკბილი“
gravis,	grave	„მძიმე“, „მკაცრი“
facilis,	facile	„ადვილი“
fortis,	forte	„მამაცი“
insignis,	insigne	„შესამჩნევი“, „გამოჩენილი“
lenis,	lene	„რბილი“, „წყნარი“
lingualis,	linguale	„ენისა“
nobilis,	nobile	„წარჩინებული“
similis,	simile	„მსგავსი“
viridis,	viride	„მწვანე“.

2) სამდაბოლოებიანი ზედსართავი სახელები ყოველთვის არიან შემდეგი სახისა: celer, celeris, celere, ე. ი. მდედრობითი და საშუალო სქესისათვის აქვთ იგივე დაბოლოება, რაც ორდაბოლოებიან სახელებს, ხოლო მამრობითი სქესისათვის დაკარგული აქვთ დაბოლოება -is და, ამრიგად, ბოლოში აქვთ -er.

ამ ტიპის ზედსართავი სახელებია:

acer, acris, acre „მწვავე“, „მძაფრი“
alacer, alacris, alacre „მკვირცხლი“
camprester, camprestris, camprestre „მინდვრისა“
celeber, celebris, celebre „დიდებული“
celer, celeris. celere „სწრაფი“
equester, equestris, equestre „მხედრული“, „ცხენისა“
palustеr, palustris, palustre „ჭაობისა“, „ჭაობიანი“
pedester, pedestris, pedestre „ქვეითა“
puter, putris, putre „დამპალი“
saluber. salubris, salubre „საღი“
silvester, silvestris, silvestre „ტყისა“, „ტყიანი“
terrester, terrestris, terrestre „მიწიერი“
volucer, volucris, volucre „მფრინავი“, „სწრაფი“.

3) ერთდაბოლოებიან ზედსართავ სახელებს ერთი და იგივე დაბოლოება აქვთ სამივე სქესისათვის. ისინი სხვადასხვა სახისანი არიან. უფრო ხშირია:

ა) ზედსართავი სახელები დაბოლოებით -ns (ნათ. -ntis) სამივე სქესისათვის. მაგალითად:

ingens, ingentis „უზარმაზარი“, „უამრავი“
prudens, prudentis „წინასწარმხედველი“, „მცოდნე“
sapiens, sapientis „გონიერი“.

შენიშვნა: მეტი წილი ამგვარი ზედსართავი სახელებისა მიმღეობური წარმოშობისაა: იხ. ქვემოთ § 46, 1.

ბ) ზედსართავი სახელები x-ბოლოკიდურით სამივე სქესში, მაგალითად:

audax, audacis „გაბედული“
felix, felicis „ბედნიერი“
ferox, ferocis „უშიშარი“, „უტიფარი“;

გ) დანარჩენ ზედსართავ სახელებს აქვთ ნაირნაირი ბოლოკიდური, მაგალითად:

vetus, veteris „ძველი“
dives, divitis „მდიდარი“
pauper, pauperis „ღარიბი“
par, paris „თანაბარი“.

ყველა ეს ზედსართავი სახელი იბრუნება ისევე, როგორც არსებითი სახელები მესამე კანკლედობისა, შემდეგი თავისებურებების დაცვით:

ა) მხ. რ. მოქმედებითს ბრუნვაში ნაცვლად -e ბოლოკიდურისა ზედსართავს აქვს -i.

ბ) მრ. რ. ნათესაობითს ბრუნვაში ნაცვლად -um ბოლოკიდურისა აქვს ium.

გ) მრ. რ. სახელობითში საშუალო სქესისათვის ნაცვლად -a ბოლოკიდურისა არის -ia.

homo sapiens — „გონიერი ადამიანი“

	მხოლ. რ.	მრავლ. რ.
ს.	homo sapiens	homines sapientes
ნ.	hominis sapientis	hominum sapient-ium
მც.	homini sapienti	hominibus sapientibus
ბრ.	hominem sapientem	homines sapientes
მჭ.	homine sapient-i	hominibus sapientibus

vulnus grave — „მძიმე ჭრილობა“

	მხოლ. რ.	მრავლ. რ.
ს.	vulnus grave	vulnera grav-ia
ნ.	vulneris gravis	vulnerum grav-ium
მც.	vulneri gravi	vulneribns gravibus
ბრ.	vulnus grave	vulnera grav-ia
მჭ.	vulnere grav-i	vulneribus gravibus.

§ 19. ზედსართავი სახელების სუფიქსები. ხშირად ის, რაც ლათინურში (და მასთან ერთად მის მონათესავე სხვა ენებშიც) ზედსართავი სახელით გამოიხატება, ქართულში არაზედსართაული ფორმით გადმოიცემა; ლათინური ზედსართავი სახელის მაგიერ ქართული ხშირად ხმარობს არსებითი სახელის ნათესაობით ბრუნვას:

frons (ნათ. **frontis**), ზედსართ. სახ. **frontalis, e**; ქართ. შუბლისა (და არა „შუბლური“).
nasus, ზედსართ. სახ. **nasalis** ცხვირისა (და არა „ცხვირული“).
maxilla, ზედსართ. სახ. **maxillaris** ყბისა (და არა „ყბური“).
lingua, ზედსართ. სახ. **lingualis** ენისა (და არა „ენური“).

წარმოების მხრივ ჩვენ ვარჩევთ ზედსართავი სახელების ორ მთავარ ჯგუფს: ა) ასე ვთქვათ, თავისთავადი ზედსართავი სახელები (თეთრი, შავი, ცუდი, კარგი, დიდი, მცირე და სხვ.) და ბ) არსებითი სახელებისაგან ნაწარმოები ზედსართავი სახელები (ქალაქი — ქალაქური, ოჯახი — ოჯახური, წყალი — წყლიანი და სხვა). არსებითი სახელისაგან ზედსართავი სახელი შეიძლება იწარმოებოდეს სხვადასხვა სუფიქსის შემწეობით. ასე, მაგ., ქართულში ერთი ნაწილი ამ კატეგორიის ზედსართავი სახელებისა იწარმოება **-ურ-** (ან -ულ-) სუფიქსის საშუალებით (ქალაქური, სოფლური, ქუჩური, ოჯახური, კახური, გორული, გურული); ზოგი კიდევ **-იან-** სუფიქსის საშუალებით (წყლიანი, რძიანი, მზიანი, ძმრიანი), ან **-ოსან-** სუფიქსის მეშვეობით (ჩოხოსანი, ცხენოსანი) და სხვ. ყველა სუფიქსს თავთავისი დანიშნულება აქვს: ასე მაგალითად, **-ურ-** სუფიქსი სადაურობაზე მიუთითებს, **-იან-** სუფიქსი — რისამე შემცველობაზე.

ლათინური ზედსართავი სახელების სუფიქსებიდან აღვნიშნავთ შემდეგს:

ა) **al-** (ან **-ar-**), რაც დაახლოებით იმასვე გამოხატავს, რასაც ქართული -ურ- (ან -ულ-):

brachium	brachialis, e	„მხრული“, „მხრისა“, „მკლავისა“
cerebrum	cerebralis, e	„ტვინისა“
frons (frontis)	frontalis, e	„შუბლისა“
lingua	lingualis, e	„ენისა“
maxilla	maxillaris, e	„ყბისა“
populus	popularis, e	„ხალხური“
rex (regis)	regalis, e	„მეფური“
tempus (temporis)	temporalis, e	„დროისა“;

ბ) **-os-**, რაც დაახლოებით იმასვე უდრის, რასაც ქართული **-იან-** სუფიქსი:

aqua	aquosus, a, um	„წყლიანი“
labor	laboriosus, a, um	„მშრომელი“
studium	studiosus, a, um	„მეცადინი“
saltus	saltuosus, a, um	„მთიანი“
gloria	gloriosus, a, um	„სახელოვანი“;

გ) **-an-**, რაც დაახლოებით იმასვე უდრის, რასაც ქართული **-ელ-**, **-ულ-** სუფიქსი:

Roma „რომი“ Romanus „რომაელი“ და „რომაული“
Georgia „საქართველო“ Georgianus „ქართველი“ და „ქართული“.

§ 20. ზედსართავი სახელის ხარისხები. ზედსართავი სახელები იცვლებიან არა მარტო ბრუნვათა მიხედვით, არამედ ხარისხების მიხედვითაც. ქართულ ზედსართავ სახელს, ჩვეულებრივ, ორი ხარისხი აქვს:

დიდი	უდიდესი
მაღალი	უმაღლესი
ლამაზი	ულამაზესი.

ლათინურ ზედსართავ სახელს აქვს სამი ხარისხი: დაწყებითი, შედარებითი და აღმატებითი. ის ფორმები, რომლებზედაც საუბარი გვქონდა §§ 10, 11 და 18-ში, წარმოადგენენ ზედსართავი სახელის დაწყებითს ხარისხს (gradus positivus).

შენიშვნა: შედარებითი და აღმატებითი ხარისხების ფორმები აქვთ მხოლოდ ვითარებით ზედსართავებს: მიმართებითსა და კუთვნილებით ზედსართავებს (მაგ., paternus — „მამისეული“, „მშობლიური“, frontalis — „შუბლისა“) ეს ხარისხები არა აქვთ.

შედარებითი ხარისხის (gr. comparativus) საწარმოებლად ზედსართავი სახელის ფუძეს[1] ემატება **-ior** (მამრ. და მდედრ.) და **-ius** (საშუალო სქესისათვის):

მამრ.	მდედრ.	საშ.	
long-ior	long-ior	long-ius	„უფრო გრძელი“
brev-ior	brev-ior	brev-ius	„უფრო მოკლე“
prudent-ior	prudent-ior	prudent-ius	„უფრო ბრძენი“.

[1] ზედსართავი სახელის ფუძის მისაღებად უნდა დაესვათ სახელი ნათესაობითს ბრუნვაში (long-i, brev-is, prudent-is), და ჩამოეცილოთ ნათესაობითი ბრუნვის დაბოლება (long-, brev-, prudent-).

ზედსართავი სახელი შედარებითი ხარისხისა იბრუნება III კანკლედობით და აქვს ცელკეულ ბრუნვებში იგივე დაბოლოებანი, როგორც III კანკლედობის არსებით სახელს.

pars superior — „ზემო ნაწილი“

	მხოლ. რ.	მრავლ. რ.
ს.	pars superior	partes superiores
ნ.	partis superioris	partium superiorum
მც.	parti superiori	partibus superioribus
ბრ.	partem superiorem	partes superiores
მქ.	parte superiore	partibus superioribus.

iter difficilius — „უფრო ძნელი გზა“

ს.	iter difficilius	itinera difficiliora
ნ.	itineris difficilioris	itinerum difficiliorum
მც.	itineri difficiliori	itineribus difficilioribus
ბრ.	iter difficilius	itinera difficiliora
მქ.	itinere difficiliore	itineribus difficilioribus.

აღმატებითი ხარისხის (gr. superlativus) საწარმოებლად იმავე ფუძეს ემატება **-issimus** (მამრ.), **-issima** (მდედრ.), **-issimum** (საშუალო სქ.).

long-issimus, long-issima, long-issimum „ყველაზე უფრო გრძელი“

brev-issimus, brev-issima, brev-issimum „ყველაზე უფრო მოკლე“

§ 21. ხარისხების თავისებური წარმოება. არის რამდენიმე ზედსართავი სახელი, რომელიც ხარისხების წარმოებისას ზემოაღნიშნულ წესებს უხვევს. ეს შემჩნეულია არა მარტო ლათინურ ენაში, არამედ სხვა ენებშიც. ასე, მაგ., ქართულში ზედსართავ სახელს „კარგი“ არ მოეპოვება მისგან ნაწარმოები „უკარგესი“ (ამის ნაცვლად იხმარება „უკეთესი“); „პატარა“ მეორე ხარისხის ფორმად ხმარობს სიტყვას „უმცირესი“ (და არა „უპატარესი“), ხოლო „გრძელი“ და „ტკბილი“ სიტყვების ხარისხებია „უგრძესი“ და „უტკბესი“ და არა „უგრძელესი“ და „უტკბილესი“.

ასეთი ხასიათის ზედსართავი სახელებია ლათინურშიც.

დაწყებითი ხ.	შედარ. ხ.	აღმატ. ხ.
bonus, a, um — „კარგი“	melior. melius	optimus, a, um
malus. a, um — „ცუდი“	peior, peius	pessimus, a, um

magnus, a, um — „დიდი“	maior, maius	maximus, a, um
parvus, a, um — „პატარა“	minor, minus	minimus, a, um
multi, ae, a — „მრავალი“	plures, plura	plurimi, ae, a.

შენიშვნა: უკანასკნელი ზედსართავი სახელი მოყვანილია მრავლობითი რიცხვის ფორმით, რადგან ის უპირატესად ამ ფორმით იხმარება.

აღმატებითი ხარისხის თავისებური წარმოება. აღმატებითი ხარისხის საწარმოებლად -issimus-ის გარდა გამოყენებულია აგრეთვე -rimus, -limus, -imus, -mus:

ა) ის ზედსართავი სახელები, რომელთა ფუძე -er-ით ბოლოვდება, აღმატებით ხარისხში იმატებენ -rimus; მაგალითად:

acer,	acrior	acer-rimus	„მწვავე“
celer,	celerior	celer-rimus	„სწრაფი“
liber,	liberior	liber-rimus	„თავისუფალი“
miser,	miserior	miser-rimus	„საბრალო“
vetus,	veterior	veter-rimus	„ძველი“.

ბ) ექვსი ზედსართავი სახელი il- ფუძიანი, აღმატებით ხარისხს აწარმოებს -limus-ის მიმატებით:

facilis	facilior	facil-limus	„ადვილი“
difficilis	difficilior	difficil-limus	„ძნელი“
similis	similior	simil-limus	„მსგავსი“
dissimilis	dissimilior	dissimil-limus	„არამსგავსი“
gracilis	gracilior	gracil-limus	„ტანადი“, „მწყობრი“
humilis	humilior	humil-limus	„დაბალი“, „მდაბიო“.

გ) -imus და -mus გამოყენებულია შემდეგ ზედსართავ სახელებში, რომელთაც სრული ფორმები მოეპოვებათ მხოლოდ შედარებითსა და აღმატებით ხარისხებში; დაწყებით ხარისხში კი მათი ხმარება ან შეზღუდულია, ან სრულიად არ არის დადასტურებული.

(ultra)	ulterior	ultimus	„ძალიან შორეული“
(citra)	citerior	citimus	„უმახლობელესი“
(intra)	interior	intimus	„უშინაგანესი“, „იდუმალი“
exterus	exterior	extremus	„უკიდურესი“
inferus	inferior	infimus ან imus	„უქვედაესი“
posterus	posterior	postremus	„უკანასკნელი“
		postumus	„მომდევნო“
	prior	primus	„პირველი“
(prope)	propior	proximus	„უმახლობელესი“
superus	superior	supremus	„უმაღლესი“
(sub)	—	summus	„უკიდურესი“, „უმაღლესი“.

ხარისხთა წარმოების სხვა თავისებურებანი. ხარისხთა წარმოებაში შენიშნულია სხვა თავისებურებებიც. ასე, მაგალითად:

ა) ის რთული ზედსართავი სახელები, რომელთა მეორე ნაწილია -dicus, -ficus, -volus (ზმნებისაგან dico „ვამბობ", facio „ვაკეთებ", volo „მსურს"), ხარისხებს აწარმოებენ შედარებითს -entior-ის და აღმატებითს entissimus-ის მიმატებით:

maledicus	maledicentior	maledicentissimus	„ავ-ენა"
beneficus	beneficentior	beneficentissimus	„ქველმოქმედი"
magnificus	magnificentior	magnificentissimus	„ჩინებული"
maleficus	(maleficentior)	maleficentissimus	„ბოროტმოქმედი"
benevolus[1]	benevolentior	benevolentissimus	„კეთილმოსურნე"
malevolus[1]	(malevolentior)	malevolentissimus	„ცუდმზრახველი".

შენიშვნა: ამგვარი წარმოების საფუძველს შეადგენდა მიმღეობური ფორმა malevolens (ნათ. malevolentis) და ამის ანალოგიით maledicens და magnificens.

ბ) ზოგიერთი ზედსართავი სახელი ყველა ხარისხს არ ხმარობს; მაგალითად:

—	deterior	deterrimus	„უარესი"
—	ocior	ocissimus	„უსწრაფესი"
sacer	—	sacerrimus	„წმინდა"
docilis	docilior	—	„ნიჭიერი" (სწავლაში)
senex	senior	—	„უფროსი".

გ) ზოგიერთი ზედსართავი სახელი ხარისხებს აღწერილობითად გამოხატავს magis („უფრო") და maxime („ძალიან") სიტყვების შემწეობით; მაგალითად:

pius, a, um;	magis pius, a, um;	maxime pius, a, um
სათნო	უფრო სათნო	ძალიან სათნო ან ყველაზე უფრო სათნო.

ზმნისართი (Adverbium)

§ 22. არსებობს ორი ტიპის ზმნისართი: 1) საკუთრივ ზმნისართი და 2) ზედსართავი სახელისაგან ნაწარმოები ზმნისართი. საკუთრივ ზმნისართს ვუწოდებთ ისეთ ზმნისართს, რომლის წარმოშობა მეტყველების რომელიმე ნაწილისაგან არა ჩანს. ასეთია, მაგალითად: diu „დიდხანს", mox „სწრაფად", satis „საკმაოდ", sic „ამრიგად", vix „ძლივს".

[1] პლავტეს კომედიებში ნახმარია მიმღეობა: benevolens და malevolens.

§ 23. **ზედსართავი სახელისაგან ნაწარმოები ზმნისართი.** ზმნისართის წარმოება შეიძლება ყველა ტიპისა და ხარისხის ზედსართავი სახელისაგან, ე. ი. როგორც I—II კანკლედობის ისე III კანკლედობის ზედსართავებისაგან, როგორც დაწყებითი ისე შედარებითი და აღმატებითი ხარისხის ზედსართავი სახელებისაგან.

ა) I—II კანკლედობის ზედსართავისაგან ზმნისართის საწარმოებლად ზედსართავის ფუძეს ემატება ბოლოში **-e**:

longus, **a**, um „გრძელი“, long-**e** „გრძლად“.

ბ) III კანკლედობის ზედსართავებისაგან ზმნისართის საწარმოებლად ზედსართავის ფუძეს ემატება: **-iter**:

brevis, e	„მოკლე“,	brev-iter	„მოკლედ“
celer, is, e	„სწრაფი“,	celer-iter	„სწრაფად“
par (paris)	„თანაბარი“,	par-iter	„თანაბრად“.

გ) III კანკლედობის იმ ზედსართავ სახელებს, რომელთა ფუძეც **nt**-ით თავდება, ზმნისართის საწარმოებლად ემატება **-er**:

potens (potentis)	„მძლავრი“,	potent-er „მძლავრად“
sapiens (sapientis)	„გონიერი“	sapient-er „გონიერად“
vehemens (vehementis)	ძლიერი“	vehement-er „ძალიან“.

შენიშვნა 1: ზოგიერთი ზედსართავი I—II კანკლედობისა ზმნისართის საწარმოებლად ფუძის ბოლოს იმატებს **o**-ს:

citus	„სწრაფი“,	cit-o	„სასწრაფოდ“
creber	„ხშირი“,	crebr-o	„ხშირად“
rarus	„იშვიათი“,	rar-o	„იშვიათად“.

შენიშვნა 2: ზოგჯერ ზმნისართად გამოყენებულია საშუალო სქესის ზედსართავი სახელი:

ceterus, a um	„დანარჩენი“	ceterum	„თუმცა“
multus, a um	„ბევრი“	multum	„ბევრად“
facilis, e	„ადვილი“	facile	„ადვილად“.

§ 24. **სხვადასხვა ხარისხის ზმნისართი.** წინა პარაგრაფში მოხსენებული წესები ეხება იმ ზმნისართებს, რომლებიც ნაწარმოებია დაწყებითი ხარისხის ზედსართავი სახელებისაგან. მაგრამ ზმნისართი იწარმოება აგრეთვე შედარებითი და აღმატებითი ხარისხის ზედსართავი სახელებისაგანაც:

ა) შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი ხ ა რ ი ს ხ ი ს ზედსართავი სახელის საშუალო სქესის ფორმა გამოყენებულია ზმნისართად და იგი ზმნისართისთვისაც არის შედარებითი ხარისხი:

ზედსართ.:	brevior, brevius	ზმნისართი:	brevius „უფრო მოკლედ“
„	facilior, facilius	„	facilius „უფრო ადვილად“
„	longior, longius	„	longius „უფრო გრძლად“.

ბ) აღმატებითი ხარისხის ზედსართავი სახელი თავისი ბოლოკიდურით **us, a, um** წარმოადგენს I—II კანკლედობით საბრუნებელ სახელს. ამიტომ მისგან ნაწარმოებ ზმნისართს აქვს ბოლოკიდური **-e** (იხ. ზემოთ § 23 ა) და ეს იქნება ზმნისართის აღმატებითი ხარისხი:

ზედსართ.:	brevissimus, a, um	ზმნისართი:	brevissim-e „ძალიან მოკლედ“.
„	longissimus, a, um	„	longissim-e „ძალიან გრძლად“.

§ 25. თავისებურებანი ზმნისართის წარმოებაში. ის ხუთი ზედსართავი სახელი, რომლებიც თავისებურად აწარმოებს ხარისხებს (იხ. ზემოთ § 21), თავისებურად აწარმოებს აგრეთვე ზმნისართსაც:

bene	„კარგად“	**melius**	„უკეთესად“	**optime**	„საუკეთესოდ“
male	„ცუდად“	**peius**	„უფრო ცუდად“	**pessime**	„ძალიან ცუდად“
magnopere	„მეტად“	**magis**	„უფრო მეტად“	**maxime**	„ბევრად“
multum	„ბევრად“	**plus**	„უფრო მეტად“	**plurimum**	„უმეტესად“
non multum	„ცოტა“	**minus**	„უფრო ცოტად“	**minime**	„უმცირესად“, „სრულიად არა“.

ნაცვალსახელი (Pronomen)

§ 26. ნაცვალსახელია ისეთი სიტყვა, რომელიც სხვა სახელის, უპირატესად არსებითისა და ზედსართავის, ნაცვლად იხმარება. ამიტომ გამოიყოფა ორი ტიპი ნაცვალსახელისა: პირველი ტიპის ნაცვალსახელი (მაგალითად **ego** „მე“, **tu** „შენ“, **nos** „ჩვენ“, **vos** „თქვენ“) იხმარება არსებითი სახელის სახით, ხოლო მეორე ტიპისა— ზედსართავი სახელის სახით და დაერთვის რომელიმე არსებით სახელს (მაგალითად, **liber meus** „ჩემი წიგნი“).

ა) ზედსართავის სახით ხმარებულ ნაცვალსახელთა რიცხვს ეკუთვნის კუთვნილებითი ნაცვალსახელი (**pronomen possessivum**):

მამრ.	მდედრ.	სქ.	
meus,	**mea,**	**meum**	„ჩემი“
tuus,	**tua,**	**tuum**	„შენი“
suus,	**sua,**	**suum**	„მისი“, „მათი“, „თავისი“
noster,	**nostra,**	**nostrum**	„ჩვენი“
vester,	**vestra,**	**vestrum**	„თქვენი“.

ეს ნაცვალსახელები იბრუნება როგორც I—II კანკლედობის ზედსართავი სახელები.

ბ) არსებითი სახელის სახით ხმარებულ ნაცვალსახელთა რიცხვს ეკუთვნიან პირიელი ნაცვალსახელები:

Singularis

N.	ego	„მე“	tu	„შენ“	— („ის“)
G.	mei		tui		sui
D.	mihi		tibi		sibi
Acc.	me		te		se
Abl.	me		te		se

Pluralis

N.	nos	„ჩვენ“	vos	„თქვენ“ — („ისინი“)
G.	nostri, nostrum [1]		vestri, vestrum [1]	sui
D.	nobis		vobis	sibi
Acc.	nos		vos	se
Abl.	nobis		vobis	se

შენიშვნა: ამ ნაცვალსახელებს წინდებული cum („-ურთ“, „-თან“) ერთვის ბოლოში; mecum („ჩემთან“), tecum („შენთან“), secum („მასთან“), nobiscum („ჩვენთან“), vobiscum („თქვენთან“).

§ 27. ჩვენებითი ნაცვალსახელები. არის ისეთი ნაცვალსახელები, რომლებიც ხან არსებითი სახელის სახით იხმარებიან, ხან ზედსართავის. ასეთი ნაცვალსახელების რიცხვს ეკუთვნიან ჩვენებითი ნაცვალსახელები. მათ საერთო ის აქვთ, რომ: ა) ისინი ძირითადად იბრუნებიან I—II კანკლედობით და ბ) განსხვავებით I—II კანკლედობისაგან მხ. რ. ნათესაობითში აქვთ დაბოლოება -ius და მიცემითში -i.

is, ea, id — ის, იგი

	Singularis	Pluralis
N.	is ea id	ii (ei) eae ea
G.	eius eius eius	eorum earum eorum
D.	ei ei ei	iis (eis) iis (eis) iis (eis)
Acc.	eum eam id	eos eas ea
Abl.	eo ea eo	iis (eis) iis (eis) iis (eis)

[1] nostrum და vestrum იხმარება როგორც პარტიტიული ნათესაობითი: „ჩვენგანი“, „თქვენგანი“; quis vestrum „რომელი თქვენგანი?“.

hic, haec, hoc — ეს

Singularis			Pluralis		
N.	hic	haec hoc	hi	hae	haec
G.	huius	huius huius	horum	harum	horum
D.	huic	huic huic	his	his	his
Acc.	hunc	hanc hoc	hos	has	haec
Abl.	hoc	hac hoc	his	his	his.

ille, illa, illud — ის

Singularis			Pluralis		
N.	ille	illa illud	illi	illae	illa
G.	illīus	illīus illīus	illorum	illarum	illorum
D.	illi	illi illi	illis	illis	illis
Acc.	illum	illam illud	illos	illas	illa
Abl.	illo	illa illo	illis	illis	illis,

iste, ista, istud — ეს

Singularis			Pluralis		
N.	iste	ista istud	isti	istae	ista
G.	istīus	istīus istīus	istorum	istarum	istorum
D.	isti	isti isti	istis	istis	istis
Acc.	istum	istam istud	istos	istas	ista
Abl.	isto	ista isto	istis	istis	istis

ipse, ipsa, ipsum — იგი, თვით იგი

N.	ipse	ipsa ipsum	ipsi	ipsae	ipsa
G.		ipsīus	ipsorum	ipsarum	ipsorum
D.		ipsi		ipsis	
Acc.	ipsum	ipsam ipsum	ipsos	ipsas	ipsa
Abl.	ipso	ipsa ipso		ipsis	

ნაცვალსახელი is, ea, id იხმარება აგრეთვე ნაწილაკით -dem („-ვე"): idem, eadem, idem „იგივე". ბრუნების დროს -dem ბოლოში ერთვის უცვლელად, ხოლო, სადაც მის წინ იქნება **m**, ასიმილაციის გზით მივიღებთ **n**-ს.

	მხოლობ. რ.			მრავლობ. რ.		
ს.	idem	eadem	idem	eidem (ან iidem)	eaedem	eadem
მ.		eiusdem		eorundem	earundem	eorundem
მც.		eidem			eisdem (ან iisdem)	
მრ.	eundem	eandem	idem	eosdem	easdem	eadem
მჭ.	eodem	eadem	eodem		eisdem (ან iisdem).	

ამ ჩვენებით ნაცვალსახელთაგან, რომლებიც იხმარება მესამე პირის პირიელ ნაცვალსახელებადაც, is ea id გამოხატავს ზოგადად III პირს; hic haec hoc („ეს“) მიუთითებს იმ მესამე პირზე, რომელიც I პირთან („ჩემთან“) არის ახლოს; iste ista istud („ეგ“) მიუთითებს II პირთან („შენთან“) მახლობელ საგანზე ან პირზე, ხოლო ille illa illud („ის“) მიუთითებს შორეულ, III პირთან ახლოს მყოფ, საგანზე ან პირზე.

§ 28. **მიმართებითი ნაცვალსახელი** qui quae quod („რომელი“...); ისიც ხან არსებითისებურია, ხან ზედსართავისებური.

	Singularis			Pluralis		
N.	qui	quae	quod	qui	quae	quae
G.	cuius	cuius	cuius	quorum	quarum	quorum
D.	cui	cui	cui	quibus	quibus	quibus
Acc.	quem	quam	quod	quos	quas	quae
Abl.	quo	qua	quo	quibus	quibus	quibus.

შენიშვნა 1: ეს ნაცვალსახელიც, მსგავსად ჩვენებითი ნაცვალსახელებისა, I—II კანკლედობით იბრუნება, ხოლო III კანკლედობით აქვს Acc. S. მამრობითი სქესისა (quem) და D. Abl. Pl. (quibus).

შენიშვნა 2. ამ ნაცვალსახელსაც, ისევე როგორც პირიელ ნაცვალსახელებს (იხ. ზემოთ § 26, შენიშვნა), წინდებული cum ერთვის ბოლოში; quocum, quacum, quibuscum.

§ 29. ის დაბოლოება ნათესაობითსა და მიცემითში (-ius, -i), რომელიც ზემოთ განხილულ ნაცვალსახელებს აქვთ (eius, huius, istius, illius, cuius...), ლათინურში სპეციფიკურს, ნაცვალსახელოვან დაბოლოებას წარმოადგენს და ჯერ პირიელსა და ჩვენებით ნაცვალსახელებში განვითარებულა, შემდეგ კი დანარჩენებშიც გაჩენილა ანალოგიით. ასეთივე დაბოლოებები აქვს ამ ბრუნვებში შემდეგ ცხრა ნაცვალსახელსაც (მათ შორის ზოგი რიცხვითი სახელია):

unus,	una,	unum	„ერთი“ (ერთი მრავალთაგან)
solus,	sola,	solum	„ერთი“ (მხოლოდ ერთი)
ullus,	ulla,	ullum	„რომელი“ (მრავალთაგან)
nullus,	nulla,	nullum	„არავითარი“, „არც ერთი“ (მრავალთაგან)
uter,	utra,	utrum	„რომელი“ (ორში რომელი)
neuter,	neutra,	neutrum	„არც ერთი“ (ორში არც ერთი)
uterque,	utraque,	utrumque	„ორივე“

totus,	tota,	totum	„მთელი“
alter,	altera,	alterum	„მეორე“.

შენიშვნა: რადგან ius- დაბოლოებაში i გრძელია, ამიტომ ამ სიტყვებს ნათესაობითში მახვილი აქვთ ბოლოდან მეორე მარცვალზე: unius, solius, ullius...

რიცხვითი სახელი

§ 30. **რიცხვითი სახელი** ლათინურში ოთხნაირია: რაოდენობითი, რიგობითი, კოლექტიური და ჯერობითი.

რაოდენობითი		რიგობითი
1. unus, una, unum	(I)	primus, a, um პირველი
2. duo, duae, duo	(II)	secundus, a, um მეორე
3. tres, tria	(III)	tertius, a, um მესამე
4. quatuor (quattuor)	(IV)	quartus, a, um
5. quinque	(V)	quintus, a, um
6. sex	(VI)	sextus, a, um
7. septem	(VII)	septimus, a, um
8. octo	(VIII)	octavus, a, um
9. novem	(IX)	nonus, a, um
10. decem	(X)	decimus, a, um
11. undecim	(XI)	undecimus, a, um
12. duodecim	(XII)	duodecimus, a, um
13. tredecim	(XIII)	tertius (a, um) decimus (a, um)
14. quatuordecim	(XIV)	quartus decimus
15. quindecim	(XV)	quintus decimus
16. sedecim	(XVI)	sextus decimus
17. septendecim	(XVII)	septimus decimus
18. duodeviginti	(XVIII)	duodevicesimus, a, um
19. undeviginti	(XIX)	undevicesimus, a, um
20. viginti	(XX)	vicesimus, a, um
21. unus et viginti ან viginti unus	(XXI)	unus et vicesimus ან vicesimus primus
22. duo et viginti ან viginti duo	(XXII)	alter et vicesimus ან vicesimus alter
28. duodetriginta	(XXVIII)	duodetricesimus
30. triginta	(XXX)	tricesimus, a, um
40. quadraginta	(XL)	quadragesimus, a, um

50.	quinquaginta	(L)	quinquagesimus, a, um
60.	sexaginta	(LX)	sexagesimus, a, um
70.	septuaginta	(LXX)	septuagesimus, a, um
80.	octoginta	(LXXX)	octogesimus, a, um
90.	nonaginta	(XC)	nonagesimus, a, um
100.	centum	(C)	centesimus, a, um
200.	ducenti, ae, a	(CC)	ducentesimus, a, um
300.	trecenti, ae, a	(CCC)	trecentesimus, a, um
400.	quadringenti, ae, a	(CD)	quadringentesimus, a, um
500.	quingenti, ae, a	(D)	quingentesimus, a, um
600.	sescenti, ae, a	(DC)	sescentesimus, a, um
700.	septingenti, ae, a	(DCC)	septingentesimus, a, um
800.	octingenti, ae, a	(DCCC)	octingentesimus, a, um
900.	nongenti, ae, a	(CM)	nongentesimus, a, um
1000.	mille	(M)	millesimus, a, um
1967.	mille nongenti sexaginta septem	(MCMLXVII)	millesimus nongentesimus sexagesimus septimus
2000.	duo milia	(MM)	bis millesimus.

რაოდენობითი რიცხვითი სახელებიდან იბრუნება unus, duo და tres. დაწყებული „ოთხიდან“ ვიდრე „ორასამდე“ რიცხვითი სახელი არ იბრუნება.

Unus იბრუნება I—II კანკლედობით, ხოლო იცავს § 29-ში მოხსენებულ თავისებურებას (ნათ. unius და მიც. uni სამივე სქესისათვის),

Duo იბრუნება I—II კანკლედობის მრავლობითი რიცხვით, ხოლო ზოგიერთ ბრუნვაში იჩენს თავისებურებას:

N.	duo	duae	duo
G.	duorum	duarum	duorum
D.	duobus	duabus	duobus
Acc.	duos	duas	duo
Abl.	duobus	duabus	duobus.

Tres იბრუნება III კანკლედობის მრავლობითი რიცხვით:

N.	tres	tres	tria
G.	trium	trium	trium
D.	tribus	tribus	tribus
Acc.	tres	tres	tria
Abl.	tribus	tribus	tribus.

დაწყებული „ორასიდან“ რიცხვითი სახელი იბრუნება I—II კანკლედობის მრავლობითი რიცხვით: ducenti, ducentae, ducenta; ducentorum...

წარმოების მხრივ ყურადღებას იპყრობს ყოველი ათეულის „რვა“ და „ცხრა“, ე. ი. თვრამეტი, ცხრამეტი, ოცდარვა, ოცდაცხრა: duodeviginti „ორის გამოკლებით ოცი“, undeviginti „ერთის გამოკლებით ოცი“, duodetriginta „ორის გამოკლებით ოცდაათი“ და ა. შ.

რიგობითი რიცხვითი სახელი იბრუნება როგორც I—II კანკლედობის ზედსართავი სახელი (primus, prima, primum).

არსებითი სახელის ხმარება რიცხვით სახელთან ემორჩილება წესებს, რომლებიც განსხვავდება როგორც ქართული, ისე რუსული გრამატიკის წესებისაგან. იმ დროს, როდესაც ქართულში რიცხვით სახელთან შეთანხმებული არსებითი სახელი მხოლობით რიცხვში იხმარება (ორი კაცი, სამი კაცი, ოცი კაცი...), ლათინურში, ორიდან დაწყებული, არსებითი სახელი მრავლობით რიცხვშია (unus homo „ერთი კაცი“, duo homines „ორი კაცი“, tres homines „სამი კაცი“, viginti homines „ოცი კაცი“...):

ს.	duo homines	viginti homines
ნ.	duorum hominum	viginti hominum
მც.	duobus hominibus	viginti hominibus
ბრ.	duos homines	viginti homines
მ ჭ.	duobus hominibus	viginti hominibus.

რიცხვითი სახელი „ათასი“. თავისებურია „ათასის“ (mille) ბრუნება და გამოყენება, მხოლობით რიცხვში იგი დაუბრუნებელი რჩება (ყველა ბრუნვაში არის mille), ხოლო მრავლობით რიცხვში იგი იბრუნება როგორც III კანკლედობის საშუალო სქესის სიტყვა:

ს.	milia
ნ.	milium
მც.	milibus
ბრ.	milia
მ ჭ.	milibus.

Mille განიხილება როგორც არსებითი სახელი და გამოიყენება მის მსგავსად (mille — „ერთი ათასი“, duo milia — „ორი ათასი“, ისევე როგორც duo homines), ხოლო მასთან ხმარებული სხვა არსე-

ბითი სახელი, რომლის რიცხვსაც mille გამოხატავს, დგას იმ ბრუნვაში, რომელსაც ითხოვს წინადადების აგებულება:

1) თუ mille მხოლოობით რიცხვში იხმარება, მისგან დამოკიდებული სიტყვა მრავლობით რიცხვშია და იბრუნვის. მაგალითად, „სარდალი მოვიდა ათასი ჯარისკაცით“ dux cum mille militibus venit; აქ militibus მოქმედებით ბრუნვაშია, რადგან ამას მოითხოვს cum, ხოლო მრავლობითში იმიტომაა, რომ ამას ითხოვს mille:

2) თუ მრავალ ათასზეა ლაპარაკი, მაშინ milia იბრუნება ყველა ბრუნვაში, ხოლო მასთან ხმარებული არსებითი სახელი განიხილება როგორც milia-ს მსაზღვრელი და მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაშია:

ს.	quatuor milia hominum	„ოთხი ათასი კაცი“
ნ.	quatuor milium hominum	„ოთხი ათასი კაცისა“
მც.	quatuor milibus hominum	„ოთხ ათას კაცს“
ბრ.	quatuor milia hominum	„ოთხი ათასი კაცი“ (...„კაცს“)
მქ.	quatuor milibus hominum	„ოთხი ათასი კაცით“.

§ 31. კოლექტიური რიცხვითი სახელი (distributiva) გამოხატავს იმ საერთო (კოლექტიურ) რაოდენობას, რომელიც თითოეულ საგანს ხვდება წილად:

singuli,	singulae,	singula	„თითო-თითო“
bini,	binae,	bina	„ორ-ორი“
terni,	ternae,	terna	„სამ-სამი“
quaterni,	quaternae,	quaterna	„ოთხ-ოთხი“
quini,	quinae,	quina	„ხუთ-ხუთი“

და ასე შემდეგ: seni, septeni, octoni, noveni, deni, undeni (11-11), duodeni, terni deni... viceni (20-20).

§ 32. ჯერობითი რიცხვითი სახელი. უფრო მართებული იქნებოდა ამისათვის გვეწოდებინა რიცხვითი სახელისგან ნაწარმოები ზმნისართი. იგი მნიშვნელობითაც ზმნისართია და არაბრუნებადი სიტყვაა:

semel	„ერთხელ“
bis	„ორჯერ“
ter	„სამჯერ“

და ასე შემდეგ: quater, quinquies, sexies, septies, octies, novies, decies, undecies (11-ჯერ), duodecies, ter decies... vicies (20-ჯერ).

ზ მ ნ ა

§ 33. გვარი, დრო, კილო. ლათინურ ზმნას აქვს:

ა) ო რ ი გ ვ ა რ ი: მოქმედებითი (genus activum) და ვნებითი (g. passivum);

ბ) ე ქ ვ ს ი დ რ ო: აწმყო (praesens), ნამყო უსრული (imperfectum), ნამყო სრული (perfectum), წინარეწარსული (plusquamperfectum), მყოფადი I (futurum primum) და მყოფადი II (futurum secundum);

გ) ს ა მ ი კ ი ლ ო: თხრობითი (modus indicativus), კავშირებითი (m. coniunctivus) და ბრძანებითი (m. imperativus).

გარდა ამისა ლათინურში მოიპოვება სახელზმნის ფორმებიც:

ა) განუსაზღვრელი ფორმა (infinitivus);

ბ) მიმღეობა (participium);

გ) სუპინუმი (supinum);

დ) გერუნდიუმი (gerundium).

§ 34. დრო-კილოთა წარმოება. ლათინური ზმნა დრო-კილოებს აწარმოებს შემდეგი წესით: ზმნის ფუძეს ემატება დრო-კილოს დამახასიათებელი სუფიქსი და ერთვის პირის დაბოლოება. მაგალითად:

landa-ba-m „ვაქებდი“

არის მოქმედებითი გვარის ნამყო უსრულის თხრობითი კილო (imperfectum indicativi activi): აქ lauda- არის ფუძე, -ba- დრო-კილოს (ნამყო უსრ. თხრობითის) მაწარმოებელია, -m მხოლობითი რიცხვის I პირის დაბოლოებაა (მოქმედებით გვარში);

laudav-isse-t „შეაქოს“

არის მოქმედებითი გვარის წინარეწარსულის კავშირებითი კილო (plusquamperfectum coniunctivi activi): laudav- არის ფუძე, -isse- დრო-კილოს (წინარეწარსულის კავშირებითის) მაწარმოებელი, ხოლო -t მხოლ. რიცხვის III პირის დაბოლოებაა (მოქმედებით გვარში).

§ 35. ფუძე. დრო-კილოთა წარმოების დროს გამოყენებული ფუძე ზმნისა ყოველთვის ერთი და იგივე არ არის, § 34-ში მოყვანილი მაგალითებიდან პირველ ფორმას ფუძედ გამოყენებული აქვს lauda-, მეორეს—laudav-. პირველს ქვია praesens-ის ფუძე, მეორეს perfectum-ის ფუძე. ამ ფუძეებიდან იწარმოება ზმნის სხვადასხვა ფორმები. მაგალითად:

lauda-t	„აქებს“	(Praesens indicativi activi, III პირი)
lauda-ba-t	„აქებდა“	(Imperfectum „ „ „ „)
lauda-bi-t	„შეაქებს“	(Futurum I „ „ „ „)

laudavi-t „შეაქო“ (Perfectum indicativi activi, III პირი)
laudav-erat „შეუქია“ (Plusquamp. „ „ „ „)
laudav-erit „შეაქებს“ (Futurum II „ „ „ „)

ჩვენ ვხედავთ, რომ praesens-ის ფუძისაგან იწარმოება აწმყო, ნამყო უსრ. და მყოფადი I მოქმ. გვარის თხრობით კილოში, ხოლო perfectum-ის ფუძისაგან — იმავე კილოს ნამყო სრ., წინარეწარსული და მყოფადი II მოქმ. გვარისა (ამავე ფუძეებისაგან იწარმოება აგრეთვე სხვა ფორმებიც, რომელთა შესახებ იხ. §§ 38 — 43). რადგან ეს ფუძეები აწარმოებენ სხვა ფორმებს, ამიტომ მათ ჰქვია ძირითადი ფორმები. ამ ორის გარდა ძირითადი ფორმებია აგრეთვე სუპინუმი და ინფინიტივი.

ამგვარად, ლათინურ ენაში ძირითად ფორმებად მიჩნეულია ოთხი: **praesens** (ind. act.), **perfectum** (ind. act.), **supinum** და **infinitivus** (praesentis activi):

	Praesens	Perfectum	Supinum	Infinitivus	
I.	laudo	laudavi	laudatum	laudāre	„ვაქებ“
II.	deleo	delevi	delctum	delēre	„ვანადგურებ“
III.	peto	petivi	petitum	petĕre	„მივისწრაფვი“
IV.	munio	munivi	munitum	munīre	„ვამაგრებ“.

შენიშვნა: ყოველი ზმნისათვის ძირითადი ფორმები უკვე ჩამოყალიბებულია და მოცემულია ლექსიკონებში. შემსწავლელს ევალება ზმნის გაცნობისთანავე ლექსიკონში ამოიკითხოს და შეითვისოს ზმნის ძირითადი ფორმები praesens. perfectum, supinum და infinitivus).

§ 36. ოთხი უღვლილება. Praesens-ი შეიძლება გქონდეს შემდეგი ოთხი სახისა:

laudā-mus	vidē-mus	legi-mus	munī-mus
„ვაქებთ“	„ვხედავთ“	„ვკითხულობთ“	„ვამაგრებთ“.

დაბოლოება -mus არის მრავლობითი რიცხვის I პირის ნიშანი; ის, რაც ამ დაბოლოების წინაა, წარმოადგენს აწმყოს ფუძეს:

laudā-, vidē- legi, (← legĕ), munī.

აწმყოს ფუძის მიხედვით განირჩევა ზმნის ოთხი უღვლილება (ანუ მიმოხვრა):

I უღვლილება: laudā-mus (ფუძის დამახასიათებელია ā)
II უღვლილება: vidē-mus (ფუძის დამახასიათებელია ĕ)
III უღვლილება: legi-mus (ფუძის დამახასიათებელია ĕ → → ĭ → ნული)
IV უღვლილება: munī-mus (ფუძის დამახასიათებელია ī).

შენიშვნა: მესამე უღელილების დამახასიათებელია მოკლე e, რომელიც იცვლება ხოლმე: ან i-ს გვაძლევს, ან მთლად იკარგება. ამაც უღელილებით მიმოიჩერის თანხმოვანფუძიანი ზმნებიც.

§ 37. პირიელი ნიშნები. ლათინურ ზმნაში პირის ნიშნები სხვადასხვაა მოქმედებით გვარში და ვნებით გვარში.

		მოქმედ. გვარი	ვნებითი გვარი
მხ. რ.	I პირი:	-m	-r
	II პირი:	-s	-ris
	III პირი:	-t	-tur
მრ. რ.	I პირი:	-mus	-mur
	II პირი:	-tis	-mini
	III პირი:	-nt	-ntur

ამის მიხედვით, მაგალითად, გვექნება:

lauda-t „აქებს“ (აწმყო)
lauda-ba-t „აქებდა“ (ნამყო უსრ.)
lauda-bi-t „შეაქებს“ (მყოფადი I)

ე. ი. მხ. რ. III პირისათვის სამსავე დროს აქვს -t. ამ დროებს შორის განსხვავებას პირიელი ნიშანი კი არ ჰქმნის, არამედ ის ნაწილაკი, რომელიც ზმნის ფუძესა და პირიელ დაბოლოებას შუა არის ჩართული.

I. PRAESENS და მისგან ნაწარმოები ფორმები

§ 38. თხრობითი კილოს დროები. Praesens-ის ფუძისაგან იწარმოება: აწმყო, ნამყო უსრ., მყოფადი I ორსავე გვარში და ორსავე კილოში, ე. ი.

Praesens	indicativi	activi
„	„	passivi
Imperf.	indicativi	activi
„	„	passivi
Futurum I	„	a.
„	„	p.
Praesens	coniunctivi	a.
„	„	p.
Imperf.	„	a.
„	„	p.

Praesens-ის ფუძისაგან იწარმოება აგრეთვე Participium praesentis activi და Gerundivum.

შენიშვნა: მყოფად დროს კაუშირებითი კილოს ფორმები არა აქვს.

თხრობითი კილოს ეს დროები, მოქმედებითშიც და ვნებითშიც, იწარმოება ასე:

ა) Praesens-ის საწარმოებლად ფუძეს ემატება პირიელი დაბოლოებები;

ბ) Imperfectum-ში ფუძეს ემატება სუფიქსი **-ba-** (I—II უღვლილების ზმნათათვის) ან **-eba-** (III—IV უღვლილების ზმნათათვის) და პირიელი ნიშნები;

გ) Futurum I-ს სხვადასხვანაირად აწარმოებენ I—II უღვლილების ზმნები და III—IV უღვლილებისა; I—II უღვლილება მაწარმოებელ სუფიქსად ხმარობს ნაწილაკს **-be-** || **-bi-** || **b**, ხოლო III—IV უღვლილებისა **-a-** || **-e-**.

მყოფადი დროის წარმოებაში არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ შემდეგ გარემოებას: I—II უღვლილებათა ზმნები მყოფადს აწარმოებენ **b**-სუფიქსის მეშვეობით, ხოლო III—IV უღვლილების ზმნები მყოფადის საწარმოებლად იყენებენ სულ სხვა სუფიქსს **a** || **e**, რასაც არავითარი კავშირი არა აქვს **b**-სუფიქსთან:

curabo implebo, მაგრამ leg-**a**-m audi-**a**-m.

ბუნებრივია, რომ ადამიანმა დასვას ასეთი კითხვა: თუ curabo და legam ორივე მყოფად დროს წარმოადგენენ, რატომ არა აქვთ ერთნაირი მაწარმოებელი ამ დროისა, მყოფადისა? ხოლო, თუ curabo და legam ნაწარმოებია სხვადასხვა სუფიქსის მეშვეობით (ერთ შემთხვევაში **b**, ხოლო მეორე შემთხვევაში **a**), უნდა ვიფიქროთ, რომ თავისი წარმოშობით ისინი სხვადასხვა ზმნურ ფორმებს წარმოადგენენ.

მართლაც: 1) curabo implebo თავისი მაწარმოებელი **b**-სუფიქსით წარმოადგენენ ნამდვილ მყოფადს, ფუტურუმს: 2) ხოლო legam audiam თავისი **a**-სუფიქსით ამჟღავნებენ თავის ნათესაობას აწმყო დროის კავშირებით კილოსთან (Praesens coniunctivi).

Praesens coniunctivi	Futurum I
legam	legam
legas	leges
legat	leget.

ამგვარად საფიქრებელია, რომ მყოფადი legam იგივეა, რაც კავშირებითი legam. მართალია, მეორე პირიდან მოკიდებული მყოფადს აქვს **e** (leges, leget), ხოლო კავშირებითს რჩება თავისი **a** (legas, legat), მაგრამ ამ მოვლენას თავისი ახსნა იმაში აქვს, რომ უძველესი ლათინურისათვის კავშირებითის მაწარმოებელი იყო როგორც

a, ისე e, რამდენადაც კავშირებითის e უნდა მომდინარეობდეს ინდოევროპული ნატვრითი კილოს, optativus, e-სუფიქსისაგან (ცნობილია, მაგალითად, ბერძნული ნატვრითი კილოს η).

რომ მყოფადი I და აწმყოს კავშირებითი ერთიდაიგივე არის, ჩანს იქიდანაც, რომ იგივე მეორდება მყოფად II-სა და პერფექტუმის კავშირებითში:

Perfectum coniunctivi	Futurum II
legerim	legero
legeris	legeris
legerit	legerit.

ასეთი იგივეობა I და II მყოფადისა და Praesens-Perfectum-ის კავშირებითისა შემთხვევითი, რასაკვირველია, არ შეიძლება იყოს. და უნდა სრულიად მტკიცედ მივიღოთ ის დებულება, რომ ლათინურ მყოფადს გარკვეულ შემთხვევებში (III და IV უღვლილებათა ზმნებში) თავისი საკუთარი წარმოება არ ჰქონდა: **მყოფადი ნასესხებია კავშირებითისაგან**. ამ მოვლენის სრული ანალოგია გვაქვს ძველ ქართულში.

ახალ ქართულში ხმარებული მყოფადი (დავწერ, გავაკეთებ...) შედარებით ახალი ფორმაციისაა. ძველი ქართულისათვის „ვწერ" და „დავწერ" — ორივე აწმყოა და არა აწმყო-მყოფადი, ხოლო მყოფადის მნიშვნელობით ძველი ქართული ხმარობს კავშირებითს

ვწერდე ვწერო

მაგალითად: «რამეთუ შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა **აღვაშენო** (კავშ. I) ეკლესიაჲ ჩემი» (quia tu es Petrus et super hanc petram **aedificabo** (Futurum I) ecclesiam meam.

მოქმედებითი გვარის თხრობითი კილო

	I უღვლილება	II უღვლილება	III უღვლილება	IV უღვლილება
	cur-o	imple-o	lego	audi-o
	ვზრუნავ	ვავსებ	ვკითხულობ	ვისმენ
Praesens	cura-s	imple-s	legi-s	audi-s
	cura-t	imple-t	legi-t	audi-t
	cura-mus	imple-mus	legi-mus	audi-mus
	cura-tis	imple-tis	legi-tis	audi-tis
	cura-nt	imple-nt	leg-u-nt	audi-u-nt

Imperfectum	cura-ba-m ვზრუნავდი	imple-ba-m ვაესებდი	leg-eba-m ვკითხულობდი	audi-eba-m ვისმენდი
	cura-ba-s	imple-ba-s	led-eba-s	audi-eba-s
	cura-ba-t	imple-ba-t	leg-eba-t	audi-eba-t
	cura-ba-mus	imple-ba-mus	leg-eba-mus	audi-eba-mus
	cura-ba-tis	imple-ba-tis	leg-eba-tis	audi-eba-tis
	cura-ba-nt	imple-ba-nt	leg-eba-nt	audi-eba-nt
Futurum I	cura-b-o ვიზრუნებ	imple-b-o ავაესებ	leg-a-m წავიკითხავ	audi-am მოვისმენ
	cura-bi-s	imple-bi-s	leg-e-s	audi-e-s
	cura-bi-t	imple-bi-t	leg-e-t	audi-e-t
	cura-bi-mus	imple-bi-mus	leg-e-mus	audi-e-mus
	cira-bi-tis	imple-bi-tis	led-e-tis	audi-e-tis
	cura-b-unt	imple-b-unt	leg-e-nt	audi-e-nt

ვნებითი გვარის თხრობითი კილო

	I უღლი-ლება	II უღლი-ლება	III უღლი-ლება	IV უღლი-ლება
Praesens	cur-o-r	imple-o-r	leg-o-r	audi-o-r
	cura-ris	imple-ris	lege-ris	audi-ris
	cura-tur	imple-tur	legi-tur	audi-tur
	cura-mur	imple-mur	legi-mur	audi-mur
	cura-mini	imple-mini	legi-mini	audi-mini
	cura-ntur	imple-ntur	leg-u-ntur	audi-u-ntur
Imperfectum	curabar	implebar	legebar	audiebar
	curabaris	implebaris	legebaris	audiebaris
	curabatur	implebatur	legebatur	audiebatur
	curabamur	implebamur	legebamur	audiebamur
	curabamini	implebamini	legebamini	audiebamini
	curabantur	implebantur	legebantur	audiebantur
Futurum I	curabor	implebor	legar	audiar
	curaberis	impleberis	legeris	audieris
	curabitur	implebitur	legetur	audietur
	curabimur	implebimur	legemur	audiemur
	curabimini	implebimini	legemini	audiemini
	curabuntur	implebuntur	legentur	audientur

შენიშვნა 1: მოქმედებითი გვარის აწმყოსა და მყოფადში მხ. რ. პირველ პირს არა აქვს მისი კუთვნილი **-m**, მაგრამ აქვს **-o**. ეს **-o** პირიელი ნიშანი კი არ არის, არამედ ნაშთია ძველი შემაერთებელი ხმოვნისა, პირიელი ნიშანი **-m** კი დაკარგულია.

შენიშვნა 2: აწმყოს წარმოებაში შეინიშნება შემდეგი: ა) I უღლილებაში მხ. რ. I პირში ხდება **a** და **o**-ს შერწყმა (უნდა ყოფილიყო **curao** და **curaor**, არის **curo** და **curor**); ბ) III—IV უღლილებაში მრ. რ. III პირს აქვს შემაერთებელი ნიშანი **-u-**: გ) III უღლილებაში ფუძის დაბოლოება **e** (მოკლე **e**) ზოგან გვაძლევს **-i-**ს. ზოგან ნულს.

შენიშვნა 3: მყოფადი I—II უღლილებისა ბოლოკიდურის ხმოვანს იცვლის იმავენაირად (**-bo, -bis, -bit, -bimus, -bitis, -bunt**), როგორც III უღლილების აწმყო.

§ 39. კავშირებითი კილოს დროები. აწმყო და ნამყო უსრული კავშირებით კილოში იწარმოება ასე:

ა) Praesens-ის საწარმოებლად ფუძეს ემატება სუფიქსი **-a-** (II, III, IV უღლ.) ან **-e-** (I უღლ.) და პირიელი ნიშნები;

ბ) Imperfectum-ის საწარმოებლად ფუძეს ემატება სუფიქსი **-re-** (რომელიც **-se**-საგან არის მიღებული) და პირიელი ნიშნები.

მყოფადს კავშირებითი კილოს ფორმები არა აქვს.

მოქმედებითი გვარის კავშირებითი კილო

	I უღლილება	II უღლილება	III უღლილება	IV უღლილება
Praesens	cur-em	imple-am	leg-am	audi-am
	ვზრუნავდე	ვავსებდე	ვკითხულობდე	ვისმენდე
	cur-es	imple-as	leg-as	audi-as
	cur-et	imple-at	leg at	audi-at
	cur-emus	imple-amus	leg-amus	audi-amus
	cur-etis	imple-atis	leg-atis	audi-atis
	cur-ent	imple-ant	leg-ant	audi-ant
Imperfectum	cura-rem [1]	imple-rem	lege-rem	audi-rem
	ვიზრუნო	ავავსო	ვიკითხო	ვისმინო
	cura-res	imple-res	lege-res	audi-res
	cura-ret	imple-ret	lege-ret	audi-ret
	cura-remus	imple-remus	lege-remus	audi-remus
	cura-retis	imple-retis	lege-retis	audi-retis
	cura-rent	imple-rent	lege-rent	audi-rent

[1] cura-ფუძეს რომ **-re** მივუმატოთ, მივიღებთ ინფინიტივს **curare**, ასე რომ გარეგნულად ისე გამოდის, რომ **curarem** ნაწარმოებია ინფინიტივისაგან, რასაც იზიარებს ლათინური გრამატიკის ზოგიერთი ავტორი.

	I უღვლილება	II უღვლილება	III უღვლილება	IV უღვლილება
Praesens	cur-er	imple-ar	leg-ar	audi-ar
	cur-eris	imple-aris	leg-aris	audi-aris
	cur-etur	imple-atur	leg-atur	augi-atur
	cur-emur	imple-amur	leg-amur	audi-amur
	cur-emini	imple-amini	leg amini	audi-amini
	cur-entur	imple-antur	leg-autur	audi-antur
Imperfectum	cura-rer	imple-rer	lege-rer	audi-rer
	cura-reris	imple-reris	lege-reris	audi-reris
	cura-retur	imple-retur	lege-retur	audi-retur
	cura-remur	imple-remur	lebe-remur	audi-remur
	cura-remini	imple-remini	lege-remini	audi-remini
	cura-rentur	imple-rentur	lege rentur	audi-rentur

§ 40. ყოფნა-ზმნა sum. ეს ზმნა ყველა ენაში თავისებური უღვლილებით არის წარმოდგენილი. ლათინურში იგი ასე იუღვლება აწმყოს ჯგუფის დროებში:

	Praesens	Imperfectum	Futurum
Indic.	sum, es, est, sumus estis, sunt	eram, eras, erat...	ero, eris, erit...
Coniunct.	sim, sis, sit...	essem, esses, esset	

(დაწვრილებით იხ. ქვემოთ, § 56).

II. PERFECTUM და მისგან ნაწარმოები ფორმები

§ 41. Perfectum-ის ფუძე. მეორე ძირითადი ფორმაა perfectum ind. act. (მოქმ. გვარის ნამყო სრულის თხრობითი კილო); იგი გამოხატავს დაახლოებით იმასვე, რასაც ქართული ნამყო წყვეტილი („ვწერე", „ვაქე" და მისთანანი).

	მხ. რ.		მრ რ.	
1.	laudav-i	ვაქე	laudav-imus	ვაქეთ
2.	laudav-isti	აქე	laudav-istis	აქეთ
3.	laudav-it	აქო	laudav-ērunt	აქეს.

პირიელი ნიშნები პერფექტუმში ყველა ზმნას ერთნაირი აქვს -i, -isti, -it, -imus, -istis, -ērunt), ხოლო პერფექტუმის ფუძე სხვადასხვანაირად იწარმოება სხვადასხვა ზმნისათვის.

არსებობს ხუთი სახე პერფექტუმის ფუძისა; ეს სახეები განირჩევიან იმისდა მიხედვით, თუ რა სუფიქსის საშუალებით არის ნაწარმოები ფუძე.

სუფიქსი	I უღლილება	II უღლილება	III უღლილება	IV უღლილება
1. -v-	**lauda-v-i** ვაქე	**dele-v-i** მოვსპე	**peti-v-i** გავემართე	**muni-v-i** ვამაგრე
2. -u-	**vet-u-i** ავკრძალე	**terr-u-i** დავაშინე	**al-u-i** ვკვებე	**aper-u-i** გავაღე
3. -s-		**man-s-i** დავრჩი	**scrip-s-i** ვწერე	**sen-si** ვიგრძენი
4. უსუფიქსოდ	**lāv-i** დავიბანე	**vīd-i** დავინახე	**ēm-i** ვიყიდე	**vēn-i** მოვედი
5. უსუფიქსოდ, მაგრამ რედუპლიკაციით	**de-d-i** მივეცი	**pe-pend-i** ვეკიდე	**ce-cin-i** ვიმღერე	**rep(e)per-i** ვიპოვე

ოთხივე უღლილების ზმნაში გვხვდება ყველა სახის პერფექტუმი (არა გვაქვს მხოლოდ -s-სუფიქსიანი ფუძე I უღლილებისთვის). მაგრამ ესა თუ ის უღლილება უპირატესად მაინც რომელიმე გარკვეული სახის წარმოებას მისდევს. ასე მაგალითად:

ა) I უღლილების ზმნათა დიდი უმრავლესობა -v-სუფიქსით აწარმოებს პერფექტუმს. ამავე სუფიქსს საკმაოდ ხშირად იყენებს IV უღლილებაც. ყველაზე ნაკლებად მას იყენებენ II და III უღლილების ზმნები;

ბ) II უღლილების ზმნები უმეტეს შემთხვევაში -u-სუფიქსიან პერფექტუმს აწარმოებენ; ამავე სუფიქსს ხშირად იყენებს აგრეთვე III უღლილებაც;

გ) s-სუფიქსიანი წარმოება უპირატესად III უღლილების ზმნებში გვხვდება;

დ) რედუპლიკაციით წარმოებული სახე მრავალრიცხოვნად აგრეთვე III უღლილების ზმნებში გვხვდება.

§ 42. დრო-კილოთა წარმოება პერფექტუმის ფუძისაგან. პერფექტუმის ფუძისაგან იწარმოება მოქმედებითი გვარის ნამყო

სრული (Perfectum) და წინარეწარსული (Plusquamperfectum) ორსავე კილოში (თხრობითსა და კავშირებითში) და მყოფადი II (Futurum secundum).

მოქმედებითი გვარის თხრობითი კილო

	I უღლილება	II უღლილება	III უღლილება	IV უღლილება
Perfectum	curavi ვიზრუნე	implevi ავავსე	legi ვიკითხე	audivi ვისმინე
	curavisti	implevisti	legisti	audivisti
	curavit	implevit	legit	audivit
	curavimus	implevimus	legimus	audivimus
	curavistis	implevistis	legistis	audivistis
	curavērunt	implevērunt	legēruut	audivērunt
Plusquamperfectum	curaveram მიზრუნავს	impleveram ამიავსია	legeram წამიკითხავს	audiveram მისმენია
	curaveras	impleveras	legeras	audiveras
	curaverat	impleverat	legerat	audiverat
	curaveramus	impleveramus	legeramus	audiveramus
	curaveratis	impleveratis	legeratis	audiveratis
	curaverant	impleverant	legerant	audiverant
Futurum II	curavero ვიზრუნებ	implevero ავავსებ	legero წავიკითხავ	audivero მოვისმენ
	curaveris	impleveris	legeris	audiveris
	curaverit	impleverit	legerit	audiverit
	curaverimus	impleverimus	legerimus	audiverimus
	curaveritis	impleveritis	legeritis	audiveritis
	curaverint	impleverint	legerint	audiverint

მოქმედებითი გვარის კავშირებითი კილო

Perfectum	curaverim	impleverim	legerim	audiverim
	curaveris	impleveris	legeris	audiveris
	curaverit	impleverit	legerit	audiverit
	curaverimus	impleverimus	legerimus	audiverimus
	curaveritis	impleveritis	legeritis	audiveritis
	curaverint	impleverint	legerint	audiverint

Plusquamperfectum				
	curavissem	implevissem	legissem	audivissem
	curavisses	implevisses	legisses	audivisses
	curavisset	implevisset	legisset	audivisset
	curavissemus	implevissemus	legissemus	audivissemus
	curavissetis	implevissetis	legissetis	audivissetis
	curavissent	implevissent	legissent	audivissent

შენიშვნა 1: წინარეწარსულის საწარმოებლად პერფექტუმის ფუძეს მიმატებული აქვს eram, eras, erat... (თხრობით კილოში) და -issem, -isses, isset... (კავშირებით კილოში).

შენიშვნა 2: მეორე მყოფადის საწარმოებლად პერფექტუმის ფუძეს ემატება ero, eris, erit... ხოლო მრ. რ. III პირში გვაქვს -erint (erunt-ის ნაცვლად).

შენიშვნა 3: ნამყო სრულის კავშირებითის საწარმოებლად გამოყენებულია ყოფნა-ზმნის აწმყოს კავშირებითის უძველესი ფორმა erim, eris, erit...

III. SUPINUM და მისგან ნაწარმოები ფორმები

§ 43. ვნებითის მიმღეობა. თუ ჩვენ აწმყოში გამოყენებულ ფუძეს ავიღებთ (lauda-, dele- და სხვ.), მივუმატებთ t-ს და I—II კანკლედობის ზედსართავის ბოლოკიდურს (-us, -a, -um) დავურთავთ, მივიღებთ ვნებითი გვარის ნამყო სრულის მიმღეობას (participium perfecti passivi):

lauda-t-us	dele-t-us	peti-t-us	muni-t-us, a, um
ქებული	მოსპობილი	მიმართული	გამაგრებული

ზოგჯერ მიმღეობის -t- ემატება შეკვეცილ ფუძეს:

ფუძე seca : sec-t-us „განკვეთილი“
„ tene : ten-t-us „დაჭერილი“
„ veni : ven-t-us „მოსული“.

ზოგიერთ ზმნას ვნებითის მიმღეობის მაწარმოებლად აქვს -s-

video : vi-s-us, a, um „ნახული“
divido : divi-s-us, a, um „გაყოფილი“
sentio : sen-s-us, a, um „ნაგრძნობი“.

§ 44. სუპინუმის წარმოება. ვნებითის მიმღეობისაგან იწარმოება არსებითი სახელი IV კანკლედობისა:

ვნებითის მიმღეობა	IV კანკლ. არსებითი სახელი	
actus, a, um	actus, us	„მოქმედება“
adventus, a, um	adventus, us	„მოსვლა“
laudatus, a, um	laudatus, us	„ქება“
sensus, a, um	sensus, us	„გრძნობა“
visus, a, um	visus, us	„ხედვა“.

ასეთი არსებითი სახელის ბრალდებითი ბრუნვა იხმარება ცალკე გამოთქმის სახით და მას ეწოდება სუპინუმი (supinum); მნიშვნელობით იგი უდრის იმასვე, რასაც ძველ ქართულში ხმარებული „კითხვად“, „კლვად“, „განგდებად“, ან ახალი ქართულის „საკითხავად“, „მოსაკლავად“, „გასაგდებად“.

აწმყო	ვნებითის მიმღ.	სუპინუმი	
facio	factus, a, um	factum	„გასაკეთებლად“
dico	dictus, a, um	dictum	„სათქმელად“
scribo	scriptus, a, um	scriptum	„საწერად“.

ამგვარად, სუპინუმი წარმოადგენს ვნებითი მიმღეობისაგან ნაწარმოებ IV კანკლედობის არსებითი სახელის ბრალდებით ბრუნვას, ხმარებულს დამოუკიდებელი გამოთქმის სახით. გრამატიკის სახელმძღვანელოებში კი მიღებულია ისეთი განმარტება, თითქოს საწყისი ანუ ძირითადი ფორმა იყოს სუპინუმი (მაგალითად, scriptum) და მისგან იწარმოებოდეს ვნებითის მიმღეობა (scriptus, a, um). რადგან ვნებითის მიმღეობა (scriptus) აწარმოებს ვნებითი გვარის მთელ რიგ ფორმებს (იხ. § 45), ამიტომ ბუნებრივია, რომ სუპინუმი მიჩნეულია ერთ-ერთ ძირითად ფორმად.

§ 45. ვნებითი გვარის ნამყო სრ., წინარეწარსული და მეორე მყოფადი. ვნებითის მიმღეობისა და ყოფნა-ზმნის საშუალებით იწარმოება ვნებითი გვარის perfectum და plusquamperfectum, როგორც თხრობით კილოში ისე კავშირებითში, და futurum II.

ა) perfectum passivi-ს საწარმოებლად უნდა ავიღოთ ვნებითის მიმღეობა მოცემული ზმნისა და ყოფნა-ზმნის აწმყო (თხრობითი კილო dictus est „ითქვა“, კავშირ. dictus sit „ითქვას“);

ბ) plusquamperfectum passivi იწარმოება მოცემული ზმნის ვნებითის მიმღეობისაგან და ყოფნა-ზმნის ნამყო უსრულისაგან (თხრობითი კილო dictus erat „თქმული ყო“, კავშირ. dictus esset „თქმული ყო“).

გ) futurum II-ს აწარმოებს მოცემული ზმნის ვნებითის მიმღეობა და ყოფნა-ზმნის პირველი მყოფადი (dictus erit „ითქმება“).

ვნებითი გვარის თხრობითი კილო

	I უღლილება	II უღლილება	III უღლილება	IV უღლილება
Perfectum	curatus sum	impletus sum	lectus sum	auditus sum
	curatus es	impletus es	lectus es	auditus es
	curatus est	impletus est	lectus est	auditus est
	curati sumus	impleti sumus	lecti sumus	auditi sumus
	curati estis	impleti estis	lecti estis	auditi estis
	curati sunt	impleti sunt	lecti sunt	auditi sunt

Plusquamperfectum	curatus eram	impletus eram	lectus eram	auditus eram
	curatus eras	impletus eras	lectus eras	auditus eras
	curatus erat	impletus erat	lectus erat	auditus erat
	curati eramus	impleti eramus	lecti eramus	auditi eramus
	curati eratis	impleti eratis	lecti eratis	auditi eratis
	curati erant	impleti erant	lecti erant	auditi erant
Futurum II	curatus ero	impletus ero	lectus ero	auditus ero
	curatus eris	impletus eris	lectus eris	auditus eris
	curatus erit	impletus erit	lectus erit	auditus erit
	curati erimus	impleti erimus	lecti erimus	auditi erimus
	curati eritis	impleti eritis	lecti eritis	auditi eritis
	curati erunt	impleti erunt	lecti erunt	auditi erunt

ვნებითი გვარის კავშირებითი კილო

	I უღლილება	II უღლილება	III უღლილება	IV უღლილება
Perfectum	curatus sim	impletus sim	lectus sim	auditus sim
	curatus sis	impletus sis	lectus sis	auditus sis
	curatus sit	impletus sit	lectus sit	auditus sit
	curati simus	impleti simus	lecti simus	auditi simus
	curati sitis	impleti sitis	lecti sitis	auditi sitis
	curati sint	impleti sint	lecti sint	auditi sint
Plusquamperfectum	curatus essem	impletus essem	lectus essem	auditus essem
	curatus esses	impletus esses	lectus esses	auditus esses
	curatus esset	impletus esset	lectus esset	auditus esset
	curati essemus	impleti essemus	lecti essemus	auditi essemus
	curati essetis	impleti essetis	lecti essetis	auditi essetis
	curati essent	impleti essent	lecti essent	auditi essent.

ნაზმნარი სახელები

§ 46. მიმღეობა (participium). ლათინურში ოთხნაირი მიმღეობაა:

1. part. praesentis activi — იწარმოება აწმყოს ფუძისაგან; მაწარმოებელია **-ns** (I—II უღლილებისათვის) და **-ens** (III—IV უღლილებისათვის); იბრუნება მესამე კანკლედობით; მაგალითად, dicens (dicentis) სამივე სქესისათვის, „მთქმელი“.

2. part. perfecti passivi (იხ. ზემოთ § 43).

3. part. futuri activi — იწარმოება პერფექტუმის მიმღეობისაგან; მაწარმოებელია -rus, -ra, -rum: იბრუნება I—II კანკლედობით; მაგალითად, dicturus „ის ვინც თქმას აპირებს“.

4. part. futuri passivi (ანუ gerundivum) — იწარმოება აწმყოს ფუძისაგან; მაწარმოებელია -udus, a, um (I—II უღლილებისათვის) და endus, a, um (III—IV უღლილებისათვის); მაგალითად, laudandus „ის, ვინც უნდა იქოს“, „საქები“.

§ 47. განუსაზღვრელი ფორმა (infinitivus). ლათინურში განუსაზღვრელი ფორმა აქვს ორივე გვარის (act. და pass.) სამსავე დროს (აწმყოს, ნამყოსა და მყოფადს), ე. ი. სულ ექვსნაირი ფორმაა.

1. inf. praesentis activi — იწარმოება აწმყოს ფუძისაგან; მაწარმოებელია **-re**; მაგალითად, lauda-re, vide-re;

2. inf. praesentis passivi — იწარმოება აწმყოს ფუძისაგან; მაწარმოებელია **-ri** და (III უღლილებისათვის) **-i**: lauda-ri, vide-ri; leg-i, muni-ri.

3. inf. perfecti activi — იწარმოება პერფექტუმის ფუძისაგან; მაწარმოებელია **-isse**; მაგალითად, laudav-isse, dix-isse;

4. inf. perfecti passivi — იწარმოება პერფექტუმის მიმღეობისაგან ყოფნა-ზმნის მეშვეობით:

laudatum, am, um esse
laudatus, a, um esse
laudatos, as, a esse
laudati, ae, a esse

ე. ი. შედგება ორი ნაწილისაგან: პირველია ვნებითის მიმღეობა ბრალდებითში ან სახელობითში, მეორე — ყოფნა-ზმნის inf. praes.

5. inf. futuri activi — იწარმოება მყოფადის მიმღეობისაგან:

laudaturum, a, um, esse
laudaturus, a, um, esse
laudaturos, as, a, esse
laudaturi, ae, a esse.

6. inf. futuri passivi: laudatum iri; ამ მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე ფორმა: laudandum, am, um esse (ან laudandus esse...).

§ 48. სუპინუმი. ნაზმნარი სახელია აგრეთვე სუპინუმი. სუპინუმი ორგვარია: supinum I და supinum II.

(გაგრძელება 69 გვერდზე)

მიმღეობა

Participium	I უღვლილება	II უღვლილება	III უღვლილება	IV უღვლილება
1. pracs. activi	laudans მაქებელი	videns მხედველი	dicens მთქმელი	munіens გამმაგრებელი
2. perfecti passivi	laudatus, a, um ქებული	visus, a, um ნახული	dictus, a, um თქმული	munitus, a, um გამაგრებული
3. futuri activi	laudaturus, a, um ვინც ქებას აპირებს	visurus, a, um ვინც (და)ნახვას აპირებს	dicturus, a, um ვინც თქმას აპირებს	munіturus, a, um ვინც გამაგრებას აპირებს
4. futuri passivi	laudandus, a, um საქები	videndus, a, um სანახავი	dicendus, a, um სათქმელი	muniendus, a, um გასამაგრებელი

განუსაზღვრელი ფორმა

Infinitivus	I უღვლილება	II უღვლილება	III უღვლილება	IV უღვლილება
1. praesentis activi	laudāre	vidēre	dicĕre	munīre
2. „ passivi	laudāri	vidēri	dici	munīri
3. perfecti activi	laudavisse	vidisse	dixisse	munivisse
4. „ passivi	laudatum esse	visum esse	dictum esse	munitum esse
5. futuri activi	laudaturum esse	visurum esse	dicturum esse	munіturum esse
6. „ passivi	laudatum iri	visum iri	dictum iri	munitum iri

პირველი სუპინუმი წარმოადგენს ვნებითის მიმღეობისაგან ნაწარმოებ IV კანკლედობის არსებითი სახელის ბრალდებით ბრუნვას (იხ. ზემოთ § 44): laudatum „საქებად“.

მეორე სუპინუმი იმავე არსებითი სახელის ერთ-ერთ ბრუნვას წარმოადგენს **-u** დაბოლოებით: laudatu; ესეც გადმოითარგმნება „საქებად“. მაგრამ იგი იხმარება სულ სხვა შემთხვევაში, ვიდრე პირველი სუპინუმი. პირველი სუპინუმი იხმარება მოძრაობის გამომხატველ ზმნასთან და აღნიშნავს მ ი ზ ა ნ ს (თუ რა მიზნით არის განზრახული ესა თუ ის მოძრაობა); ამასთანავე იგი მოითხოვს ხოლმე ობიექტს, რისკენაც არის ეს მიზანი მიმართული. მეორე სუპინუმი კი თვითონ წარმოადგენს დამატებას სხვა სიტყვისას, ზედსართავი ან არსებითი სახელისას:

legati missi sunt **consultum** Apollinem ელჩები გაიგზავნენ აპოლონის შესაკითხავად (ე. ი. რათა შეკითხებოდნენ აპოლონს).

Res facilis **cognitu** გამოსაცნობად ადვილი საქმე.

Terribile **visu** შესახედავად საზარელი.

§ 49. გერუნდიუმი. თუ ვნებითი მყოფადის მიმღეობას საშუალო სქესში (laudandum) ვაბრუნებთ ნათ. მც. ბრალდ. და მოქმედებითში, მივიღებთ ე. წ. Gerundium-ს, რომელიც ქართულად საწყისი ფორმით გადმოიცემა: laudandi (ქებისა), laudando (ქებას), ad laudandum (ქებისათვის, საქებად), laudando (ქებით). სახელობითისათვის ამავე მნიშვნელობით იხმარება laudare (ქება):

N. laudare
G. laudandi
D. Abl. laudando
Acc. ad laudandum.

ბრძანებითი კილო

§ 50. ბრძანებითი კილო (imperativus) ორი დროისა იხმარება— აწმყოსი და მყოფადისა (ორსავე გვარში).

Imperativus praesentis activi

მხ. რ. 2. პირი:	lauda	აქე	vidē	legĕ	munī
მრ. რ. 2. პირი:	laudāte	აქეთ	vidē-te	lĕgi-te	munī-te

Imperativus praesentis passivi

მხ. რ. 2. პირი:	laudā-re	გაქონ	vidē-re	legĕ-re	munī-re
მრ. რ. 2. პირი:	lauda-mini		vide-mini	legi-mini	muni-mini

შენიშვნა 1: მოქმედებით გვარში მხოლოობითი რიცხვისათვის აღებულია აწმყოს ფუძე ან ინფინიტივი -re-ს გამოკლებით (lauda, vide...), ხოლო მრავლობითისათვის ამ ფუძეს მიმატებული აქვს -te. ზოგიერთი ზმნა III უღვლილებისა იყენებს შემოკლებულ ფუძეს: dic „თქვი“, fac „გააკეთე“, duc „წაიყვანე“.

შენიშვნა 2: ვნებით გვარში ბრძანებითი კილოსათვის გამოყენებულია აწმყოს II პირი (laudaris, laudamini), მაგრამ მხოლოობით რიცხვში -ris დაბოლოების შეკვეცილი ფორმაა (-re).

მყოფადის ბრძანებითი კილო, უპირატესად, მოქმედებით გვარში იხმარება და მას აქვს ორი პირის ფორმა — მეორე და მესამე პირისა თითოეულ რიცხვში:

Activum

მხ. რ. 2. პირი:	lauda-to	უნდა აქო	vide-to	légi-to	muni-to
„ „ 3. პირი:	lauda-to	უნდა აქოს	vide-to	légi-to	muni-to
მრ. რ. 2. პირი:	lauda-tote	უნდა აქოთ	vide-tote	legi-tote	muni-tote
„ „ 3. პირი:	lauda-nto	უნდა აქონ	vide-nto	leg-unto	muni-unto

Passivum

მხ. რ. 2 პირი	laudator	უნდა იქო	videtor
„ „ 3 „	laudator	უნდა იქოს	videtor
მრ. რ. 3 „	laudantor	უნდა იქონ	videntor.

VERBA DEPONENTIA („გადადებული ზმნები“)

§ 51. დეპონენსები ეწოდება ისეთ ზმნებს, რომელთაც ვნებითი გვარის უღვლილება აქვთ, მნიშვნელობა კი — მოქმედებითი გვარისა. ამიტომ ასეთი ზმნების ძირითადი ფორმები მხოლოდ შემდეგი სახით არის წარმოდგენილი:

hortor, hortatus sum, hortari „ვარწმუნებ“,

ე. ი. 1) praesens passivi (hortor), 2) perfectum p. (hortatus sum), 3) infinitivus praesentis p. (hortari). დეპონენსებს მოქმედებითი გვარითაც მოეპოვებათ ზოგიერთი ფორმა, მაგალითად: ა) აწმყოს მიმღეობა (hortans), ბ) მყოფადის მიმღეობა (hortaturus) და გ) მყოფადის განუსაზღვრელი (hortaturum esse).

დეპონენსების რაოდენობა ლათინურში საკმაოდ დიდია (250-მდე), ამათგან ყველაზე მეტი პირველი უღვლილებისაა.

ხშირად გვხვდება კლასიკურ ტექსტებში შემდეგი დეპონენსები:

პირველი უღლილებისა[1]

arbitror, arbitratus sum, arbitrari ვფიქრობ, მიმაჩნია
conor, conatus sum, conari ვცდილობ
for, fatus sum, fari ვლაპარაკობ
gratulor, gratulatus sum, gratulari გამოვთქვამ, ვულოცავ
hortor, hortatus sum, hortari ვარწმუნებ, ვურჩევ
adhortor, cohortor
imitor, imitatus sum, imitari ვბაძავ
miror, miratus sum, mirari მიკვირს
admiror, demiror
moror, moratus sum, morari ვაყოვნებ
opinor, opinatus sum, opinari ვვარაუდობ
populor, populatus sum, populari ვარბევ
venor, venatus sum, venari ვნადირობ.

მეორე უღლილებისა

fateor, fassus sum, fateri აღვიარებ
confiteor, profiteor
medeor, mederi ვუექიმებ, ვწამლობ
mereor, meritus sum, mereri დავიმსახურებ
misereor, miseritus sum, misereri მებრალება
polliceor, pollicitus sum, polliceri ვპირდები
reor, ratus sum, reri მგონია
tueor, tuitus sum, tueri ვჰვრეტ
intueor
vereor, veritus sum, vereri მეშინია.

მესამე უღლილებისა

adipiscor, adeptus tum, adipisci ვაღწევ
gradior, gressus sum, gradi მივაბიჯებ
aggredior, congredior, ingredior, progredior, regredior
labor, lapsus sum, labi ვვარდები
collabor, delabor, elabor
loquor, locutus sum, loqui ვლაპარაკობ
alloquor, colloquor, eloquor

---

[1] უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ძირეული ზმნები მოგვყავს, ამათ გარდა მრავალია პრევერბიანი ზმნაც, მაგალითად: hortor adhortor cohortor, miror admiror demiror, labor delabor elabor...

morior, mortuus sum, mori კვდები
demorior, emorior

nascor, natus sum, nasci ვიბადები
obliviscor, oblitus sum, oblivisci ვივიწყებ
patior, passus sum, pati ვითმენ
proficiscor, profectus sum, proficisci მივემგზავრები
queror, questus sum, queri ვჩივი
reminiscor, reminisci მოვიგონებ, მოვიხსენებ
sequor, secutus sum, sequi მივყვები, მივსდევ
consequor, exsequor, insequor, obsequor, persequor, prosequor
utor, usus sum, uti ვსარგებლობ, ვიყენებ-

მეოთხე უღვლილებისა

largior, largitus sum, largiri უხვად ვაძლევ, ვასაჩუქრებ
mentior, mentitus sum, mentiri ვცრუობ
metior, mensus sum, metiri ვზომავ
ordior, orsus sum, ordiri ვიწყებ
orior, ortus sum, oriri ამოვდივარ, ვჩნდები
partior, partitus sum, partiri ვყოფ, ვინაწილებ(თ)
potior, potitus sum, potiri დავეუფლები, ვფლობ.

§ 52. **ნახევრად-დეპონენსები.** არის რამდენიმე ზმნა, რომელთაც ზოგი ფორმა მოქმედებითი გვარისა აქვთ, ზოგი — ვნებითისა. მათ ეწოდებათ semideponentia (ნახევრად-დეპონენსები). ეს ზმნებია:

audeo, ausus sum, audēre ვბედავ
gaudeo, gavisus sum, gaudēre მიხარია
soleo, solitus sum, solēre ჩვეულებად მაქვს
fido, fisus sum, fidĕre ვენდობი
confido, confisus sum, confidere ვენდობი
diffido, diffisus sum, diffidere არ ვენდობი.

ეს ზმნები, არსებითად, მოქმედებითი გვარისაა, ხოლო პერფექტუმი აქვთ არა მოქმედებითი გვარის, არამედ ვნებითი გვარის ფორმისა.

ნახევრად-დეპონენსებს მიეკუთვნება, ამათ გარდა, კიდევ ერთი ზმნა, რომელსაც, პირიქით, პირველი და მესამე ძირითადი ფორმები აქვს ვნებითი გვარისა, ხოლო პერფექტუმი — მოქმედებითი გვარისა. ეს ზმნაა:

revertor, reverti, reverti ვბრუნდები.

თავისებური ზმნები

§ 53. მთელი რიგი ზმნები იჩენენ უღვლილების დროს ამა თუ იმ თავისებურებას. ეს თავისებურებები გამოიხატება იმაში, რომ რომელიმე ზმნა, შედარებით ე. წ. წესიერ ზმნებთან, ან ზედმეტ ფორმას იჩენს, ან მას რომელიმე რიგის ფორმები აკლია, ან ყველა პირის ფორმა არ მოეპოვება, ან ნაკლულევანი ფორმებისათვის სხვა ძირის ზმნის ფორმებს იყენებს.

§ 54. მესამე უღვლილების i-ფუძიანი ზმნები. მესამე უღვლილებით მიმოიხვროდა ა) მოკლე -ĕ- ფუძიანი და ბ) თანხმოვან-ფუძიანი ზმნები. მოკლე -ĕ- ფუძიანთაგან გადარჩა სულ თხუთმეტი ზმნა, რომლებიც, განსხვავებით ზემოთ §§ 38—39-ში განხილული III უღვლილებისაგან, თავისებურად იუღვლება (ამ თხუთმეტი ზმნიდან სამი წარმოადგენს დეპონენსს: gradior, morior, patior):

capio,	cepi,	captum,	capere	ვღებულობ
cupio,	cupivi,	cupitum,	cupere	მსურს
facio,	feci,	factum,	facere	ვაკეთებ
fodio,	fodi,	fossum,	fodere	ვთხრი
fugio,	fugi,	fugitum,	fugere	მივრბივარ
iacio,	ieci,	iactum,	iacere	ვისვრი
illicio,	illexi,	illectum,	illicere	მივიტყუებ
pario,	peperi,	partum,	parere	ვბადებ, ვქმნი
quatio,	quassi,	quassum,	quatere	ვარხევ

ხშირად იხმარება: concutio, -cussi, -cussum, -cutere

rapio,	rapui,	raptum,	rapere	ვიტაცებ
sapio,	sapivi (sapui),		sapere	გემოს ვგრძნობ
specio,	spexi,	spectum,	specere	ვუყურებ

ხშირად იხმარება: conspicio, -spexi, -spectum, -spicere.

v. deponentia

gradior,	gressus sum,	gradi	მივაბიჯებ

უფრო ხშირად იხმარება პრეფერბიანი ფორმები:

aggredior, aggressus sum, aggredi ეცემა (შეტევა)
congredior, congressus sum, congredi ეკრიბები(თ)
degredior, degressus sum, degredi ქვეით ჩავდივარ
egredior, egressus sum, egredi გამოვდივარ
ingredior, ingressus sum, ingredi შევდივარ, ვიწყებ
progredior, progressus sum, progredi წინ მივდივარ
regredior, regressus sum, regredi უკან მივდივარ

morior.	mortuus sum,	mori	ვკვდები
patior,	passus sum,	pati	ვითმენ.

ეს ზმნები შეიცავენ აწმყოში და მისგან წარმოებულ ფორმებში i-ს (რომელიც მოკლე ĕ-საგან არის მიღებული; ეს მოკლე e განუსაზღვრელ ფორმაშია შემონახული):

Praesens	Impf.	Futurum I	Partic.
capio	capiēbam	capiam (capies)	capiens
capior (caperis)	capiēbar	capiar (capiēris)	capiendus
capiam (capias)	capĕrem		
capiar (capiaris)	capĕrer		

§ 55. უპირო ზმნები (verba impersonalia). ასე ეწოდება იმ ზმნებს, რომელთა შინაარსი არ მიუთითებს იმას, თუ რომელი პირისაგან გამომდინარეობს ზმნაში გამოხატული მოქმედება; მორფოლოგიურად კი ეს ზმნები მხოლოობითი რიცხვის მესამე პირს წარმოადგენენ.

	Praesens	Perfectum	Infinitivus
ელავს	fulgurat		fulgurare
ჭექს	fulminat		fulminare
თენდება	illucescit	illuxit	illucescere
თოვს	ningit	ninxit	ningere
წვიმს	pluit	plu(v)it	pluere
შემეფერება	decet (me, te...)	decuit	decere
არ შემეფერება	dedecet „	dedecuit	dedecere
მნებავს	libet (mihi)	libuit	libere
ნება მაქვს	licet „	licuit	licere
მეცოდება	miseret (me, te...)		miserere
საჭიროა	oportet	oportuit	oportere
მენანება	paenitet (me, te...)	paenituit	paenitere
მწყინს	piget „	piguit	pigere
მრცხვენია	pudet „	puduit	pudere
მეზიზღება	taedet „	taeduit	taedere
		taesum est.	

უპიროდ იხმარება აგრეთვე III პირი შემდეგი, ჩვეულებრივი პირიანი ზმნებისა: accidit (ხდება, მოხდა), apparet (ცხადია), constat (ცნობილია), interest (საგულისხმოა), liquet (აშკარაა), patet (აშკარაა), praestat (უმჯობესია), refert (საგულისხმოა) და ზოგიერთი სხვა ზმნისაც.

§ 66. ყოფნა-ზმნა აწარმოებს ფორმებს ორი სხვადასხვა ფუძისაგან: აწმყოში გამოყენებულია ფუძე **es-**, ხოლო ნამყო სრულში **fu-**ფუძე.

Praesens				Imperfectum			
Ind.		Coniunct.		Ind.		Coniunct.	
sum	ვარ	sim	ვიქნე	eram	ვიყავი	essem	ვიყო
es	ხარ	sis	იქნე	eras	იყავი	esses	იყო
est	არის	sit	იქნეს	erat	იყო	esset	იყოს
sumus	ვართ	simus	ვიქნეთ	eramus	ვიყავით	essemus	ვიყოთ
estis	ხართ	sitis	იქნეთ	eratis	იყავით	essetis	იყოთ
sunt	არიან	sint	იქნენ	erant	იყვნენ	essent	იყვნენ

Futurum I

ero	ვიქნები
eris	იქნები
erit	იქნება
erimus	ვიქნებით
eritis	იქნებით
erunt	იქნებიან

Perfectum		Plusquamperfectum		Futurum II
Ind.	Coniunct.	Ind.	Coniunct.	
fui	fuerim	fueram	fuissem	fuero
fuisti	fueris	fueras	fuisses	fueris
fuit	fuerit	fuerat	fuisset	fuerit
fuimus	fuerimus	fueramus	fuissemus	fuerimus
fuistis	fueritis	fueratis	fuissetis	fueritis
fuerunt	fuerint	fuerant	fuissent	fuerint

Imperativus: es, este, esto, estote, sunto
Inf. praes.: esse
Part. futuri: futurus, a, um
Inf. futuri: fore და futurum esse.

აწმყოს მიმღეობა მას არა აქვს, მაგრამ მისგან შედგენილი ზოგიერთი პრევერბიანი ზმნა მას აწარმოებს: absens (absentis) „არმყოფი“, praesens (praesentis) „დამსწრე“.

ყოფნა-ზმნისაგან შედგენილი პრევერბიანი ზმნები იუღლებიან ისევე, როგორც sum (მაგალითად, ab-sum, ab-es, ab-eram, ab-ero...). ეს ზმნებია:

absum,	afui,	abesse	შორს ვარ, არ ვარ
adsum,	adfui,	adesse	თან ვარ, ვესწრები
desum,	defui,	deesse	არა ვარ
insum,	infui,	inesse	შიგ ვარ, ვიმყოფები
intersum,	interfui,	interesse	შუაში ვარ, ვესწრები
obsum,	obfui,	obesse	წინააღმდეგი ვარ, ხელს ვუშლი
praesum,	praefui,	praeesse	წინ ვარ, სათავეში ვდგავარ
prosum,	profui,	prodesse	სასარგებლო ვარ

supersum, superfui, superesse: superest „რჩება“, „ჭარბად არის“.

შენიშვნა: ზმნას prosum პრევერბად მოუდის **prod-**, რომელიც ხმოვნის წინ ყველგან დაცულია; ამიტომ: prosum, prodes, prodest... proderam, prodero...

§ 57. ამავე ყოფნა-ზმნისაგან არის ნაწარმოები

possum, potui, posse „შემიძლია“.

იგი შედგება ორი ნაწილისაგან: **pot-** და sum. ეს ზმნაც იუღლება ისევე, როგორც sum, ხოლო მის წინ pot- ხან ინარჩუნებს ბოლო-კიდურ t-ს (ხმოვნის წინ), ხან, თუ ის ხვდება მომდევნო s-ს, ასიმილაციის გზით იცვლება s-დ. ამიტომ pos-sum (და არა pot-sum), მაგრამ pot-es, pot-est, pot-erat და სხვ.

	Praesens		Imperfectum	
	Ind.	Coniunct.	Ind.	Coniunct.
1.	possum	possim	poteram	possem
2.	potes	possis	poteras	posses
3.	potest	possit	poterat	posset
1.	possumus	possimus	poteramus	possemus
2,	potestis	possitis	poteratis	possetis
3.	possunt	possint	poterant	possent.

Futurum I: potero, poteris, poterit, poterimus, poteritis, poterunt

Perfectum: potui, potuisti...; potuerim

Plusquamp.: potueram...; potuissem

Futurum II: potuero

Infinitivus: posse; potuisse.

§ 58. Fero, tuli, latum, ferre („ვატარებ“, „დამაქვს“). ამ ზმნას გამოყენებული აქვს ორი ძირი: fer- და tul-; სუპინუმის latum მიღებულია tlatum-ისაგან, ასე რომ შეიცავს იმავე ძირს, რომელიც ნამყო სრულშია. თავისებურებას იჩენს მხოლოდ აწმყოს უღვლილებაში; აქ მას ზოგან თანხმოვნიანი ფუძე აქვს (fer-), ზოგან ხმოვნიანი (fere-, feri-).

Praesens ind.		Imperf. coniunct.	
act.	pass.	act.	pass.
1. fero	feror	ferrem	ferrer
2. fers	ferris	ferres	ferreris
3. fert	fertur	ferret	ferretur
1. ferimus	ferimur	ferremus	ferremur
2. fertis	ferimini	ferretis	ferremini
3. ferunt	feruntur	ferrent	ferrentur.

Imperativus: fer, ferte, ferto, fertote, ferunto.
Infinitivus: ferre, ferri.

მრავალი პრევერბიანი ზმნა იხმარება fero-თი შედგენილი. როდესაც პრევერბი თანხმოვნით ბოლოვდება, ეს პრევერბი f-ს წინ იცვლის ხოლმე სახეს: confero და collatum, differo და dilatum და სხვ.

პრევერბი.

ab:	aufero	abstuli	ablatum	auferre	მიმაქვს (წაღება)
ad:	affero	attuli	allatum	afferre	მომაქვს
com:	confero	contuli	collatum	conferre	თავს ეუყრი
dis:	differo	distuli	dilatum	differre	დატარება; განსხვავება
ex:	effero	extuli	elatum	efferre	გამომაქვს
in:	infero	intuli	illatum	inferre	შემაქვს
ob:	offero	obtuli	oblatum	offerre	ვუბოძებ
per:	perfero	pertuli	perlatum	perferre	მივიტან ბოლომდე
prae:	praefero	praetuli	praelatum	praeferre	წინ მიმაქვს; ვამჯობინებ
red(re):	refero	rettuli	relatum	referre	უკან მიმაქვს
trans:	transfero	transtuli	translatum	transferre	გადამაქვს, გადამყავს.

§ 59. **Eo, i(v)i, itum, ire** („სვლა"). ზმნის ფუძეა **i**, რომელიც ზოგ შემთხვევაში **e**-ს სახითაა წარმოდგენილი. როგორც i-ფუძიანი, IV უღვლილებას მიეკუთვნება, მაგრამ ნამყო უსრულსა და მყოფადს აწარმოებს -ba- და -bi სუფიქსების საშუალებით.

	Praesens		Imperfectum		Futurum I
	ind.	coniunct.	ind.	coniunct.	
1.	eo მივდივარ	eam	ibam	irem	ibo
2.	is	eas	ibas	ires	ibis
3.	it	eat	ibat	iret	ibit
1.	imus	eamus	ibamus	iremus	ibimus
2.	itis	eatis	ibatis	iretis	ibitis
3.	eunt	eant	ibant	irent	ibunt

Part. praes.: iens (euntis).
Part. perf.: itus, a, um.
Part. futuri: iturus, a, um; eundus, a, um.
Imperativus: i, ite, ito, itote, eunto.

ნამყო სრული და მისგან წარმოებული ფორმები იუღვლება ცნობილი წესების მიხედვით, ოღონდ ფუძის -v- ხშირად გამოტოვებულია: ivi ან ii, iveram ან ieram, ivero ან iero და სხვ.

მრავალია eo-თი შედგენილი პრევერბიანი ზმნა: ისინი იუღვლებიან ისევე, როგორც eo (გარდა ერთისა, ambio „გარშემო] დავდივარ", რომელიც იუღვლება როგორც ჩვეულებრივი ზმნა IV უღვლილებისა), მაგალითად:

abeo	მივდივარ (წასვლა)	pereo	ვიღუპები
adeo	მოვდივარ	praeeo	ვასწრებ (გასწრება)
circumeo	შემოვუვლი	praetereo	ჩავუვლი
coëo	შევუერთდები	prodeo	წინ მივდივარ; წარვდგები
exeo	გავდივარ	redeo	ვბრუნდები
ineo	შევდივარ	subeo	რისამე ქვეშ მივდივარ; მივეპარები
obeo	შემოვუვლი, ვიღუპები	transeo	გადავდივარ.

§ 60. **Volo, nolo, malo.** სამივე ზმნა ერთმანეთთანაა დაკავშირებული მნიშვნელობითაც. ძირითადი ფორმებია:

volo,	volui,	velle	მინდა	
nolo,	nolui,	nolle	არ მინდა	(ne volo, non volo)
malo,	malui,	malle	მეტი მინდა	(magis volo, mavolo).

სამივე ზმნისათვის ამოსავალია volo, რომლის ფუძეა vol- || vel-; რამდენადაც nolo წარმოშობილია non volo-საგან და malo—mavolo-საგან, აწმყოს ფორმები ასე აქვთ ნაწარმოები:

Praesens

indicativi			coniunctivi		
1. volo	nolo	malo	velim	nolim	malim
2. vis	non vis	mavis	velis	nolis	malis
3. vult	non vult	mavult	velit და ასე შემდეგ.		
1. volumus	nolumus	malumus	velimus		
2. vultis	non vultis	mavultis	velitis		
3. volunt	nolunt	malunt	velint.		

დანარჩენი ფორმები:

Imperfectum

indicativi			coniunctivi		
1. volebam	nolebam	malebam	vellem	nollem	mallem
2. volebas	nolebas	malebas	velles	nolles	malles
		და ა. შ.			და ა. შ.

Futurum

1. volam	nolam	malam
2, voles	noles	males
3. volet	nolet	malet და ა. შ.

ნამყო სრულისაგან ფორმები იწარმოება ცნობილი წესების მიხედვით: volui, volueram; nolui, nolueram; malui, malueram და ა. შ.

§ 61. Fio, factus, sum, fieri — „ვიქმნები, ვკეთდები“. ეს ზმნა თავისი შინაარსით ვნებითია და იხმარება facio-ზმნის ვნებითი ფორმების მაგიერ. მისი კავშირი facio-სთან იქიდან ჩანს, რომ ნამყო სრული მას აქვს factus sum. ამ ზმნას ყველა ფორმა სრულად აქვს, გარდა აწმყოსი, სადაც მრავლობით რიცხვში მხოლოდ III პირის ფორმა მოეპოვება: fiunt.

	Indicativus	Coniunctivus
Praesens	S. 1. fio 2. fis 3. fit Pl. 1. — 2. — 3. fiunt	fiam fias fiat fiamus fiatis fiant
Imperfectum	S. 1. fiebam 2. fiebas 3. fiebat Pl. 1. fiebamus 2. fiebatis 3. fiebant	fierem fieres fieret fieremus fieretis fierent
Futurum I	S. 1. fiam 2. fies 3. fiet Pl. 1. fiemus 2. fietis 3. fient	
Perf.	factus sum, es, est..;	factus sim, sis, sit...
Plusq.	factus eram, eras, erat...	factus essem, esses, esset...
Fut. II	factus ero, eris, erit...	

Inf. pr.: fieri
Inf. perf.: factus, a, um esse
Part. perf.: factus, a, um.

§ 62. ნაკლულევანი ზმნები (verba defectiva). რამდენიმე ზმნას მხოლოდ ზოგიერთი ფორმა მოეპოვება. ასე:

1. მარტო ნამყო სრული და მისგან ნაწარმოები ფორმები აქვთ ზმნებს: coepi „დავიწყე“, memini „მახსოვს“, odi „მძულს“. თავი-

სებურია ამ ზმნებში ისიც, რომ მათ ფორმა აქვთ ნამყო სრულისა, მნიშვნელობა კი ორ მათგანს აქვს აწმყო დროისა.

coepi,	coeperam, coepero, coeperim, coepissem
memini,	memineram, meminero, meminerim, meminissem
odi,	oderam, odero, oderim, odissem.

სხვა ფორმათაგან მათ მოეპოვებათ:

coepi:	coeptus, a, um
	coepturus, a, um
memini:	memento, mementote („გახსოვდეს“)
odi:	osurus, a, um.

2. მხოლოდ აწმყო დრო და მისგან ნაწარმოები ზოგიერთი ფორმა აქვთ ზმნებს aio „ვამბობ“ და inquam „ვამბობ“.

	Praesens		Imperfectum	
1.	aio	inquam	aiebam	—
2.	ais	inquis	aiebas	—
3.	ait	inquit	aiebat	inquiebat
1.	—	inquimus	aiebamus	—
2.	—	inquitis	aiebatis	—
3.	aiunt	inquiunt	aiebant	—

Praes. coniunct.:	aias, aiat, aiant, inquiat
Futurum I:	inquies, inquiet
Part. praes.:	aiens, inquiens
Imperativus:	ai, inque, inquito
Infinitivus:	aiere.

გარდა ამისა გვიან ლათინურში გვხვდება (ai), aisti, (ait), aierunt. aieret.

3. edo, edi, esum, edere „ვჭამ“. ამ ზმნას აქვს ყველა შესაძლებელი ფორმა, რომელიც იწარმოება საერთოდ მიღებული წესებისდა მიხედვით, ხოლო ზოგიერთი დროისათვის მოეპოვება პარალელური ფორმები, რომლებიც იწარმოება იმავე ძირისაგან **ed-**, მაგრამ პირიელი დაბოლოებები ემატება უშემაერთებელხმოვნოდ. მაგალითად: აწმყოს II პირი ed-s → ess → **es** „სჭამ“, III პირი **ed-t → est** „ჭამს“ და სხვ.

Praesens ind.	Imperfect. coniunct.	Imperativus	Infinit. praes.
S. 2. es სჳამ	essem ვჳამდე	Praes.	esse ჳამა
3. est ჳამს	esses	es ჳამე	
Pl. 2. estis სჳამთ	esset	este ჳამეთ	
	essemus	Fut.	
	essetis	esto ჳამო	
	essent	esto ჳამოს	
		estote ჳამოთ	

§ 63. აღწერილობითი უღვლილება (Coniugatio periphrastica). ასე ეწოდება იმ უღვლილებას, რომელიც იწარმოება მყოფადის მიმღეობითა და დამხმარე ზმნის (esse) მეშვეობით. მყოფადის მიმღეობა ორია: participium futuri activi (მაგალითად, curaturus) და participium futuri passivi (მაგალითად, curandus); აღწერილობითი უღვლილებაც ორია; პირველი (coniugatio periphrastica activa) და მეორე (coniugatio periphrastica passiva). აღწერილობით უღვლილებას მოეპოვება ყველა დროის ფორმა ორსავე კილოში, თხრობითსა და კავშირებითში.

პირველი აღწერილობითი უღვლილების დროთა საწარმოებლად უნდა ავიღოთ მოცემული ზმნის participium futuri activi (მაგალითად, curaturus) და მივუმატოთ ყოფნა-ზმნის სათანადო დროის ფორმები (sum ან sim, eram ან essem, ero და სხვ.).

პირველი აღწერილობითი უღვლილება

	Indicativus	Coniunctivus
Praes.	curaturus sum ვაპირებ ვიზრუნო	curaturus sim
Impf.	curaturus eram ვაპირებდი მეზრუნა	curaturus essem
Fut. I	curaturus ero დავაპირებ ზრუნვას	
Perf.	curaturus fui	curaturus fuerim
Plsq.	curaturus fueram	curaturus fuissem
Fut. II	curaturus fuero	

Inf. praes.: curaturus a, um esse
Inf. perf.: curaturus, a, um fuisse.

მეორე აღწერილობითი უღვლილების დროთა საწარმოებლად უნდა ავიღოთ მოცემული ზმნის participium futuri passivi (მაგალითად, curandus) და მივუმატოთ ყოფნა-ზმნის სათანადო დროის ფორმები (sum, sim, eram, essem, ero და სხვ.).

მეორე აღწერილობითი უღვლილება

	Indicativus	Coniunctivus
Praes.	curandus sum საზრუნავი ვარ	curandus sim
Impf.	curandus eram საზრუნავი ვიყავი	curandus essem
Fut. I	curandus ero საზრუნავი ვიქნები	
Perf.	curandus fui	curandus fuerim
Plsq.	curandus fueram	curandus fuissem
Fut. II	curandus fuero	

Inf. praes.: curandus, a, um esse
Inf. perf.: curandus, a, um fuisse.

§ 64. პრეზენსის (აწმყოს) ფუძის წარმოება. ქართული ენის გრამატიკიდან ცნობილია, რომ აწმყოს მწკრივში ზმნას შეიძლება ჰქონდეს ერთ-ერთი ამ სუფიქსთაგანი: **ავ, ამ, ებ, ობ.** ეს იმას ნიშნავს, რომ ზმნის იმ ფუძეს, რომელიც წარმოდგენილია ნამყო წყვეტილში, ემატება ზემოხსენებული სუფიქსები და, ამრიგად, ვღებულობთ აწმყოს ფუძეს.

წყვეტილი	აწმყო
ხატ-ა	ხატ-**ავ**-ს
არტყ-ა	არტყ-**ამ**-ს
აკეთ-ა	აკეთ-**ებ**-ს
ახმო	ახმ-**ობ**-ს

ამის მსგავსად ლათინურ ენაშიც არის შემთხვევები პრეზენსის ფუძის წარმოებისა ახალი თემის მეშვეობით. ამჟამად შევჩერდებით

ასეთი წარმოების ორ სახეზე: 1) sc-სუფიქსით და 2) -n-ინფიქსით წარმოებულ აწმყოს ფუძეზე.

1. sc- სუფიქსით წარმოებული პრეზენსი გამოხატავს მოქმედების დაწყებას, ამ მდგომარეობის დასაწყის საფეხურს. ასეთ ზმნებს ეწოდებათ verba incohativa (ან v. inchoativa) „დაწყებითი ზმნები".

adolesco, adolevi. adultum, adolescere ვიზრდები
albesco, albui, albescere ვთეთრდები
amasco, —, —. amascere სიყვარული აღმეძვრის
calesco, calui, calescere ვცხელდები, ვთბები
compesco, c o m p e s c u i, compescere ვბორკავ
consanesco, consanui, consanescere ვჯანსაღდები
consenesco, consenui, consenescere ვბერდები
consuesco, consuevi, consuetum, consuescere ვეჩვევი, ვეგუები
cresco, crevi, cretum, crescere ვიზრდები, ვძლიერდები
disco, didici, discere ვსწავლობ
duresco, durui, durescere ვმაგრდები
evanesco, evanui, evanescere ღონე მეცლება, ვქრები
ignesco, —, —, ignescere ვენთები
inveterasco, inveteravi, invoterascere ვბერდები
maturesco, maturui, maturescere ვმწიფდები
nosco, novi, notum, noscere ვეცნობი, ვიკვლევ
agnosco, agnovi, agnitum, agnoscere ვცნობ, ვაღიარებ
cognosco. cognovi, cognitum, cognoscere ვცნობ, ვიცი
obdormisco, obdormivi, obdormiscere ჩამეძინება
perdormisco, perdormiscere დამეძინა, ძილში გამომეპარა
obmutesco, obmutui, obmutescere ვმუნჯდები
obsolesco, obsolevi, obsoletum, obsolescere ვბერდები, ვძველდები
pasco, pavi, p a s t u m, pascere ვაძოვებ, ვკვებავ
pererebresco, pererebrui, pererebrescere ხშირი ხდება (გახშირდა)
posco, p o p o s c i, poscere მოვითხოვ
quiesco, quievi, quietum, quiescere ვისვენებ, წყნარად ვარ
refrigesco, refrixi. refrigescere ვცივდები; ცივი ვხდები
rigesco, rigui, rigescere ვშეშდები, ვქვავდები
vesperascit (vesperasco, vesperavi, vesprerascere) საღამოვდება

დ ე პ ო ნ ე ნ ს ე ბ ი

adipiscor, adeptus sum, adipisci ვაღწევ, ხელში ვიგდებ
expergiscor, experrectus sum, expergisci ვიღვიძებ
irascor, iratus sum, irasci ვწყრები, ვჯავრობ
nanciscor, nactus sum (ან nanctus s.), nanciscі ვშოულობ, ვპოულობ
nascor, natus sum, nasci ვიბადები
obliviscor, oblitus sum, oblivisci ვივიწყებ, მავიწყდება
paciscor, pactus sum, pacisci პირობას ვდებ(თ), ზავს ვკრავ(თ)
pascor, p a s t u s sum, pasci ვეჯამ, ვიკვებები

proficiscor. profectus sum, proficisci მივემგზავრები
reminiscor, —, —, reminisci მოვიგონებ, გავიხსენებ
ulciscor, ultns sum, ulcisci შურს ვიძიებ
vescor, —. —, vesci ვიკვებები, ვჭამ.

2. რიგი ზმნებისა პრეზენსის ფუძეს აწარმოებს -n- ინფიქსის მეშვეობით. როგორც წესი, პრეზენსის ფუძის მაწარმოებელი სუფიქსი თუ ინფიქსი ზმნას უნდა ჰქონდეს მხოლოდ აწმყოს სერიის მწკრივებში და დანარჩენ სერიებში ის აღარ უნდა იყოს (vi-n-co vici, victum), მაგრამ ზოგ შემთხვევაში -n-, მაგალითად, ისე შედუღებია ზმნის ფუძეს, რომ ის გადაჰყოლია ზმნას სხვა ძირითად ფორმებშიც (pingo, pinxi, pictum „ვხატავ").

cumbo... (←cunbo)
accumbo. accubui, accubitum, accumbere ვწევები წამოვწევები
concumbo. concubui, concubitum, concumbere ვიწმესთან ვწევები
decerno. decrevi, decretum, decernere, გადავწყვეტ, დავადგენ
findo, fidi. fissum, findere ვაპობ
frango, fregi, fractum, frangere ვტეხ, ვამტვრევ
fundo, fudi, fusum, fundere ვღვრი, ვასხამ
lino, livi, litum, linere წავაცხებ, წავუსვამ
pango, pepogi, pactum. pangere შევკრავ, პირობას ვდებ(თ)
pono (← *posno), posui, positum, ponere ვდებ, ვდგამ
relinquo, reliqui. relictum, relinquere ვტოვებ
ringor, ringi პირს ვაღებ
rumpo, rupi, ruptum, rumpere ვტეხ, ვხეთქ, ვკაფავ
scindo, scidi, scissum, scindere ვგლეჯ, ვხევ
rescindo დავარღვევ
sino, sivi, situm, sinere ვუშვებ, ვტოვებ; ნებას ვრთავ
desino შევწყვეტ, თავს ვანებებ
sperno, sprevi, spretum, spernere მეზიზღება
sterno, stravi, stratum, sternere დავფენ, დავაგებ
tango, tetigi, tactum, tangere ვეხები, ხელს შევახებ
temno, tempsi, temnere უმნიშვნელოდ ვთვლი
contemno, contempsi, contemptum. contemnere მეზიზღება, მძულს
tundo, tutudi, tusum (tunsum), tundere ვცემ, ვარტყამ
contundo, contudi, contusum, contundere ვამსხვრევ, ვაჭუცმაცებ
vinco, vici, victum, vincere ვძლევ, ვიმარჯვებ.

უღვლილების საერთო ჯაბუკა

მოქმედებითი გვარის თხრობითი კილო

	I უღვლილება	II უღვლილება	III უღვლილება	IV უღვლილება
Praesens	curo	impleo	lego	audio
	curas	imples	legis	audis
	curat	implet	legit	audit
	curamus	implemus	legimus	audimus
	curatis	impletis	legitis	auditis
	curant	implent	legunt	audiunt
Imperfectum	curabam	implebam	legebam	audiebam
	curabas	implebas	legebas	audiebas
	curabat	implebat	legebat	audiebat
	curabamus	implebamus	legebamus	audiebamus
	curabatis	implebatis	legebatis	audiebatis
	curabant	implebant	legebant	audiebant
Futurum I	curabo	implebo	legam	audiam
	curabis	implebis	leges	audies
	curabit	implebit	leget	audiet
	curabimus	implebimus	legemus	audiemus
	curabitis	implebitis	legetis	audietis
	curabunt	implebunt	legent	audient
Perfectum	curavi	implevi	legi	audivi
	curavisti	implevisti	legisti	audivisti
	curavit	implevit	legit	audivit
	curavimus	implevimus	legimus	audivimus
	curavistis	implevistis	legistis	audivistis
	curaverunt	impleverunt	legerunt	audiverunt
Plusquam-perfectum	curaveram	impleveram	legeram	audiveram
	curaveras	impleveras	legeras	audiveras
	curaverat	impleverat	legerat	audiverat
	curaveramus	impleveramus	legeramus	audiveramus
	curaveratis	impleveratis	legeratis	audiveratis
	curaverant	impleverant	legerant	audiverant
Futurum II	curavero	implevero	legero	audivero
	curaveris	impleveris	legeris	audiveris
	curaverit	impleverit	legerit	audiverit
	curaverimus	impleverimus	legerimus	audiverimus
	curaveritis	impleveritis	legeritis	audiveritis
	curaverint	impleverint	legerint	audiverint

უღვლილების საერთო ცხრილა

ვნებითი გვარის თხრობითი კილო

	I უღვლილება	II უღვლილება	III უღვლილება	IV უღვლილება
Praesens	curor	impleor	legor	audior
	curaris	impleris	legeris	audiris
	curatur	impletur	legitur	auditur
	curamur	implemur	legimur	audimur
	curamini	implemini	legimini	audimini
	curantur	implentur	leguntur	audiuntur
Imperfectum	curabar	implebar	legebar	audiebar
	curabaris	implebaris	legebaris	audiebaris
	curabatur	implebatur	legebatur	audiebatur
	curabamur	implebamur	legebamur	audiebamur
	curabamini	implebamini	legebamini	audiebamini
	curabantur	implebantur	legebantur	audiebantur
Futurum I	curabor	implebor	legar	audiar
	curaberis	impleberis	legeris	audieris
	curabitur	implebitur	legetur	audietur
	curabimur	implebimur	legemur	audiemur
	curabimini	implebimini	legemini	audiemini
	curabuntur	implebuntur	legentur	audientur
Perfectum	curatus sum	impletus sum	lectus sum	auditus sum
	curatus es	impletus es	lectus es	auditus es
	curatus est	impletus est	lectus est	auditus est
	curati sumus	impleti sumus	lecti sumus	auditi sumus
	curati estis	impleti estis	lecti estis	auditi estis
	curati sunt	impleti sunt	lecti sunt	auditi sunt
Plusquam-perfectum	curatus eram	impletus eram	lectus eram	auditus eram
	curatus eras	impletus eras	lectus eras	auditus eras
	curatus erat	impletus erat	lectus erat	auditus erat
	curati eramus	impleti eramus	lecti eramus	auditi eramus
	curati eratis	impleti eratis	lecti eratis	auditi eratis
	curati erant	impleti erant	lecti erant	auditi erant
Futurum II	curatus ero	impletus ero	lectus ero	auditus ero
	curatus eris	impletus eris	lectus eris	auditus eris
	curatus erit	impletus erit	lectus erit	auditus erit
	curati erimus	impleti erimus	lecti erimus	auditi erimus
	curati eritis	impleti eritis	lecti eritis	auditi eritis
	curati erunt	impleti erunt	lecti erunt	auditi erunt

უღლილების საერთო ცნებები

მოქმედებითი გვარის კავშირებითი კილო

	I უღლილება	II უღლილება	III უღლილება	IV უღლილება
Praesens	curem	impleam	legam	audiam
	cures	impleas	legas	audias
	curet	impleat	legat	audiat
	curemus	impleamus	legamus	audiamus
	curetis	impleatis	legatis	audiatis
	curent	implcant	legant	audiant
Imperfectum	curarem	implerem	legerem	audirem
	curares	impleres	legeres	audires
	curaret	impleret	legeret	audiret
	curaremus	impleremus	legeremus	audiremus
	curaretis	impleretis	legeretis	audiretis
	curarent	implerent	legerent	audirent
Futurum I	ა რ ა რ ი ს			
Perfectum	curaverim	impleverim	legerim	audiverim
	curaveris	impleveris	legeris	audiveris
	curaverit	impleverit	legerit	audiverit
	curaverimus	impleverimus	legerimus	audiverimus
	curaveritis	impleveritis	legeritis	audiveritis
	curaverint	impleverint	legerint	audiverint
Plusquam-perfectum	curavissem	implevissem	legissem	audivissem
	curavisses	implevisses	legisses	audivisses
	curavisset	implevisset	legisset	audivisset
	curavissemus	implevissemus	legissemus	audivissemus
	curavissetis	implevissetis	legissetis	audivissetis
	curavissent	implevissent	legissent	audivissent
Futurum II	ა რ ა რ ი ს			

უღვლილების საერთო ცხრილა

ვნებითი გვარის კავშირებითი კილო

	I უღვლილება	II უღვლილება	III უღვლილება	IV უღვლილება
Praesens	curer cureris curetur curemur curemini cnrentur	Implear implearis impleatur impleamur imoleamini imdleantur	legar legaris legatur legamur legamini logantur	audiar audiaris audiatur audiamur audiamini audiantur
Imperfectum	curarer curareris curaretur curaremur cnraremini curarentur	implerer implereris impleretur impleremur impleremini implerentur	legerer legereris legeretur legeremur legeremini legerentur	andirer audireris audiretur audiremur audiremini audirentur
Futurum I	ა რ. ა რ ი ს			
Perfectum	curatus sim curatus sis curatus sit curati simus curati sitis curati sint	impletus sim impletus sis impletus sit impleti simus impleti sitis impleti sint	lectus sim lectus sis lectus sit lecti simus lecti sitis lecti sint	auditus sim auditus sis auditus sit auditi simus auditi sitis auditi sint
Plusquam-perfectum	curatus essem cutatus esses curatus esset curati essemus curati essetis curati essent	impletus essem impletus esses impletus esset impleti essemus impleti essetis impleti essent	lectus essem lectus esses lectus esset lecti essemus lecti essetis lecti essent	auditus essem auditus esses auditus esset auditi essemus auditi essetis auditi essent
Futurum II	ა რ ა რ ი ს			

ბრძანებითი კილო — Imperativus

Praes. act.	მხ. რ.:	cura	imple	lege	audi
	მრ. რ.:	curate	implete	legite	audite
Praes. pass.:	მხ. რ..	curare	implere	legere	audire
	მრ. რ.:	curamini	implemini	legimini	audimini
Futuri act.	მხ. რ. 2:	curato	impleto	legito	audito
	3:	curato	impleto	legito	audito
	მრ. რ.: 2:	curatote	impletote	legitote	auditote
	3:	curanto	implento	legunto	audiunto.

მიმღეობა — Participium

Praes. act.:	curans	implens	legens	audiens
Perfect. pass.:	curatus, a, um	impletus	lectus	auditus
Futuri act.:	curaturus, a, um	impleturus	lecturus	auditurus
Futuri pass.:	curandus, a, um	implendus	legendus	audiendus

განუსაზღვრელი კილო — Infinitivus

Praes. act.:	curare	implere	legere	audire
Praes. pass.:	curari	impleri	legi	audiri
Perfect. act.;	curavisse	implevisse	legisse	audivisse;
Perfect. pass.:	curatum esse	impletum esse	lectum esse	auditum esse
Futuri act.:	curaturum esse	impletum esse	lecturum esse	auditurum esse
Futuri pass.:	curatum iri	impletum iri	lectum iri	auditum iri.

წინდებული (Praepositio)

§ 65. ყველა ენაში ესა თუ ის წინდებული (ანუ თანდებული) დაკავშირებულია გარკვეულ ბრუნვასთან. ქართულში, მაგალითად:

ა) თანდებული **-თვის** უკავშირდება ნათესაობით ბრუნვას: ძმის-თვის, მამის-თვის, შვილის-თვის;

ბ) თანდებული **-თან** უკავშირდება მიცემით ბრუნვას: ძმას-თან, მამას-თან, შვილ-თან (← შვილს-თან);

გ) თანდებული **-ურთ** უკავშირდება მოქმედებით ბრუნვას: ძმით-ურთ, მამით-ურთ, შვილით-ურთ;

დ) თანდებული **-გან** უკავშირდება ზოგ შემთხვევაში ნათესაობით ბრუნვას (ძმის-გან, მამის-გან), ზოგ შემთხვევაში კი მოქმედებით ბრუნვას (ქალაქითგან, საიდანაც მიღებულია „ქალაქიდან“).

ლათინურში წინდებული უკავშირდება ანბრალდებით ბრუნვას (accusativus), ან მოქმედებითს (ablativus), სახელდობრ:

1. ზოგი წინდებული ყოველთვის უკავშირდება ბრალდებით ბრუნვას: ad Caesarem misit „კეისართან გაგზავნა“, apud Helvetios „ჰელვეციელებთან“ (ე. ი. ჰელვეციელებს შორის), intra urbem „ქალაქის შიგნით“.

ასეთი თანდებულებია:

ante	apud,	ad,	adversus,
circum,	circa,	citra,	cis,
erga,	contra,	inter,	extra,
infra,	intra,	iuxta.	ob,
penes,	pone,	praeter,	post,
prope,	propter,	per,	secundum,
supra,	versus,	ultra,	trans.

ante	წინ	iuxta	ახლოს, მიხედვით
apud	-თან, ახლოს	ob	გამო, მიზეზით
ad	-კენ, -თან, -მდე	penes	-თან
adversus	წინააღმდეგ	pone	უკან
circum	ირგვლივ	praeter	გარდა
circa	ახლოს, გარშემო	post	შემდეგ
citra	აქეთა მხარეს	prope	მახლობლად
cis	აქეთ	propter	გამო
erga	მიმართ	per	-ზე, გავლით, შემწეობით
contra	წინააღმდეგ	secundum	კვალდაკვალ, მიხედვით
inter	შორის, შუა	supra	ზემოთ, -ზე
extra	გარეთ, გარდა	versus	-კენ
infra	ქვემოთ, ქვეშ	ultra	იქით, გადაღმა
intra	შიგნით	trans	გადაღმა, იქით.

2. ზოგიერთი წინდებული ყოველთვის მოითხოვს მოქმედებით ბრუნვას: a Belgis „ბელგიელებისაგან“, cum fratre „ძმითურთ“, de Georgia „საქართველოს შესახებ“, ex urbe „ქალაქიდან“, sine duce „უსარდლოდ“.

ასეთი წინდებულებია:

a, ab, abs	-გან, მიერ
de	შესახებ, -გან (ზემოდან ქვემოთ)
cum [1]	-თან, -ურთ

[1] ამ თანდებულს შერჩა ძველი სახე, როდესაც იგი ბოლოდებულად იხმარებოდა, შემდეგ შემთხვევებში: mecum, tecum, secum, nobiscum, vobiscum, quocum, quacum, quibuscum. იხ. ზემოთ გვ. 47 და გვ. 49.

ex, e	-გან (შიგნიდან გარეთ)
sine	უ-ოდ (უიმისოდ)
pro	-თვის, მაგიერ; კვალობაზე
prae	წინ, შედარებით
coram	წინაშე, დასწრებით
tenus	-მდე, მხოლოდ (რისამე) მიხედვით.

3. ერთი ნაწილი წინდებულებისა ზოგ შემთხვევაში უკავშირდება ბრალდებით ბრუნვას, ზოგ შემთხვევაში კი მოქმედებითს: **in Georgia sunt scholae** „საქართველოში არის სკოლები“, **flumen Arar in Rhodanum influit** „მდინარე არარი ერთვის როდანს“ ან „არარის წყალი მიმდინარეობს როდანისაკენ“ (თუ ქართულად შეიძლება დაისვას კითხვა „საითკენ“?, მაშინ **in** წინდებული უკავშირდება ბრალდებითს; სხვა შემთხვევაში კი — მოქმედებით ბრუნვას).

ასეთი წინდებულებია:

in	-ში, -ზე
sub	ქვეშ, -თან, მახლობლად
super	ზემოთ, -ზე, გადაღმა, მეტად; შესახებ
subter	ქვეშ.

სინტაქსი

(ძირითადი ცნობები)

1. ბრუნვის ხმარება წინადადებაში

§ 66. სახელობითი ბრუნვა. პირველ რიგში, სახელობითი ბრუნვა ლათინურ ენაში, ისევე როგორც სხვა ინდოევროპულ ენებში, არის ქვემდებარის ბრუნვა. განსხვავებით ქართულისაგან, რომელსაც ქვემდებარე შეუძლია ჰქონდეს სამს ბრუნვაში — სახელობითში, მოთხრობითში და მიცემითში (მაგალითად: პეტრე წერს, პეტრემ წერა, პეტრეს უწერია) — განსხვავებით ქართულისაგან **ლათინურ ენაში ქვემდებარე შეიძლება იყოს მხოლოდ სახელობით ბრუნვაში.** მაგალითად:

1) **Julius Caesar** populos Galliae **describit** — **„იულიუს კეისარი** აგვიწერს გალიის ხალხებს".

2) **Tacitus** situm et populos Germaniae **descripsit** — **ტაციტუსმა** აღწერა გერმანიის ადგილმდებარეობა და ხალხები".

3) **Legimus** libros, quos parentes miserant — **„ვკითხულობთ** წიგნებს, რომლებიც **მშობლებს** გამოუგზავნიათ".

გარდა ამისა სახელობითი ბრუნვა იხმარება აგრეთვე შედგენილ შემასმენელში; უკანასკნელი ხომ შედგება ორი ნაწილისაგან: ერთია სახელადი ნაწილი, მეორე — ზმნური. **სახელადი ნაწილი შედგენილი შემასმენლისა არის ყოველთვის სახელობით ბრუნვაში.** შედგენილი შემასმენლის ზმნურ ნაწილში გამოყენებულია ხოლმე ზმნები:

sum ვარ	**nascor** ვიბადები, ვიქმნები
exsisto ვარსებობ, ვხდები	**permaneo** ვრჩები
fio ვიქმნები, ვხდები	**videor** ვჩანვარ.
maneo ვრჩები	

ამრიგად, წინადადებაში გვექნება ხოლმე ორი სახელობითი ბრუნვა: ერთი — ქვემდებარისა, მეორე — შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილისა, მაგალითად:

1) **Apud Helvetios longe nobilissimus fuit Orgetorix** — „ჰელვეციელებში ყველაზე უფრო **წარჩინებული** იყო **ორგეტორიგი**".

ამ წინადადებაში „Orgetorix" არის ქვემდებარის სახელობითი, ხოლო „nobilissimus" — სახელობითი ბრუნვა შედგენილი შემასმენლისა.

2) **Infantes sumus et senes videmur** — „ბავშვები ვართ და მოხუცები ვჩანვართ“.

აქ შერწყმული წინადადება გვაქვს: საერთო ქვემდებარეა „ჩვენ“, რომელიც ლათინურად არ არის სიტყვიერად გამოხატული, ხოლო შედგენილი შემასმენლების სახელობითი ბრუნვებია „Infantes“ და „senes“.

3) Cuius legationis **Divico princeps fuit** — „ამ ელჩების **მეთაური იყო დივიკო**“.

ქვემდებარეა „Divico“ (სახელ. ბრ.), ხოლო შემასმენელია „princeps fuit“, სადაც სახელადი ნაწილი (princeps) სახელობით ბრუნვაშია.

ორმაგი სახელობითი იხმარება აგრეთვე ვნებითი გვარის იმ ზმნებთან, რომლებიც აღნიშნავენ: „ვიწოდები“, „ვითვლები“, „ვინიშნები“ და მისთანანი. მაგალითად,

1) Castici **pater a senatu populi Romani amicus appellatus erat** — „კასტიკუსის **მამა** რომაელი ხალხის სენატის მიერ იწოდებოდა **მეგობრად**“.

2) **Consules creati sunt L. Valerius et M. Horatius** — „**კონსულებად** არჩეულ იქნენ **ლ. ვალერიუსი და მ. ჰორაციუსი**“.

3) Is **pagus** appellabatur **Tigurinus** — „ამ სოფელს ეწოდებოდა **ტიგურინუსი**“.

§ 67. ნათესაობითი ბრუნვა. ბრუნვათა შორის ნათესაობითი ბრუნვა უნდა ჩაითვალოს ერთადერთ ბრუნვად, რომელიც ქართულადაც, უმეტეს შემთხვევაში, იმავე ბრუნვით გადმოიცემა. ეს იმიტომ, რომ ლათინურშიც, მსგავსად ქართულისა, ნათესაობითი ბრუნვა იხმარება, ძირითადად, მსაზღვრელის გამოსახატად (კითხვა: ვისი? რისი?),

Descriptio imperii Romani „რომის იმპერიის აღწერა“.
Populi Galliae „გალიის ხალხები“.
Post eius mortem „მისი გარდაცვალების შემდეგ“.
Copiae Helvetiorum „ჰელვეციელთა ლაშქარი“.
Gallorum equitatus „გალების ცხენოსანთა ჯარი“.

ნათესაობით ბრუნვას ლათინური იყენებს სხვადასხვა დანიშნულებით. აღვნიშნავთ რამდენიმე ყველაზე უფრო დამახასიათებელ შემთხვევას.

1. Genetivus subiectivus. ამ ნათესაობითით აღნიშნულია ლოგიკური ქვემდებარე (მას უპირისპირდება genetivus obiectivus, რომლითაც აღინიშნება დამატება): მაგალითად:

1) **Platonis opinio** „პლატონის აზრი“, ე. ი. პლატონი არის სუბიექტი, რომელმაც ეს აზრი გამოთქვა.

2) **Nostrorum maiorum inventa** „ჩვენი წინაპრების მონაპოვარნი“, ე. ი. ჩვენმა წინაპრებმა მოიპოვეს ან გამოიგონეს ეს („წინაპრები“ ქვემდებარის როლშია).

3) **Illi, supplicia cruciatusque Gallorum veriti, dixerunt...** — „მათ კი, რადგან ეშინოდათ გალების მხრით წამებისა და წვალების, განაცხადეს...“ (სიტყვა-სიტყვით: „ეშინოდათ გალების წამებისა და წვალების“, ე. ი. რომ გალები მათ აწამებდნენ და აწვალებდნენ).

4) **Morito eorum** „მათი დამსახურებისდა მიხედვით“, ე. ი. რამდენადაც მათ დაიმსახურეს („მათ“ ქვემდებარის როლშია).

2. Genetivus obiectivus. წინააღმდეგ „სუბიექტის ნათესაობითისა“, **genetivus obiectivus** გამოხატავს დამატებას, რომელზედაც ვრცელდება გამონათქვამში მოხსენებული აქტი:

1) **Scientia atque usu nauticarum rerum ceteros antecedunt** — „[ვენეტები] დანარჩენ ტომებს სჯობნიან სანაოსნო საქმის ცოდნითა და გამოცდილებით“, ე. ი. ვენეტების ცოდნა და გამოცდილება ვრცელდება „სანაოსნო საქმეებზე“, როგორც ობიექტზე.

2) **Viridovix summam imperii tenebat earum omnium civitatum, quae defecerant** — „ვირიდოვიქსს ყველა იმ ტომების უმაღლესი ძალაუფლება ეპყრა, რომლებიც ჩამოშორდნენ“ (ვირიდოვიქსი მეთაური იყო ყველა იმ ტომებისა...); აქ **civitatum** გამოხატავს იმ ობიექტს, რომელზედაც ვრცელდებოდა ვირიდოვიქსის ძალაუფლება.

3) **Spes reditionis** „დაბრუნების იმედი“.

გვხვდება ისეთი გამონათქვამი ნათესაობით ბრუნვაში, რომელიც ორივე შესაძლებლობას წარმოადგენს, ე. ი. შეიძლება გავიგოთ როგორც „სუბიექტის გენეტივად“, ისე „ობიექტის გენეტივად“. მაგალითად, **amor patris** „მამის სიყვარული“. თუ ამ გამონათქვამს გავიგებთ როგორც „მამის“ სიყვარულს სხვისადმი (ე. ი. შვილისადმი), მაშინ გვექნება **genetivus subiectivus**: „მამას უყვარს [შვილი]“; ხოლო თუ ვიგულისხმებთ, რომ ვიღაცას (ე. ი. შვილს) უყვარს „მამა“, მაშინ **patris** იქნება **genetivus obiectivus**: „[შვილს] უყვარს მამა“. ჩვეულებრივ კონტექსტით წყდება, თუ რომელი გენეტივუსი გვაქვს — სუბიექტისა თუ ობიექტისა.

ანალოგიურია იულიუს კეისრის „გალურ ომში“ გამოთქმა **usus navium**: ერთ შემთხვევაში ის არის „ხომალდების მოხმარება“ (**genetivus obiectivus**), მეორე შემთხვევაში ის ნიშნავს „ხომალდების საჭიროებას“, ე. ი. რაც ხომალდებს ესაჭიროება:

1) **Maxime ea, quae ad usum navium pertinent, providere constituunt (B. G. III, 9, 3)** — „განსაკუთრებით კი იზრუნეს იმაზე, რომ წინასწარ გაეთვალისწინებინათ ყველაფერი, რაც ხომალდების (საბრძოლო) მზადყოფნას შეეხებოდა“ (აქ გვაქვს **gen. subiectivus**).

2) **...ut omnis usus navium uno tempore criperetur (B. G. III, 9, 3)** — „ერთბაშად შეუძლებელი ხდებოდა ხომალდებით სარგებლობა“ (**gen. obiectivus**).

„ობიექტის ნათესაობითი“, გარდა ამისა, იხმარება ისეთ ზედსართავ სახელებთან, რომელთა მნიშვნელობაა: „მცოდნე“, „გამოცდილი“, „მჭონებელი“, „მხსომებელი“, „მონაწილე“, „სავსე“, „ცარიელი“ და სხვა ამგვარი, მაგალითად:

1) Publici consilii particeps „სახალხო თათბირის მონაწილე“.

2) Qui si alicuius iniuriae conscius fuisset, non fuisse difficile cavere (B. G. I, 14. ირიბ სიტყვაში) — „რომ ის რაიმე უსამართლობის ჩამდენად სცნობდეს თავს, ძნელი არ იქნებოდა, რომ ფრთხილად ყოფილიყო“.

3) Oratores Graecorum et Romanorum interdum etiam rei militaris periti fuerunt — „ბერძენთა და რომაელთა ორატორები ზოგჯერ სამხედრო საქმეშიც გამოცდილი იყვნენ“.

4) Ipsum esse Dumnorigem... cupidum rerum novarum (B. G. I, 18. ირიბ სიტყვაში) — „ეს თვით დუმნორიგია, რომელიც გადატრიალების მოტრფიალეა“.

ამ მნიშვნელობათა ზედსართავი სახელებია შემდეგი:

avidus ხარბი	insuetus მიუჩვეველი
compos მფლობელი	memor მეხსიერი, მხსომებელი
conscius მცოდნე, შემცნობი	particeps მონაწილე
cupidus მოტრფიალე	peritus გამოცდილი
expers მოკლებული რასმე	plenus სავსე
ignarus უცოდინარი	prudens მცოდნე, გამოცდილი
imperitus გამოუცდელი	refertus სავსე
inanis ცარიელი	rudis გამოუცდელი
immemor დამვიწყებელი	similis მსგავსი
insolens უჩვეულო	studiosus მეცადინი.

ამავე მნიშვნელობის ზმნებთან (obliviscor „ვივიწყებ“, reminiscor „მახსოვს“ და სხვ.) იხმარება genetivus obiectivus:

1) Quod si veteris contumeliae oblivisci vellet, num etiam recentium iniuriarum... memoriam deponere posse? (B. G. I, 14. ირიბ სიტყვაში) — „კიდევაც რომ არ გაიხსენოს ძველი შეურაცხყოფა, განა შეუძლია მას დაივიწყოს ახლახან მიყენებული უსამართლობანი?“.

2) Sin bello persequi perseveraret, reminisceretur et veteris incommodi populi Romani et pristinae virtutis Helvetiorum (B. G. I, 13. ირიბ სიტყვაში) — „მაგრამ თუ ის (კეისარი) აპირებს ომის გაგრძელებას, დე გაიხსენოს რომაელების ძველი დამარცხებაც და ჰელვეციელების მამა-პაპური სიმამაცე“.

3. Genetivus partitivus. ამ ნათესაობით ბრუნვას ქართულად გადმოვცემთ მრ. რიცხვის ნათესაობითი ბრუნვით და **გან-** თანდებულით (unus eorum „ერთი მათგანი“, quis vestrum? რომელი თქვენგანი?), და იმით აღვნიშნავთ იმ მთელ ერთეულს, რომლის

ერთ ნაწილს ვიღებთ. ის იხმარება უფრო ხშირად ალმატებითი ხარისხის ზედსართავ სახელთან, რაოდენობით რიცხვით სახელებთან, კითხვითსა და განუსაზღვრელ ნაცვალსახელებთან. მაგალითად:

1) **Horum omnium** fortissimi sunt Belgae — „ყველა ამათგან უმამაცესნი არიან ბელგიელები".

2) Gallia est omnis divisa in partes tres, **quarum** unam incolunt Belgae — „მთელი გალია გაყოფილია სამ ნაწილად, რომელთაგან ერთში ცხოვრობენ ბელგიელები".

3) Helvetii legatos ad eum mittunt nobilissimos civitatis — „ჰელვეციელებმა მოციქულებად გაგზავნეს მათთან უწარჩინებულესნი მოქალაქეთაგან".

§ 68. მიცემითი ბრუნვა. მიცემითი ბრუნვა იხმარება ირიბი დამატების გამოსახატავად:

Magister pueris fabulas enarrat
„მასწავლებელი **ბავშვებს** არაკებს უყვება".

იხმარება აგრეთვე იმ უბრალო დამატების აღსანიშნავად, რომელსაც ქართულში მოუდის თანდებული „თვის", მაგალითად:

Medicus doctus avo aegroto iucundus est
„ნასწავლი ექიმი სასიამოვნოა ავადმყოფი პაპისთვის".

გარდა ამისა, მიცემითი ბრუნვის ხმარების შესახებ იგივე უნდა ვთქვათ, რაც ბრალდებითი ბრუნვის შესახებ (იხ. ქვემოთ): არის მთელი რიგი ისეთი შემთხვევები, როდესაც რომელიმე ლათინური ზმნა შეეწყობა მიცემით ბრუნვას, ხოლო იგივე ზმნა სხვა ენაში სხვა ბრუნვას შეეწყობა. მაგალითად, persuasit Helvetiis „დავარწმუნე ჰელვეციელები": ლათინურში persuasit შეეწყობა ირიბ დამატებას, ხოლო ქართულში — პირდაპირ დამატებას.

ზოგიერთი ზმნა, თუ მას აქვს ზმნისწინი: ad, ante, com-, in, inter, ob, post, prae, sub, super—უკავშირდება მიცემით ბრუნვას:

1) Caesar ei munitioni T. Labienum **praefecit** — „კეისარმა ტ. ლაბიენუსი დააყენა იმ სიმაგრის სათავეში".

2) Insignem calamitatem **populo Romano** intulerat — „მას საგრძნობი უბედურება მიეყენებია რომაელი ხალხისათვის".

3) Equitatus eius **nostris equitibus** adpropinquabat — „მისი ცხენოსანი ჯარი ჩვენს ცხენოსნებს უახლოვდებოდა".

§ 69. ბრალდებითი ბრუნვა. ბრალდებითი ბრუნვა (accusativus) ლათინურ ენაში, ისევე როგორც სხვა ინდოევროპულ ენებში, გამოყენებულია პირდაპირი დამატების აღსანიშნავად. გან-

სხვაებით ქართულისაგან, რომელსაც პირდაპირი დამატება შეუძლია ჰქონდეს მიცემითსა და სახელობითში, ლათინურში **პირდაპირი დამატება ყოველთვის ბრალდებით ბრუნვაშია.** მაგალითად:

1) Orgetorix **coniurationem** nobilitatis fecit — „ორგეტორიგმა წარჩინებულთა **შეთქმულება** მოაწყო".

2) Helvetii cum proximis civitatibus **pacem** et **amicitiam** confirmant — „ჰელვეციელები **ზავსა** და **მეგობრობას** სდებენ მეზობელ ქვეყნებთან".

3) Helvetii **oppida** sua omnia incendunt — „ჰელვეციელები მთელ თავის **ქალაქებს** სწვავენ".

უნდა გვახსოვდეს, რომ თითოეულ ენას თავისებური წესი აქვს შემასმენლისა და დამატების შეწყობისა: ერთს ენაში რომ ესა თუ ის შემასმენელი მოითხოვს პირდაპირ დამატებას, სხვა ენაში იგივე შემასმენელი შეიძლება შეეწყოს ირიბ დამატებას, ან უბრალო დამატებას. მაგალითად:

Orgetorix civitati persuasit
„ორგეტორიგმა მოქალაქენი დაარწმუნა".

ამ წინადადებაში შემასმენელი „დაარწმუნა" ქართულში პირდაპირ დამატებას მოითხოვს (დაარწმუნა მოქალაქენი, არწმუნებს მოქალაქეებს), ხოლო ლათინურში იგი მიცემით ბრუნვას შეეწყო.

სახელმძღვანელოში, რაგინდ სრული არ იყოს იგი, შეუძლებელია რაიმე წესის წამოყენება იმის შესახებ, თუ რომელი ზმნა, შემასმენლად ნახმარი, რომელ დამატებას შეეწყობა, პირდაპირსა თუ ირიბს. ყოველ კერძო შემთხვევაში საჭიროა სრულ ლექსიკონში ჩახედვა და იქ იპოვის კაცი პასუხს იმაზე, თუ რომელ ბრუნვას შეეწყობა ესა თუ ის ზმნა. აქ ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ რამდენიმე მაგალითი მოვიყვანოთ იმისა, რომ ზმნა ლათინურში მოითხოვს ბრალდებით ბრუნვას, ხოლო ქართულში მიცემითს (ირიბი დამატებისას):

aequo — ვედრები მას (შევედარე მას)
fugio — გაეურბი მას (გავექეც მას)
imitor — ვბაძავ მას (მივბაძე მას)
iuvo — ვეხმარები მას (დავეხმარე მას)
sequor — მიესდევ მას (მივსდიე მას)
tango — ვეხები მას (შევეხე მას) და სხვ.

ორმაგი ბრალდებითი ბრუნვა. ის ზმნები, რომლებიც ვნებითი გვარის ფორმებში შეეწყობიან ორმაგ სახელობით ბრუნვას, მოქმედებითი გვარის ფორმებში უკავშირდებიან ორმაგ ბრალდებითს. ეს ის ზმნებია, რომელთაც აქვთ მნიშვნელობა: „ვუწოდებ"

(ვის რას), „ვირჩევ“ (ვის რად), „ვთველი“ (ვის რად) და სხვა ამგვარი. § 66-ის ბოლოში მოყვანილ მაგალითებს ორმაგი სახელობითისას ვნებითი კონსტრუქცია რომ შევუცვალოთ მოქმედებით კონსტრუქციად, მივიღებთ შემდეგ წინადადებებს ორმაგი ბრალდებითი ბრუნვით:

1) Castici **patrem** senatus populi Romani **amicum** appellavit — „კასტიკუსის მამას რომაელი ხალხის სენატმა უწოდა მეგობარი“.

2. **L. Valerium consulem** creaverunt — „ლ. ვალერიუსი აირჩიეს კონსულად“.

3) **Ancum Martium regem** populus creavit — „ანკუს მარტიუსი ხალხმა მეფედ აირჩია“.

ბრალდებითი ბრუნვა ქვემდებარის გამოსახატავად. ქვემოთ საგანგებოდ იქნება საუბარი ისეთ ბრალდებით ბრუნვაზე, რომელსაც ქართულად თარგმნისას ქვემდებარის მნიშვნელობას ვაკუთვნებთ (იხ. § 76, **accusativus cum infinitivo**).

§ 70. მოქმედებითი ბრუნვა. ლათინურ მოქმედებით ბრუნვაში (ablativus) თავი მოიყარა სამმა ძველმა ბრუნვამ:

ablativus (გამოცალკეებითი)
instrumentalis (იარაღითი, ანუ მოქმედებითი)
locativus (ადგილობითი).

ამით აიხსნება, რომ ლათინურ ტექსტებში შეხვედრილ აბლატივუსს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს და სხვადასხვანაირად უნდა იქნეს გადმოთარგმნილი:

1. არის შემთხვევები, როდესაც მოქმედებითი ბრუნვით აღნიშნულია ადგილი, საიდანაც გადის ვინმე, ან საგანი, რომლისაგანაც რამე ცალკევდება:

Duces copias castris educunt — „სარდლებს გამოჰყავთ ლაშქარი ბანაკიდან“ (მაგრამ გეხვდება აგრეთვე წინდებულით: **ex hibernis educit** — „საზამთრო სადგომიდან გამოჰყავს“).

2. უფრო ხშირია აბლატივუსის ხმარება იმ იარაღის ან საშუალების აღსანიშნავად, რითაც რამე კეთდება. ეს უდრის ქართულ მოქმედებით ბრუნვას (რით, რის ან ვის შემწეობით); ასეთ ბრუნვას ვუწოდებთ ablativus instrumenti.

. **Interea ea legione**, quam secum **habebat**, **militibusque** qui ex provincia convenerant, murum perducit — „ამასობაში კეისარს კედელი გაჰყავს იმ ლეგიონის მეშვეობით, რომელიც თან ჰყავდა, და იმ ჯარისკაცების დახმარებით, რომელნიც პროვინციიდან შეკრებილიყვნენ“.

3. რიგ შემთხვევებში მოქმედებითი ბრუნვა ნახმარია ადგილის (abl. loci), დროის (abl. temporis), მიზეზის (abl. causae), ვითარების (abl. modi) და სხვათა გამოსახატავად:

Diem dicunt. qua die ad ripam Rhodani conveniant — „დათქვეს დღე, რომელ დღესაც როდანის ნაპირას უნდა შეკრებილიყვნენ".

Consuetudine sua ad pedes desiluerunt — „თავიანთ ჩვეულებისდა მიხედვით, იმათ დაიქვეითეს (ისინი ცხენიდან ჩამოხტნენ).

Equestribus proeliis (abl. temporis) saepe ex equis desiliunt ac pedibus (abl. modi) procliantur — „ცხენოსნური ბრძოლების დროს ისინი ხშირად ჩამოხტებიან ხოლმე ცხენიდან და ქვეითად იბრძვიან".

ცალკე უნდა აღინიშნოს შედარებითი ხარისხის ზედსართავ სახელთან ხმარებული ablativus comparationis (შედარებითი აბლატივუსი). პირთა, საგანთა ან მოვლენათა შედარება შეიძლება ორგვარად:

1) „ვიდრე" კავშირის (quam) მეშვეობით; ამ შემთხვევაში ორივე შესადარებელი სახელი დასმულია სახელობით ბრუნვაში და მათ შორის არის კავშირი quam: **Demosthenes nobilior est, quam ceteri Atheniensium oratores** — „დემოსთენე უფრო ცნობილია, ვიდრე ათენელთა დანარჩენი ორატორები".

2) შესადარებელ სახელთაგან პირველი სახელობით ბრუნვაშია, ხოლო მეორე — მოქმედებით ბრუნვაში (ablativus comparationis): **Nemo Atheniensium Aristide iustior fuit** — „ათენელთაგან არავინ იყო არისტიდეზე უფრო სამართლიანი".

დასასრულ, მოქმედებითი ბრუნვა ფართოდ არის გამოყენებული იმ გამონათქვამში, რომელსაც ეწოდება „დამოუკიდებელი აბლატივუსი" და სადაც მოქმედებითი ბრუნვა ქვემდებარის როლში გვევლინება (იხ. ქვემოთ § 80).

2. დრო-ქილოთა ხმარება წინადადებაში

§ 71. დრო-მწკრივთა კლასიფიკაცია. ლათინური ზმნის დრო-მწკრივები ორ ჯგუფად განიყოფება: 1) მთავარი დროები და 2) ისტორიული დროები.

მთავარი დროებია: **praesens, futurum I, futurum II.**

ისტორიული დროებია: **imperfectum, perfectum, plusquamperfectum.**

ისტორიული ამბების მოთხრობებში ხშირია praesens-ის ხმარება ნამყო დროის მნიშვნელობით. ასეთ პრეზენსს ეწოდება **praesens historicum** და სინტაქსურად განიხილება როგორც ისტორიული დრო.

მ ე ო რ ე მ უ ო ფ ა დ ი. Futurum I და futurum II ქართულად თარგმნის დროს ორივე გადმოიცემა მუოფადით, მაგრამ ლათინურში მათი ხმარება საკმაოდ გამიჯნულია. მუოფადი II უპირატესად დამოკიდებულ წინადადებაში იხმარება და აღნიშნავს ისეთ მომავალ მოქმედებას, რომელიც წინ უსწრებს მთავარ წინადადებაში გამოხატულ მოქმედებას:

Legimus libros, quos parentes miserant. Quos cum legerimus (fut. II). vobis dabimus (fut. I) — „ვკითხულობთ წიგნებს, რომლებიც მშობლებს გამოუგზავნიათ. როდესაც წავიკითხავთ მათ, თქვენ გადმოგცემთ“.

წ ი ნ ა რ ე წ ა რ ს უ ლ ი. იმ წარსული დროით, რომელსაც ეწოდება plusquamperfectum, გამოიხატება ისეთი მოქმედება, რომელიც წინ უსწრებს სხვა წარსული დროით გამოხატულ მოქმედებას. ქართულში ჩვენ მოგვეპოვება plusquamperfectum-ის შესატყვისი დრო. ეს ის ზმნური ფორმაა, რომელსაც ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოთა ძველი ავტორები „წ ი ნ ა რ ე წ ა რ ს უ ლ ს“ ეძახდნენ, ხოლო თანამედროვე სახელმძღვანელოებში „თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი“ ეწოდება.

წინარეწარსული უპირატესად დამოკიდებულ წინადადებებში გვხვდება, მაგრამ გვხვდება აგრეთვე დამოუკიდებლადაც.

1) **Equitatui, quem auxilio Caesari Haedui miserant, Dumnorix praerat** — „იმ ცხენოსანთა ჯარს, რომელიც ჰედუელებს გ ა მ ო უ გ ზ ა ვ ნ ი ა თ კეისრისათვის დასახმარებლად, დუმნორიგი წინამძღოლობდა“ (B. G. I, 18).

2) **Legionem Caesar, quam equis devexerat, passibus CC ab eo tumulo constituit** — „კეისარმა ამ ბორცვიდან 200 ნაბიჯის მანძილზე დააყენა ლეგიონი, რომელიც ცხენებზე შ ე ე ს ხ ა“ (B. G. I, 43).

3) **Helvetii iam per angustias et fines Sequanorum suas copias traduxerant et in Haeduorum fines pervenerant eorumque agros populabantur** — „ჰელვეციელებს უკვე გ ა ვ ლ ი ლ ი ა თ თავიანთი ლაშქარი სეკვანელთა საზღვრებზე და ვიწრობებზე, ჰედუელების ქვეყანაში მ ი ს უ ლ ი ყ ვ ნ ე ნ და მათ მახლობლებს არბევდნენ“ (B. G. I, 11).

§ 72. კავშირებითი კილოს მწკრივთა ხმარება. კილოთა შორის ერთგვარად დაპირისპირებულად მოჩანს ერთიმეორისადმი თხრობითი კილო (modus indicativus) და კავშირებითი კილო (m. coniunctivus). იმ დროს, როდესაც თხრობითი კილოს ზმნა გადაწყვეტით ამბობს, რომ ესა თუ ის მოქმედება ხდება, ხდებოდა ან მოხდა (წერს, წერდა. წერა ან დაწერა), კავშირებითი კილოს ზმნა მხოლოდ მოქმედების წარმოების შესაძლებლობაზე მიუთითებს (წერდეს, წეროს).

ლათინურ ენაში ასეთი განსხვავება თხრობითი კილოს ზმნასა და კავშირებითი კილოს ზმნას შორის მთლიანად გ ა ტ არებულია

დამოუკიდებელ წინადადებაში, ხოლო დამოკიდებულ წინადადებაში საგანგებო წესები არსებობს იმისათვის, იქნება იქ შემასმენელი გამოხატული თხრობითი კილოს ზმნით თუ კავშირებითი კილოს ზმნით.

დამოუკიდებელ წინადადებაში კავშირებითი კილოს ზმნა გამოხატავს მოქმედების შესაძლებლობას, სასურველობას ან საჭიროებას:

1) **Audiatur et altera pars**—„მ ო უ ს მ ი ნ ო ნ მეორე მხარესაც“.

აქ **audiatur** (აწმყოს კავშირებითი) მიუთითებს იმაზე, რომ, როდესაც დავაა ორ მხარეს შორის, საკმარისი არ არის მხოლოდ ერთ მხარეს მოუსმინონ, საჭიროა „მოსმენილ იქნეს მეორე მხარეც“. იგივე გამოთქმა თხრობით კილოში იქნებოდა: **auditur et altera pars** „მეორე მხარესაც უსმენენ“, სადაც გადაწყვეტით არის ნათქვამი, რომ არ კმაყოფილდებიან ერთი მხარის მოსმენით და მეორესაც დაუძახეს — თქვენი აზრი მოგვახსენეთო.

2) **Dent operam consules, ne quid respublica detrimenti capiat** — „იზრუნონ კონსულებმა, რათა სახელმწიფოს რამე ზიანი არ მოუვიდეს“ (კეისარი, „სამოქ. ომი“ I, 5, 3):

კავშირებითი **dent operam** მიუთითებს იმაზე, რომ საჭიროა კონსულები ფხიზლად იყვნენ. სწორედ იმიტომ დასჭირდებოდა ხოლმე სენატს ასეთი დადგენილების გამოტანა, რომ მისი აზრით, კონსულები ფხიზლად არ იყვნენ და ამიტომ შესაძლებელი ხდებოდა ისეთი ფაქტის წინაშე დადგომა, როგორიც იყო, მაგალითად, „კატილინას აჯანყება“.

§ 73. კავშირებითი კილო დამოკიდებულ წინადადებაში. დამოკიდებულ წინადადებაში შემასმენელი გამოიხატება ხოლმე როგორც თხრობითი, ისე კავშირებითი კილოს ზმნით. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის დამოკიდებული წინადადება გვაქვს; ასე, მაგალითად, დამოკიდებულ მსაზღვრელ წინადადებაში შემასმენელი ყოველთვის გამოხატულია თხრობითი კილოს ზმნით, ხოლო მიზნის გარემოების წინადადებაში ზმნა ყოველთვის კავშირებითი კილოს ფორმით არის წარმოდგენილი:

1) მსაზღვრელი წინადადება: **Belgae proximi sunt Germanis, qui trans Rhenum incolunt** — „ბელგიელები მეზობლები არიან გერმანელებისა, რომელნიც რეინის გადაღმა ცხოვრობენ“.

2) მიზნის გარემოების წინადადება: **Videant consules, ne quid respublica detrimenti capiat** — „თვალყური ადევნონ კონსულებმა, რათა სახელმწიფოს რამე ზიანი არ მოუვიდეს“.

ი მ დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ წინადადებებში, რომლებშიც შემასმენელი კავშირებითი კილოს ზმნით არის გამოხატული, ზმნის დრო შეპირობებულია იმ ზმნის დროთი, რომლითაც გამოხატულია შემასმენელი მ მ ა რ თ ვ ე ლ წინადადებაში. ასე, მაგალითად, თუ მმართველ წინადადებაში შემასმენელი გამოხატულია ზმნის მთავარი

დროით, დამოკიდებულ წინადადებაში ზმნა გვექნება კავშირებითი კილოს აწმყოში, პერფექტუმში ან -urus sim; ხოლო, თუ მმართველ წინადადებაში ზმნა ისტორიულ დროშია, დამოკიდებულ წინადადებაში ზმნა გვექნება იმპერფექტუმში, წინარეწარსულში ან -urus essem.

ურთიერთობა მმართველისა და დამოკიდებული წინადადებების შემასმენელთა შორის იმითაც არის შეპირობებული, თუ როდის სრულდება ერთისა და მეორე წინადადების შემასმენლებით გამოხატული მოქმედება. აქ შეიძლება გვქონდეს სამნაირი შემთხვევა:

1) მოქმედება ორსავე წინადადებაში ერთ დროს სრულდება; ამ შემთხვევაში ვამბობთ, რომ მოქმედება თ ა ნ ა დ რ ო უ ლ ი ა.

2) მოქმედება დამოკიდებული წინადადებისა წინ უსწრებს მმართველი წინადადების მოქმედებას; ამ შემთხვევაში მოქმედება წ ი ნ ა დ რ ო უ ლ ი ა.

3) მოქმედება დამოკიდებული წინადადებისა უფრო გვიან სრულდება, ვიდრე მმართველი წინადადების მოქმედება. ასეთი შემთხვევისათვის ვამბობთ, რომ მოქმედება გ ვ ი ა ნ დ რ ო უ ლ ი ა.

მაშასადამე, დრო დამოკიდებული წინადადების შემასმენლის გამომხატველი ზმნისა მ ი ს დ ე ვ ს მმართველი წინადადების შემასმენლის გამომხატველი ზმნის დროს. ამიტომ ამ წესს დამოკიდებულ წინადადებაში ნახმარი კავშირებითი კილოს ზმნის დროთა შერჩევისა ეწოდება წესი „დ რ ო თ ა თ ა ნ ა მ ი მ დ ე ვ რ ო ბ ი ს ა“ **(Consecutio temporum)**. ეს წესი „დროთა თანამიმდევრობისა“ შეიძლება შემდეგი სქემით გამოვხატოთ:

Consecutio temporum

დრო მმართველ წინადადებაში	დრო დამოკიდებულ წინადადებაში		
	თანადროულობის შემთხვევაში	წინადროულობის შემთხვევაში	გვიანდროულობის შემთხვევაში
ერთ-ერთი მთავარი დრო: 1) praesens 2) futurum I 3) futurum II აგრეთვე imperativus	praesens coniunct.	perfectum coniunct.	-urus sum
ერთ-ერთი ისტორიული დრო: 1) imperfectum 2) perfectum 3) plusquamperfectum	imperfectum coniunct.	plusquamperfectum coniunct.	-urus essem

შენიშვნა 1: ამ ცხრილიდან ჩანს, რომ დამოკიდებულ წინადადებაში ნახმარი ზმნის დრო შეფარდებულია მმართველი წინადადების ზმნის დროსთან. ასე, მაგალითად, მმართველი წინადადების წარსულ დროებს შეესატყვისება დამოკიდებულ წინადადებაში „ნამყო უსრული“ და „წინარეწარსული“, ხოლო მმართველი წინადადების მთავარ დროს (უკეთ რომ ვთქვათ აწმყოს სერიის დროს) — „აწმყო“ და „პერფექტუმი“ (აქ საჭიროა ვიცოდეთ, რომ ინდოევროპულ ენებში „პერფექტუმი“ თავისი შინაარსით აწმყოს ჯგუფს მიეკუთვნებოდა და ამ მოვლენის გადმონაშთს ლათინურში სწორედ ის წარმოადგენს, რომ რიგ შემთხვევებში „პერფექტუმი“ ახლოს დგას აწმყოსთან). მაგრამ გვიანდროულობის შემთხვევებში მოველოდით „მყოფადს“ და მის მაგივრად გვაქვს პირველი აღწერილობითი უღვლილების ფორმები. ეს იმით არის გამოწვეული, რომ მყოფადის კავშირებითი კილო არ არსებობს და იგი შენაცვლებულია ისეთი კავშირებითი კილოს ფორმით (sim, essem), რომელსაც ახლავს მყოფადი დროის მიმღეობა (-urus sim, -urus essem).

შენიშვნა 2: გვიანდროულობის შემთხვევაში აღწერილობითი უღვლილებით გამოხატვა შემასმენლისა ყოველგვარ წინადადებაზე არ ვრცელდება. ასე, მაგალითად, მიზნის გარემოების წინადადებაში (ut finale, იხ. ქვემოთ) ფორმები -urus sim და -urus essom არ იხმარება.

ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში ნათლად მოჩანს, რომ ის დამოკიდებული წინადადებები, რომლებშიც შემასმენელი კავშირებითი კილოს ზმნით გამოისატება, ზედმიწევნით მისდევენ „დროთა თანამიმდევრობის“ წესს.

1) Cum in Italiam **proficisceretur** Caesar Servium Galbam cum legione XII et parte equitatus in Nantuates, Veragros Sedunosque **misit**, qui a finibus Allobrogum et lacu Lemanno et flumine Rhodano ad summas Alpes **pertinent** (B. G. III, 1, 1)— „როდესაც იტალიაში მიემგზავრებოდა კეისარი, მან სერვიუს გალბა გაგზავნა XII ლეგიონით და ცხენოსანთა ჯარის ერთი ნაწილით ნანტუატების, ვერაგრებისა და სედუნებისაკენ, რომელთა ქვეყნები გადაჭიმულია ალობროგების საზღვრებიდან, ლემანის ტბიდან და მდინარე როდანიდან ალპების მწვერვალებამდე.

აქ დამოკიდებულ წინადადებაში გვხვდება imperfectum coniunct. (**proficisceretur**), რადგან მმართველ წინადადებაში არის misit (პერფექტუმი, ე. ი. ისტორიული დრო); თანაც თანადროულობის შემთხვევა გვაქვს: კეისარმა იმ დროს გაგზავნა გალბა, როდესაც თვითონ იტალიაში მიემგზავრებოდა.

აქვე გვაქვს მეორე დამოკიდებული წინადადება, რომელშიც შემასმენელი გამოხატულია თხრობითი კილოს ზმნით, რადგან qui-წინადადებას (ე. ი. მსაზღვრელ წინადადებას) ეკუთვნის თხრობითი კილოს ზმნა და არა კავშირებითი კილოსი.

2) Caesar cum ab hoste non amplius passuum XII milibus **abesset**, ad eum legati **revertuntur**. Qui in itinere congressi magnopere ne longius **procederet** **orabant**, cum id non impetrassent, **petebant**, uti ad eos equites, qui agmen antecessissent, **praemitteret** eosque pugna prohiberet (B. G.

IV, 11) — „როდესაც კეისარი მტრისაგან დაშორებული იყო არა უმეტეს 12 ათასი ნაბიჯისა, მასთან დაბრუნდნენ მოციქულები. სალაშქროდ წამოსულს რომ შეხვდნენ, მოციქულები ძალიან ემუდარებოდნენ მას, რომ წინ არ წაწეულიყო. რადგან ამით ვერაფერს გახდნენ, თხოვნა დაუწყეს, რათა მას წინ კაცები გაეგზავნა იმ ცხენოსნებთან, რომლებიც ლაშქარს წინ მიუძღოდნენ, და ბრძოლისაგან შეეკავებინა ისინი“.

3) Helvetii ad eum legatos **mittunt**, qui **dicerent** sibi esse in animo sine ullo maleficio iter per provinciam facere, propterea quod aliud iter **haberent** nullum; rogare, ut eius voluntate id sibi facere **liceat** — „ჰელვეციელებმა კეისართან მოციქულები გაგზავნეს, რომელთაც უნდა ეთქვათ, რომ მათ განზრახული აქვთ, ყოველგვარი ბოროტი საქციელის გარეშე, პროვინციაზე გაიარონ, რადგან სხვა არავითარი გზა მათ არა აქვთ: სთხოვდნენ, რომ მან თავისი სურვილით მათ დართოს ამის ნება“ (B. G. I, 7).

„დროთა თანამიმდევრობის“ წესის დაცვის შესახებ უნდა გვახსოვდეს შემდეგი:

1. ამ წესს ემორჩილებიან ის დამოკიდებული წინადადებები, რომლებიც შემასმენელს გამოხატავენ კავშირებითი კილოს ზმნით.

2. ზოგიერთი სახის დამოკიდებული წინადადება იყენებს ამ წესს მთლიანად. ასე, მაგალითად, მას იყენებენ მთლიანად **cum causale** და **cum concessivum** (იხ. ქვემოთ § 74), რომელთაც შეუძლიათ შეითანხმონ მმართველი წინადადების ყოველი დრო, როგორც მთავარი ისე ისტორიული, და რომლებიც გამოხატავენ ხოლმე როგორც თანადროულ, ისე წინადროულ მოქმედებას. ასევე მთლიანად იყენებს „დროთა თანამიმდევრობის“ წესს ე. წ. „ირიბი სიტყვა“ (**oratio obliqua**).

3. ზოგიერთი დამოკიდებული წინადადება იყენებს ამ წესს მხოლოდ ნაწილობრივ. ასე, მაგალითად, წინადადება **cum historicum**, რომელსაც შეუძლია მხოლოდ ისტორიული დროების მქონე მმართველი წინადადება შეითანხმოს, მოქმედების გამოსახატავად ხმარობს მხოლოდ **imperfectum coniunct.** და **plusquamperfectum coniunct.**

§ 74. გარემოებითი დამოკიდებული წინადადება. გარემოებითი დამოკიდებული წინადადება იწყება კავშირით **cum** („როდესაც“ და სხვ.) და მისი შემასმენელი შეიძლება გამოხატული იყოს როგორც თხრობითი კილოს, ისე კავშირებითი კილოს ზმნით.

თხრობითი კილოს ზმნით გამოხატული შემასმენლის მქონე გარემოებითი წინადადების ყველაზე უფრო გავრცელებული სახეა **cum temporale** („დროისა“), სადაც გადმოცემულია ხოლმე ამბავი,

რომელიც ან ახლა ხდება, ან მომავალში მოხდება; ამასთან შეფარდებით ამ წინადადებაში შემასმენელი არის აწმყოში და მყოფადში (praesens, futurum I, futurum II).

Legimus libros, quos parentes miserant. Quos **cum legerimus**, vobis dabimus „ვკითხულობთ წიგნებს, რომლებიც მშობლებს გამოუგზავნიათ; როდესაც წავიკითხავთ, მოგცემთ“.

თხრობით კილოს ხმარობს აგრეთვე **cum explicativum** („განმარტებითი“), სადაც წარმოდგენილია იმ მოქმედების ახსნა, რომელიც მმართველ წინადადებაშია:

De te, Catilina, **cum quiescunt**, probant, **cum patiuntur** decernunt, **cum tacent** clamant (ციცერონი კატილინა I, 21). — „შენ შესახებ კი, კატილინა, იმით რომ (სენატორები) წყნარად არიან, იწონებენ ჩემს განაჩენს; იმით რომ არ შედავებიან, განაჩენი გამოაქვთ; იმით რომ სდუმან, შენს დასჯას მოითხოვენ“.

წარსული ამბების გადმოცემის დროს გარემოებითი დამოკიდებული წინადადება, უპირატესად, კავშირებითი კილოს ზმნით გამოხატავს შემასმენელს და იქ იხმარება შემდეგი სახის cum:

Cum historicum („როდესაც“, „იმ დროს როდესაც“, „იმის შემდეგ რაც“),
Cum causale („რადგანაც“),
Cum concessivum („თუმცა)“.

Cum historicum. ეს იხმარება მხოლოდ და მხოლოდ წარსული ამბების მოთხრობის დროს და მას შეუძლია შეითანხმოს მხოლოდ ისეთი მმართველი წინადადება, რომელშიც მოქმედება გამოხატულია ისტორიული დროთი. გარდა ამისა წარსული ამბების მოთხრობის დროს შეიძლება გვქონდეს მმართველ-დამოკიდებულ წინადადებებში მოქმედების ან თანადროულობის შემთხვევა, ან წინადროულობის შემთხვევა. სრულიად გამორიცხულია ის შემთხვევა, რომ დამოკიდებულ წინადადებაში მოქმედება გვიანდროული იყოს. მაშასადამე, cum historicum-იან წინადადებაში შეიძლება გვქონდეს მხოლოდ ან imperfectum coniunctivi, ან plusquamperfectum coniunctivi. პირველ შემთხვევაში, როდესაც მმართველისა და დამოკიდებული წინადადებების მოქმედება თანადროულია და, მაშასადამე, დამოკიდებულ წინადადებაში გვაქვს imperfectum c., კავშირი cum შეგვიძლია ვთარგმნოთ „როდესაც“, „იმ დროს როდესაც“; ხოლო მეორე შემთხვევაში, როდესაც დამოკიდებული წინადადების მოქმედება წინადროულია და შემასმენლისათვის გვაქვს plusquamperfectum c., კავშირი cum ითარგმნება „როდესაც“, „მას შემდეგ რაც“.

1) Cum esset Caesar in citeriore Gallia, crebri ad eum rumores adferebantur... omnes Belgas contra populum Romanum coniurare (B. G.

II, 1) — „როდესაც კეისარი პირაქეთა გალიაში იყო, ხშირად ესმოდა, ბელგიელები შეთქმულებას ამზადებენ რომაელი ხალხის წინააღმდეგო".

2) **Qui cum ad flumen Ligerin venissent, paucos dies ibi morati neque flumen transire ausi domum revertuntur** (B. G. VII, 5) — „როდესაც ისინი მდინარე ლიგერთან მივიდნენ, რამდენიმე დღე იქ დაყოვნეს, ვერც გადასელა გაბედეს, და შინ დაბრუნდნენ".

Cum causale. ასე ეწოდება მიზეზის გარემოების წინადადებას, რომელიც ითანხმებს მმართველი წინადადების ორსავე შემთხვევას: მთავარ-დროიანსაც და ისტორიულ-დროიანსაც. მმართველი და დამოკიდებული (მიზეზის) წინადადებების მოქმედებათა ურთიერთობა შეიძლება იყოს ორნაირი: თანადროული და წინადროული.

1) **Quae cum ita sint, Catilina, p e r g e, quo coepisti, e g r e d e r e aliquando ex urbe** (ციცერონი, კატილინა, I, 10) — „რადგან ეს ასეა, კატილინა, განაგრძე დაწყებული საქმე, გაგეცალე, ბოლოს და ბოლოს, ქალაქიდან".

2) **Cum Caesar in Galliam venit, alterius factionis principes erant Haedui, alterius Sequani. Hi cum per se minus valerent, ...Germanos atque Ariovistum sibi a d i u n x e r a n t** (B. G. VI, 12) — „როდესაც კეისარი გალიაში ჩავიდა, ერთ დასს მეთაურობდნენ ჰედუელები, მეორეს — სეკვანელები. რადგან სეკვანელები თვითონ ნაკლები ძალის მქონენი იყვნენ (ხოლო ჰედუელები ძალიან ძლიერნი), ამიტომ იმათ კავშირი შეკრეს გერმანელებთან და არიოვისტესთან".

3) **Cum Athenas sis profectus inanem redire turpissimum est** (ციცერონი) — „რადგან ათენში გაემგზავრე, დიდი სირცხვილია ხელცარიელი დაბრუნდე".

Cum concessivum. ეს კავშირი იწყებს დათმობითს დამოკიდებულ წინადადებას და ითანხმებს კავშირებითი კილოს ზმნას ყველა დროში. თვით კავშირს ვთარგმნით „თუმცა" (მის შესატყვისად მთავარ წინადადებაში ვხმარობთ „მაგრამ"), „მიუხედავად იმისა, რომ".

1) **Nihil me a d i u v i t. cum posset** — „თუმცა შეეძლო დამხმარებოდა მაგრამ არ დამეხმარა".

2) **Sabinus idoneo omnibus rebus loco castris se t e n e b a t, cum Viridovix contra eum duorum milium spatio consedisset cotidieque, productis copiis, pugnandi potestatem faceret** (B G. III, 17) — „საბინესი თავის ბანაკში რჩებოდა, ყოველი მხრით მოხერხებულ ადგილას, მიუხედავად იმისა, რომ ვირიდოვიქსი ჩამჯდარიყო მის წინააღმდეგ სულ რაღაც ორი მილის მანძილზე და ყოველ დღე გამოჰყავდა ჯარი და საბინუსს ბრძოლის საშუალებას აძლევდა".

არის აგრეთვე სხვა სახის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები, რომელთა კავშირებია: postquam „მას შემდეგ რაც", antequam „ვიდრე", „სანამ", dum „სანამ", „ვიდრე", donec „სანამ", ubi „როგორც კი" და სხვები, რომლებიც უკავშირდებიან როგორც თხრობითი კილოს ზმნას, ისე კავშირებითი კილოსას.

§ 75. მიზნის გარემოების წინადადება. მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება უკავშირდება მთავარ წინადადებას **ut**-კავშირის საშუალებით და უპასუხებს კითხვაზე: რისთვის? რა მიზნით? რად? ქართულად ut-კავშირს ვთარგმნით: „რომ". „რათა". თუ მიზნის გარემოების წინადადებაში შემასმენელს უარყოფა უნდა ახლდეს („რათა არ..."), მაშინ **ut non**-ის (**ut ne**-ს) მაგიერ იხმარება **ne.**

ასეთ ut-ს ეწოდება **ut finale** და **ne finale.**

მიზნის გარემოების წინადადებაში შემასმენელი გამოიხატება კავშირებითი კილოს ზმნით „დროთა თანამიმდევრობის" წესის მიხედვით, ხოლო ზმნა გვექნება ან **praesens coniunctivi**, ან **imperfectum coniunctivi.** პირველი გვექნება მაშინ, თუ მმართველი წინადადების მოქმედება მთავარი დროის ფორმაშია, ხოლო **imperfectum coniunctivi** — თუ მმართველ წინადადებაში შემასმენელი ისტორიული დროის ფორმაშია, ე. ი. მიზნის გარემოების წინადადებაში შეიძლება გვქონდეს მხოლოდ ის ვითარება, რომელიც გულისხმობს **თანადროულობის** შემთხვევას (იხ. ზემოთ გვ. 103, ცხრილი). წინადროულობის შემთხვევა გამორიცხულია იმიტომ, რომ მიზნის წინადადებაში შემასმენლის მოქმედება არ შეიძლება წინ უსწრებდეს მმართველი წინადადების მოქმედებას. მოგვყავს მაგალითები:

1) **Caesar ad. T. Sextium legatum misit, ut cohortes ex castris celeriter educeret** (B. G. VII, 49) — „კეისარმა ლეგატ ტ. სექსტიუსთან კაცები გაგზავნა იმ მიზნით, რომ მას (სექსტიუსს) სასწრაფოდ გამოეყვანა კოპორტები ბანაკიდან".

2) **Germani omnem aciem suam raedis et carris circumdederunt, ne qua spes in fuga relinqueretur** (B. G. I. 21) — „გერმანელებმა მთელი თავისი ჯარი ეტლებითა და ურმებით შემორკალეს, რათა ჯარისკაცებს მოსპობოდათ გაქცევის ყოველგვარი იმედი".

3) **Caesar Rhenum transire constituit, ne ad eos Ambiorix receptum haberet** — „კეისარმა გადაწყვიტა რეინზე გადასულიყო, რათა ამბიორიგს მათთან (გერმანელებთან) თავშესაფარი არ ეპოვა (B. G VI, 9).

Ut finale-ს ენათესავება **ut obiectivum**, რომელიც იხმარება დამატებით წინადადებაში და ითარგმნება აგრეთვე: „რომ", „რათა". **Ut obiectivum**-იც უკავშირდება **praesens c.** და **imperfectum coniunctivi**-ს. ეს დამატებითი წინადადება ისე ახლოს დგას **ut finale**-სთან, რომ ზოგჯერ ძნელდება კიდეც მათი გარჩევა.

1) **Mulieres flentes implorabant, ne se in servitutem Romanis traderent** (B. R. I, 51) — „ქალები ტირილით ემუდარებოდნენ, რომ ისინი რომაელებისათვის არ გადაეცათ მონებად".

2) **Decrevit quondam senatus, ut L. Opimius consul videret. ne quid res publica detrimenti caperet** (ციცერონი, კატილინა I, 4) — „ერთხელ

სენატმა დაადგინა იმის თაობაზე, რომ კონსულ ლ. ოპიმიესს ზომები მიეღო (იმ მიზნით), რათა სახელმწიფოს არაეითარი ზიანი არ მოსვლოდა“ (**ut videret** არის **ut obiectivum**, ხოლო **ne caperet**-ში გვაქვს **ne finale**).

3) **Orgetorix... civitati persuasit, ut de finibus suis exirent** (B. G. I, 2) — „ორგეტორიგმა დაარწმუნა მოქალაქეები, რომ ისინი გასულიყვნენ თავიანთი საზღვრებიდან“.

4) **Post eius mortem nihilominus Helvetii id, quod constituerant, facere conantur. ut e finibus suis exeant** (B. G. I, 5) — „მისი გარდაცვალების შემდეგ ჰელვეციელები მაინც ცდილობდნენ სისრულეში მოეყვანათ ის, რაც დაედგინათ, რომ თავიანთი საზღვრებიდან გასულიყვნენ“.

მაინც შეიძლება **ut obiectivum**-ის გამორჩევა **ut finale**-საგან იმით, რომ უკანასკნელი უპასუხებს კითხვაზე: რისთვის? რა მიზნით? პირველი კი უპასუხებს კითხვაზე: რაზე? რის შესახებ? გარდა ამისა **ut obiectivum** გამოწვეულია ხოლმე მმართველი წინადადების ისეთი შემასმენლით, რომლის მნიშვნელობაა: „ვზრუნავ“, „ვარწმუნებ“, „ვურჩევ“, „ვთხოვ“, და მისთანანი. ასეთი ზმნებია:

curo ვზრუნავ	**edico** ვუთხრ (ვუბრძანებ)
decerno გადავწყვეტ	**persuadeo** ვარწმუნებ
hortor ვურჩევ	**peto** ვთხოვ
impero ვუბრძანებ	**rogo** ვთხოვ და სხვ.

მიზნის წინადადება, გარდა **ut finale**-სი, შეიძლება გამოითქვას აგრეთვე **qui finale**-თი: ამ შემთხვევაშიც შემასმენელი გამოიხატება ზმნის იმავე დროებით (**praesens c.** და **imperfectum c.**). მაგალითად:

1) **..diem dicunt, qua die (=ut ea die) ad ripam Rhodani omnes conveniant** — „ნიშნავენ დღეს, რათა ამ დღეს ყველანი როდანის ნაპირას შეიკრიბნენ“.

2) **Helvetii ad eum legatos mittunt, qui (=ut ii) dicerent sibi esse in animo iter per provinciam facere** — „ჰელვეციელებმა მასთან გაგზავნეს მოციქულები, რათა მათ ეთქვათ, რომ მათ განზრახული აქვთ პროვინციაზე გაიარონ“.

§ 76. ინფინიტივის ხმარება. ინფინიტივი ანუ განუსაზღვრელი კილო, პირველ რიგში, ზმნაა: მას აქვს ზმნის ძირითადი თვისებები, სახელდობრ:

1) ლათინურ ინფინიტივს მოეპოვება დროის გაგება და გვარის გაგება. ამიტომაცაა, რომ მას აქვს ორივე გვარის და სამივე დროის მნიშვნელობის ამსახველი ფორმა (ამათი წარმოება იხ. ზემოთ § 47).

2) დამატებას ინფინიტივი ითანხმებს იმავე ბრუნვაში, რომელშიც ითანხმებს იგივე ზმნა პირიელ ფორმებში:

persuasit Gallis	„დაარწმუნა ჭალები“
persuadere Gallis	„გალების დარწმუნება“,

3) ინფინიტივის ამსახველ სიტყვად იხმარება **ზმნისართი** და არა ზედსართავი სახელი:

respondit brevitor	„მოკლედ გასცა პასუხი“
brevitor respondere	„მოკლედ პასუხის გაცემა“.

მაგრამ ინფინიტივი ლათინურში არის, ამავე დროს, ნაზმნარი არსებითი სახელიც: მსგავსად არსებითი სახელისა, ინფინიტივიც წინადადებაში გამოიყენება როგორც ქვემდებარე და როგორც დამატება.

ქვემდებარის როლში ინფინიტივი გაგებულია როგორც არსებითი სახელი საშუალო სქესისა, მხოლოობით რიცხვში და სახელობით ბრუნვაში, მაგალითად:

1) Errare humanum est — „შეცდომა ადამიანის თვისებაა“.

2) Dulce et decorum est pro patria mori (ჰორაციუსი) — „სასიამოვნო და სასახელოა სამშობლოსათვის სიკვდილი“.

დამატების როლში ინფინიტივი იხმარება ზმნებთან, რომელთა მნიშვნელობაა „მინდა“, „შემიძლია“, „ვიწყებ“, „განვაგრძობ“, „ვაპირებ“ და სხვ.; ასეთ შემთხვევებში რუსულიც განუსაზღვრელ კილოს ხმარობს (facere conantur, пытаются сделать), იმ დროს როდესაც ახალი ქართული ამჯობინებს პირიელი ფორმით გადმოსცეს („ცდილობენ გააკეთონ“, იშვიათად: „გაკეთებას ცდილობენ“), თუმცა ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივია სახელზმნის ხმარება (მაგალითად; «ყოფად გჳბრძანებდი», «ჯერ-არს აღშენებად», «გუაიძულებ დატევებად»):

1) Helvetii constituerunt [omnia] ...comparare, sementes ...facere, cum proximis civitatibus pacem et amicitiam confirmare (B. G. I, 3 — „ჰელვეციელებმა გადაწყვიტეს [ყველაფერი] დაემზადებინათ, პურეული დაეთესათ, მეზობელ ქვეყნებთან ზავი და მეგობრობა დაედოთ“.

2) Erant omnino itinera duo, quibus itineribus domo exire possent (B. G. I, 5) — „სულ ორი გზა იყო, რომლებითაც შეეძლოთ თავისი ქვეყნიდან გასვლა“.

3) Caesar maturat ab urbe proficisci (B. G. I, 7) — „კეისარი იჩქარის ქალაქიდან გაემგზავროს“ („კეისარი სასწრაფოდ მიემგზავრება ქალაქიდან“).

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ინფინიტივს იმ კონსტრუქციებში, რომელთაც ეწოდება accusativus cum infinitivo და nominativus cum infinitivo.

§ 77. Accusativus cum infinitivo. ამ სახელწოდებით ცნობილია ისეთი გამონათქვამი, რომელშიც სახელი დასმულია ბრალდებით ბრუნვაში (accusativus), ხოლო ზმნა — განუსაზღვრელ კილოში (infinitivus). ასეთი გამონათქვამი გვხვდება ხოლმე ისეთ წინადადებაში, რომლის შემასმენელი გამოხატავს „თქმას“, „ფიქრს“,

„გრძნობას“ და ამათ მსგავსს (verba dicendi, sentiendi et declarandi). მაგალითად:

Helvetii angustos se fines habere arbitrabantur
(„ჰელვეციელები ფიქრობდნენ, რომ **მათ უჭირავთ** ვიწრო საზღვრები“).

ამ წინადადებაში ქვემდებარეა „ჰელვეციელები“ (Helvetii), შემასმენელი — „ფიქრობდნენ“ (arbitrabantur); დანარჩენი სიტყვებით გამოხატულია ის, თუ რას ფიქრობდნენ ჰელვეციელები, ე. ი. გამოთქმა „angustos se fines habere“ არის მთლიანად დამატება სიტყვისათვის „ფიქრობდნენ“. აი, ამ გამონათქვამს, რომელსაც ჩვენ „დამატება“ ვუწოდეთ, ქართულად გადმოვცემთ **დამატებითი წინადადებით**, რომელსაც დავიწყებთ კავშირით „რომ“. ამ დამატებით წინადადებაში შემასმენლად მივიჩნევთ სიტყვას „habere“ (და გადმოვცემთ პირიელი ფორმით „უჭირავთ“, „აქვთ“), რომელსაც მოუდის თავისი პირდაპირი დამატება augustos fines („უჭირავთ ვიწრო საზღვრები“). დარჩენილი se (ნაცვალსახელის ბრალდებითი ბრუნვა) იქნება ქვემდებარე შემასმენლისათვის habere (se habere — „მათ უჭირავთ“).

ამგვარად, შემასმენელმა arbitrabantur („ფიქრობდნენ“) მოითხოვა დამატებითი წინადადება (se habere), რომელშიც ქვემდებარე გამოხატულია ბრალდებითი ბრუნვით (se), ხოლო შემასმენელი — განუსაზღვრელი კილოთი (habere). აი, ამგვარ გამონათქვამს, რომელშიც ქვემდებარე ბრალდებით ბრუნვაშია (accusativus), ხოლო შემასმენელი გამოხატულია განუსაზღვრელი ფორმით (infinitivus), ეწოდება accusativus cum infinitivo.

მაგალითები:

1) **Scio me mortalem esse** — „ვიცი, რომ მე მოკვდავი ვარ“ (აქ შედგენილი შემასმენელია **mortalem esse**, რომელშიც სახელადი ნაწილი ბრალდებით ბრუნვაშია, ხოლო ზმნური ნაწილი ინფინიტივშია).

2) **Scio me multa nescire** — „ვიცი, რომ მე ბევრი რამ არ ვიცი“.

3) **Platonem Tarentum venisse reperio** — „მე ვფიქრობ, რომ პლატონი ტარენტოში ჩავიდა“.

3) **Caesar quod memoria tenebat L. Cassium consulem occisum (esse) exercitumque eius ab Helvetiis pulsum (esse) et sub iugum missum (esse), concedendum (esse) non putabat** — „რადგან კეისარს კარგად ახსოვდა, რომ ლ. კასიუსი მოკლულ იქმნა, მისი ჯარი ჰელვეციელების მიერ დამარცხებულ იქმნა და უღლის ქვეშ გატარებული, ფიქრობდა, რომ არ შეიძლებოდა მათთვის დათმობა“.

5) **Caesar legatis respondit diem se ad deliberandum sumpturum (esse)** — „კეისარმა მოციქულებს უპასუხა, რომ ის მოსაფიქრებლად დროს მოითხოვებს“.

ეს გამონათქვამი accusativus cum infinitivo, როგორც დამატება, იხმარება ისეთი ზმნების შემდეგ, რომლებიც აღნიშნავენ „თქმას“, „ფიქრს“, „გრძნობას“ და ამათ მსგავსს. ასეთ ზმნებს, საერთოდ, ეწოდება verba dicendi et sentiendi. ასეთი ზმნებია, მაგალითად:

affirmo ვამტკიცებ	iuro ვფიცავ
aio ვამბობ	memini მახსოვს
animadverto ვამჩნევ	nego უარვყოფ
arbitror ვფიქრობ	nescio არ ვიცი
censeo ვფიქრობ	nuntio ვაუწყებ
cognosco ვტყობილობ	obliviscor ვივიწყებ
credo მრწამს	opinor მგონია
declaro ვაცხადებ	persuadeo ვარწმუნებ
demonstro ვუჩვენებ, ვამტკიცებ	polliceor ვპირდები
dico ვამბობ	puto ვფიქრობ, მგონია
docco ვასწავლი, ვამტკიცებ	respondeo ვუპასუხებ
duco მგონია, ვთვლი	scio ვიცი
existimo ვფიქრობ	scribo ვწერ
ferunt ამბობენ	sentio ვგრძნობ
ignoro არ ვიცი	spero იმედი მაქვს
intelligo მესმის	trado მოვუთხრობ, გადავცემ
indico ვფიქრობ	video ვხედავ და სხვ.

ამის გარდა accusativus cum infinitivo იხმარება ისეთი ცალკეული გამოთქმებისა და ზმნების შემდეგ, რომლებიც „თქმასა“ და „გრძნობას“ აღნიშნავენ. ასეთებია:

1) certiorem facio „ვატყობინებ“, fama est „ხმებია“, „ამბობენ“, memoria teneo „კარგად მახსოვს“, suspicio est „არსებობს ეჭვი“ და სხვა.

2) უპირო ზმნები: apparet „ცხადია“, certum est „ცნობილია“, constat „ცნობილია“ და სხვა.

3) სიხარულისა და მწუხარების აღმნიშვნელი ზმნები: doleo „ვწუხვარ“, gaudeo „მიხარია“, laetor „მიხარია“, miror „მიკვირს“, queror „ვჩივი“ და სხვა.

4) სურვილის მნიშვნელობის ზმნები: volo „მინდა“, cupio „მსურს“, malo „ვამჯობინებ“, nolo „არ მინდა“.

5) ბრძანებისა და აკრძალვის აღმნიშვნელი ზმნები: iubeo „ვბრძანებ“, patior „ნებას ვრთავ“, prohibeo „ვკრძალავ“, „ვაფურხებ“, sino „ნებას ვრთავ“, veto „ვკრძალავ“.

Accusativus c. inf. იხმარება აგრეთვე ზოგიერთი სხვა გამოთქმების შემდეგაც.

მესამე პირის ნაცვალსახელის ხმარება. ცნობილია, რომ მესამე პირის აღსანიშნავად სხვადასხვა ნაცვალსახელი იხმარება: is, ille, sui და სხვა (იხ. ზემოთ §§ 26 და 27. გვ. 46—49). დაკავშირებით იმ დამატებით წინადადებასთან, რომელსაც accusativus c. inf. ეწოდება, უნდა განვმარტოთ აგრეთვე შემდეგიც:

1. ამ წინადადებაში ხომ ქვემდებარე ბრალდებით ბრუნვაშია და, როდესაც ეს ქვემდებარე III პირის ნაცვალსახელით არის გამოხატული, შეიძლება შეგვხვდეს **se, eum, illum,** ან სხვა რომელიმე;

2. როდესაც accusativ. c. inf.-ს ქვემდებარე იგივეა, რაც მმართველ წინადადებაში, მაშინ იხმარება **se**;

3. როდესაც მმართველი წინადადების ქვემდებარე ერთია და accusativus c. inf.-ს ქვემდებარე სხვა, მაშინ accusativus c. infinitivo-ში ქვემდებარე აღინიშნება ნაცვალსახელით eum, illum და სხვ., მაგალითად:

1) **Helvetii iam se ad eam rem paratos esse arbitrati sunt** — „ჰელვეციელებმა ჩათვალეს, რომ **ისინი** უკვე მზად იყვნენ ამ საქმის შესასრულებლად".

მმართველ წინადადებაში ქვემდებარე არის „ჰელვეციელები" („ჰელვეციელებმა ჩათვალეს"); იგივე ქვემდებარეა დამატებით წინადადებაში („რომ ისინი — ე. ი. ჰელვეციელები — უკვე მზად არიან..."),

2) **Medici nunquam aegris dicunt, illo morbo eos esse morituros** — „ექიმები არასდროს არ ეუბნებიან ავადმყოფებს, რომ **ისინი** (ე. ი. ავადმყოფები) მოკვდებიან ამ სენისაგან".

მმართველ წინადადებაში ქვემდებარეა „ექიმები". ხოლო დამატებით წინადადებაში ქვემდებარეა „ავადმყოფები"; ამიტომ ნახმარია **eos** და არა **se**.

3) **Helvetii existimabant, Allobrogibus sese**[1] **vel persuasuros (esse), vel vi coacturos (esse), ut per suos fines eos ire paterentur** — „ჰელვეციელები ფიქრობდნენ, რომ **ისინი** (ე. ი. ჰელვეციელები) ალობროგებს ან დაარწმუნებდნენ, ან აიძულებდნენ, რათა იმათ (ე. ი. ალოგროგებს) ნება დაერთოთ, რომ **მათ** (ე. ი. ჰელვეციელებს) მათ მიწაწყალზე გაეარათ".

აქ ჩვენ გვაქვს **accusativus c. infinitivo** ორჯერ: ერთხელ ის დამოკიდებულია ზმნისაგან **existimabant**, მეორეჯერ — ზმნისაგან **paterentur**. პირველ შემთხვევაში ქვემდებარე როგორც მმართველ, ისე დამატებით წინადადებაში არის „ჰელვეციელები" და ამიტომ ნახმარია **sese**, ხოლო მეორე შემთხვევაში მმართველ წინადადებაში ქვემდებარეა „ალობროგები", ხოლო დამატებითში — „ჰელვეციელები": „რათა **ალობროგებს** ნება დაერთოთ, რომ **მათ** (ჰელვეციელებს) მათ მიწაწყალზე გაეელოთ", და ამიტომ ნახმარია ნაცვალსახელი **eos**.

აქვე დავსძენთ, რომ კუთვნილებით ნაცვალსახელადაც, ანუ მსაზღვრელად ნახმარია **suos**, რაც შეიძლება მიეკუთვნოს მხოლოდ იმ პირს ან საგანს, რომელიც მმართველი წინადადების ქვემდებარეა: **ut per suos fines eos ire paterentur** — „რათა ალობროგებს ნება დაერთოთ, რომ მათ (ე. ი. ჰელვეციელებს, **eos**) გაეელოთ მათ (ე. ი. ალობროგების, **suos**) მიწაწყალზე. ეს განსხვავება **suos** და **eos** ხმარებას

[1] Sese იგივეა, რაც **se**.

შორის უფრო თვალსაჩინო გახდება, თუ ზემომოყვანილ წინადადებას ქართულად ასე გადმოვცემთ: „რათა ალობროგებს ნება დაერთოთ ჰელვეციელებისთვის და **ისინი** (ჰელვეციელები) გაეტარებინათ **თავიანთ** მიწაწყალზე".

4) Ariovistus respondit, non **sese** Gallis, sed Gallos **sibi** bellum intulisse — „არიოვისტემ უპასუხა, რომ მას კი არ დაუწყია ომი გალებთან, არამედ გალებმა აუტეხეს მას ომი".

5) Socrates — „scio, inquit, **me** multa **nescire**; itaque multo sapientior sum, quam homines, qui putant **se** omnia **scire**" — „სოკრატემ თქვა: მე ვიცი, რომ მე ბევრი არ ვიცი; ამიტომ მე უფრო გონიერი ვარ, ვიდრე ისინი, რომლებიც ფიქრობენ, რომ მათ ყველაფერი იციან".

§ 78. Nominativus cum infinitivo. ამ სახელწოდების გამონათქვამი ენათესავება accusativus cum infinitivo-ს; ისიც გვესმის ჩვენ როგორც ისეთი დამატებითი წინადადება, რომელშიც შემასმენელი გამოხატულია განუსაზღვრელი ფორმით (infinitivus), ხოლო ქვემდებარე დასმულია არა ბრალდებით, არამედ სახელობით ბრუნვაში (nominativus). მაშასადამე, **nominativus c. infinitivo შეგვიძლია გავიგოთ როგორც ისეთი დამატებითი წინადადება, რომელშიც ქვემდებარე სახელობით ბრუნვაშია, ხოლო შემასმენელი — ინფინიტივში.**

ეს დამატებითი წინადადება იხმარება იმავე ზმნების („თქმა" და „ფიქრი"-მნიშვნელობის მქონე ზმნების) შემდეგ, რომლებიც აპირობებენ accusativus c. infinitivo-ს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს „თქმა" და „ფიქრი"-ზმნები ვნებითი გვარის ფორმით არის წარმოდგენილი. მაგალითად:

Qui tacet, is consentire v i d e t u r
„ვინც სდუმს, ჩანს, რომ ის თანახმაა".

აქ გამონათქვამი „is consentire" წარმოადგენს nominativus c. infinitivo-ს: ქვემდებარედ მივიჩნევთ სიტყვას „is" („იგი", სახელობითი ბრუნვაა), ხოლო შემასმენლად — consentire (ინფინიტივია). ასეთი გამონათქვამი გამოწვეულია მმართველი შემასმენლით videtur (ვნებითი გვარის ზმნით).

„თქმა" და „ფიქრი"-ზმნებიდან უფრო ხშირად გვხვდება: 1) dicor, existimor, iudicor, putor. videor — ყველა პირში; 2) fertur, feruntur, traditur, traduntur — მხოლოდ მესამე პირში; 3) აკრძალვის ზმნები: iubeor, vetor, prohibeor — ყველა პირში, მაგრამ მათთან ინფინიტივი — მხოლოდ აწმყო დროში.

ქართულად თარგმნის დროს ეს მმართველი შემასმენელი უნდა გადმოვცეთ მოქმედებითი გვარის მრავლობითი რიცხვის III პირით და მას ქვემდებარე არ ექნება, ხოლო ამ მმართველ შემასმენელს მოჰყვება დამატებითი წინადადება („რომ“), რომლის ქვემდებარე იქნება სახელობით ბრუნვაში დასმული სიტყვა და შემასმენელი — ინფინიტივით გამოხატული ზმნა შესატყვის დროში, მაგალითად:

1) Caesar exclamavisse dicitur: «Alea iacta est» — ამბობენ, რომ კეისარმა წამოიძახა: «წილი ნაყარია».

აქ მმართველი შემასმენელია dicitur, რომელსაც ვთარგმნით უპიროდ, მრავლობითი რიცხვის III პირის მოქმედებითი ზმნით („ამბობენ“). ამ მმართველი შემასმენლისაგან დამოკიდებულია nominativus c. infinitivo: Caesar exclamavisse; ვიწყებთ დამატებით წინადადებას („რომ“), რომლის ქვემდებარეა Caesar („კეისარმა“), ხოლო შემასმენელია exclamavisse. ამ უკანასკნელს ვთარგმნით ნამყო დროთი („წამოიძახა“), რადგან მოცემული გვაქვს ნამყოს ინფინიტივი (infinitivus perfecti activi).

2) Homerus traditur caecus fuisse — „გადმოგვცემენ, რომ ჰომეროსი უსინათლო იყო“.

3) Milites urbem obsidere iubentur — „უბრძანეს ჯარისკაცებს, რომ მათ ქალაქს ალყა შემოარტყან“.

§ 79. ირიბი სიტყვა. ინფინიტივს ფართო გამოყენება აქვს აგრეთვე ე. წ. ირიბ სიტყვაში (oratio obliqua). სხვისი ნათქვამის გადმოცემა ხომ ორნაირად შეიძლება: 1) მთქმელის სიტყვები გადმოიცემა პირველი პირით („ვანომ შემოუთვალა პეტრეს: თუ გცალია ჩემთან გამოიარეო), ან 2) მთქმელის სიტყვები გადმოიცემა არა პირველი პირით, არამედ მესამე პირით, ე. ი. დამოკიდებული წინადადების სახით („ვანომ შემოუთვალა პეტრეს, რომ, თუ სცალია, მასთან შეიაროს“). გადმოცემის პირველ სახეს ეწოდება პირდაპირი სიტყვა, ხოლო მეორე სახეს — ირიბი სიტყვა.

ლათინურ ენაში ირიბი სიტყვის გადმოცემისათვის შემდეგი წესი არსებობს: ის, რაც პირდაპირ სიტყვაში იქნებოდა მთავარი წინადადება, ირიბ სიტყვაში გადმოიცემა accusativus cum infinitivo-თი, ხოლო პირდაპირი სიტყვის დამოკიდებული წინადადებები ირიბ სიტყვაშიც რჩებიან იმავე დამოკიდებულ წინადადებებად, მაგრამ შემასმენელი ამ დამოკიდებულ წინადადებებში გამოხატული იქნება კავშირებითი კილოს ზმნებით; დრო კი ამ კავშირებითი კილოს ზმნისა განისაზღვრება „დროთა თანამიმდევრობის“ წესით (იხ. ზემოთ § 73).

მაგალითი (ხაზგასმულია მთავარი წინადადებები, რომლებშიც გვაქვს accusativus c. infinitivo):

Ei legationi Ariovistus respondit: siquid ipsi a Caesare opus esset, s e s e ad eum v e n t u r u m f u i s s e; siquid ille se velit, illum ad se venire o p o r t e r e. Praeterea s e neque sine exercitu in eas partes Galliae venire a u d e r e. quas Caesar possideret, neque exercitum... ...in unum locum contrahere p o s s e (B. G. I, 34) — „ამ ელჩებს არიოვისტემ უპასუხა, რომ, თუ მას კეისრისაგან რაიმე დასჭირდება, ის მასთან მივიდოდა; თუ კი კეისარს იგი ესაჭიროება, ის უნდა მივიდეს მასთან; რომ გარდა ამისა ის უჯაროდ ვერ ბედავს გალიის იმ ნაწილებში მისვლას, რომლებსაც კეისარი ფლობს, არც ის შეუძლია, რომ ერთად მოუყაროს თავი ჯარს...“.

§ 80. მიმღეობა (Participium). ინფინიტივისა არ იყოს, მიმღეობასაც აქვს როგორც ზმნის, ისე სახელის თვისებები.

მიმღეობას ზ მ ნ ი ს შემდეგი თვისებები მოეპოვება:

1) მიმღეობას აქვს დროისა და გვარის ამსახველი ფორმები. ამიტომაც არის. რომ ჩვენ გვაქვს:

Part. praesentis activi: laudans „რომელიც აქებს“, „მაქებელი“.
Part. perfecti passivi: laudatus „რომელიც იქო“, „შექებული“
Part. futuri activi: laudaturus „რომელიც შეაქებს“
Part. futuri passivi: laudandus „საქებელი“.

2) მიმღეობა რომელიმე ზმნისა დამატებას ითანხმებს იმავე ბრუნვაში, რომელ ბრუნვაშიც ითანხმებს დამატებას იმავე ზმნის პირიელი ფორმა:

ა) proficiscitur ad proelium „ბრძოლაში მიემართება“
ბ) ad proelium proficiscentes (B. G. I, 51) „ბრძოლაში მიმავალნი“
ა) scribit epistulam „წერილს წერს“
ბ) epistulam scribens „წერილის დამწერი“.

3) მიმღეობის განსასაზღვრავად იხმარება ზმნისართი:

fortiter pugnans „მამაცად მებრძოლი“
minime resistens (B. G. III, 19) „რომელიც ნაკლებად უწევს წინააღმდეგობას“.

ამავე დროს მიმღეობას აქვს ზ ე დ ს ა რ თ ა ვ ი ს ა ხ ე ლ ი ს თვისებები;

1) მიმღეობა იცვლება სქესის, რიცხვისა და ბრუნვის მიხედვით:

Liscus oratione Caesaris a d d u c t u s proponit „კეისრის სიტყვით გათამამებულმა ლისკუსმა თქვა შემდეგი... (B. G. I, 17).
Helvetii his rebus a d d u c t i... „ამ გარემოებით წაქეზებულმა ჰელვეციელებმა (გადაწყვიტეს)...“.

2) მიმღეობა იხმარება არსებითი სახელის მსაზღვრელად, ზოგჯერ თვითონაც არსებით სახელად იქცევა, მაგალითად: homo sapiens „გონიერი კაცი“, tabula picta „მოხატული დაფა“ (სურათი).

განსაკუთრებით ფართოდ არის გამოყენებული მიმღეობა ორ შემთხვევაში: 1) როგორც **participium coniunctum** და 2) „დამოუკიდებელ აბლატივუსში“.

§ 81. Pariticipinm coniunctum. „დაკავშირებული მიმღეობა“ ანუ part. coniunctum იხმარება სხვადასხვა დანიშნულებით:

1) იგი იხმარება როგორც არსებითი სახელის მსაზღვრელი, მაგალითად: **mulieres flentes** „მტირალი ქალები“, და ამ შემთხვევაში იგი უდრის მსაზღვრელ წინადადებას; **mulieres, qui flent** („ქალები, რომელნიც ტირიან“, ან **mulieres, qui flebant** („ქალები, რომელნიც ტიროდნენ“).

2) მიმღეობა იხმარება როგორც შემოკლებული გარემოებითი წინადადება. მაგალითად: **Curio, hostes fugere arbitratus, copias ex locis superioribus in campum ducit**—„კურიონმა იფიქრა რა (ე. ი. რადგან იფიქრა), რომ მტერი გარბოდა, მაღლობი ადგილებიდან ჯარი დაბლობში წაიყვანა“.

„დაკავშირებული მიმღეობა“ იხმარება აგრეთვე სხვა შემთხვევებშიც.

§ 82. Ablativus absolutus. ლათინურ ენაში გვხვდება ისეთი გამონათქვამი, რომელშიც მოიპოვება მიმღეობა მოქმედებით ბრუნვაში და მასთან შეთანხმებული სახელი იმავე ბრუნვაში. მაგალითად:

Eo opere perfecto praesidia disponit

(„ეს ნაგებობა რომ დასრულებულ იქმნა, კეისარმა სადარაჯო რაზმები ჩააყენა“)

ამ წინადადებაში არის გამონათქვამი „eo opere perfecto“, რომელშიც გვაქვს მიმღეობა „perfecto“ მოქმედებით ბრუნვაში; იგი შეთანხმებულია სიტყვასთან „opere“, რომელიც აგრეთვე მოქმედებით ბრუნვაშია (eo წარმოადგენს მსაზღვრელს სიტყვისა opere). ასეთ გამონათქვამს, რომელშიც გვაქვს სახელი მოქმედებით ბრუნვაში და მასთან ბრუნვაში, სქესში და რიცხვში შეთანხმებული მიმღეობა, ეწოდება **ablativus absolutus** „დამოუკიდებელი აბლატივუსი“.

თუმცა ეს „დამოუკიდებელი აბლატივუსი“ წარმოადგენს გამონათქვამს, რომელიც სხვა წინადადების ერთგვარი ნაწილია, მაგრამ შინაარსეულად იგი იხმარება როგორც შემოკლებული გარემოებითი წინადადება (დროის, მიზეზის, ვითარების, ან პირობითი და დათმობითი წინადადება). და მისი თარგმნის დროს ჩვენ ასე უნდა მოვიქცეთ:

1) აღვადგინოთ გარემოებითი წინადადების კავშირი (როდესაც, რადგან, თუმცა, როგორც კი...);

2) მოქმედებით ბრუნვაში დასმული სახელი გამოვიყენოთ ქვემდებარედ;

3) მიმღეობის ფორმით წარმოდგენილი ზმნა გადავთარგმნოთ პირიელი ფორმით.

ამგვარად. ablativus absolutus წარმოგვიდგება როგორც **შემოკლებული გარემოებითი წინადადება, რომელშიც ქვემდებარე დასმულია მოქმედებით ბრუნვაში, ხოლო შემასმენელი მიმღეობის ფორმითაა და ქვემდებარესთან არის შეთანხმებული ბრუნვაში, რიცხვში და სქესში.**

„დამოუკიდებელი აბლატივუსის" სახეები. არსებობს „დამოუკიდებელი აბლატივუსის" მხოლოდ ორი სახე. ეს სახეები ერთმანეთისაგან განირჩევიან იმისდა მიხედვით, თუ მიმღეობის რომელი ფორმითაა წარმოდგენილი შემასმენელი. შემასმენელი შეიძლება იყოს წირმოდგენილი 1) აწმყოს მიმღეობით (participium praesentis activi) ან 2) ნამყოს მიმღეობით (participium perfecti passivi):

1) **Tarquinio regnante Pythagoras in Italiam venit** („როდესაც ტარკვინიუსი მეფობდა, პითაგორა ჩავიდა იტალიაში").

2) **Eo opere perfecto Caesar praesidia disponit** („როდესაც ეს ნაგებობა დასრულებულ იქმნა, კეისარმა სადარაჯო რაზმები ჩააყენა").

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, შემასმენლის გამოხატვა სხვადასხვა სახის მიმღეობით იმით არის გამოწვეული, რომ ამ წინადადებებში სხვადასხვანაირ მიმართებაში არიან ერთმანეთთან დამოკიდებული და მთავარი წინადადების შემასმენელთა მიერ გამოხატული მოქმედებანი.

პირველ წინადადებაში აღნიშნულია, რომ დამოკიდებულ გარემოებითს წინადადებაში და მთავარ წინადადებაში გამოხატული მოქმედებანი თანადროული არიან:

„პითაგორა იტალიაში ჩავიდა იმ დროს, როდესაც იქ ტარკვინიუსი მეფობდა".

მეორე წინადადებაში მდგომარეობა სხვაგვარია: დამოკიდებულ გარემოებითს წინადადებაში გამოხატული მოქმედება წინ უსწრებს მთავარ წინადადებაში გამოხატულ მოქმედებას:

„კეისარმა სადარაჯო რაზმები ჩააყენა მის შემდეგ, რაც ეს ნაგებობა დასრულებულ იქმნა".

მაშასადამე, როდესაც დამოკიდებულსა და მთავარ წინადადებებში მოქმედება თანადროულია, „დამოუკიდებელ აბლატი-

ვუსში“ შემასმენლისათვის გამოყენებულია participium praesentis; ხოლო, როდესაც დამოკიდებული წინადადების მოქმედება მთავარი წინადადების მოქმედების წ ი ნ ა დ რ ო უ ლ ი ა, „დამოუკიდებელ აბლატივუსში“ შემასმენელი გამოხატულია participium perfecti-ს სახით.

მაგალითები:

Crastino die. oriente sole, redite in aciem — „ხვალ მზის ამოსვლისას დაბრუნდით მწყობრში“.

Pulso fratre Amulius regnat—„როდესაც ძმა დამარცხებულ იქმნა, გამეფდა ამულიუსი“ (ე. ი. ამულიუსი გამეფდა მის შემდეგ, რაც მან დაამარცხა და ტახტიდან ჩამოაგდო ძმა ნუმიტორი).

Omnibus rebus ad profectionem comparatis diem dicunt, qua die ad ripam Rhodani omnes conveniant — „როდესაც ყველაფერი მომზადებულ იქმნა გასამგზავრებლად, დანიშნეს დღე, როდესაც ყველანი როდანის ნაპირას უნდა შეკრებილიყვნენ“.

Regno occupato totius Galliae sese potiri posse sperant — „მათ იმედი აქვთ, რომ მთელ გალიას დაეპატრონებიან, თუ ძალაუფლება იქნება ხელში ჩაგდებული“.

„დამოუკიდებელი აბლატივუსის“ შესაძლებელი განვრცობა. თუ კი ჩვენ ablativus adsolutus-ი პირობითად მივიჩნიეთ შემოკლებულ გარემოებით წინადადებად, შესაძლებელია აგრეთვე მისი განვრცობა დამოკიდებულ გარემოებით წინადადებად. ამისათვის საჭიროა:

1) აღვადგინოთ გარემოებითი წინადადების კავშირი cum;

2) მოქმედებით ბრუნვაში ნახმარი ქვემდებარე დავსვათ სახელობით ბრუნვაში;

3) მიმღეობით გამოხატული შემასმენელი ავიღოთ სათანადო პირიელ ფორმაში.

ამისდა მიხედვით „დამოკიდებული აბლატივუსის“ ორივე სახე წარმოგვიდგება შემდეგი ვრცელი წინადადებებით:

1. Tarquinio regnante Pythagoras in Italiam venit=Cum Tarquinius regnaret, Pythagoras in Italiam venit.

2. Eo opere perfecto praesidia disponit=Cum id opus perfectum esset, praesidia disponit.

„დამოუკიდებელი აბლატივუსის“ პ ი რ ვ ე ლ ი სახე ვრცელ წინადადებაში შემასმენელს გამოხატავს ნამყო უსრულის კონიუნქტივით (coniunctivus imperfecti), ხოლო მ ე ო რ ე სახე — წინარეწარსულის კონიუნქტივით (coniunctivus plusquamperfecti). მაგრამ რადგან პირველ შემთხვევაში ჩვენ გვქონდა აქტივის მიმღეობა (participium praesentis activi), ხოლო მეორე შემთხვევაში — პ ა ს ი ვ ი ს მიმღეობა (participium perfecti passivi), ცხადია, რომ შესა-

ტყვის სრულ წინადადებებში მივიღეთ პირველ შემთხვევაში აქტივის ნამყო უსრული, ხოლო მეორე შემთხვევაში — პასივის წინარეწარსული. მაშასადამე, შეგვიძლია ეს წესი „დამოუკიდებელი აბლატივუსის“ გადაქცევისა ვრცელ წინადადებად შემდეგი სქემით წარმოვადგინოთ:

შემასმენელი	დამოუკიდებელ აბლატივუსში	შესატყვის ვრცელ წინადადებაში
თანადროულობის შემთხვევაში	Part. praesentis activi	Imperfectum coniunctivi activi
წინადროულობის შემთხვევაში	Part. perfecti passivi	Plusquamperfectum coniunctivi passivi

ამ სქემიდან ჩანს, რომ „დამოუკიდებელი აბლატივუსი“ ისეთ შემოკლებულ წინადადებად არის საგულვებელი, რომელსაც ვრცელი წინადადების სახით შეესატყვისება კონიუნქტივით გამოხატული შემასმენლის შემცველი გარემოებითი წინადადება. ასეთი ვრცელი დამოკიდებული გარემოებითი წინადადება კი არის ის, რომელსაც იწვევს კავშირი cum, სახელდობრ, cum historicum. მართლაც, ჩვენ უკვე ვიცით (იხ. ზემოთ, § 74), რომ cum historicum-იან წინადადებაში შემასმენელი შეიძლება გვქონდეს:

Imperfectum coniunctivi, ან
Plusquamperfectum coniunctivi.

პირველი — მოქმედების თანადროულობის შემთხვევაში, ხოლო მეორე — მოქმედების წინადროულობის შემთხვევაში.

„დამოუკიდებელი აბლატივუსი“ შედგენილი შემასმენლით. გვხვდება „დამოუკიდებელი აბლატივუსის“ ისეთი სახე, როდესაც მასში მიმღეობა არა ჩანს, არის მხოლოდ სახელები მოქმედებით ბრუნვაში. ეს ხდება მაშინ, როდესაც შედგენილი შემასმენელი გვაქვს. ავიღოთ, მაგალითად, წინადადება:

Natus est Augustus Cicerone et Antonio consulibus
(„ავგუსტე დაიბადა, როდესაც კონსულებად იყვნენ ციცერონი და ანტონიუსი“).

ამ წინადადებაში გამოთქმა „Cicerone et Antonio consulibus“ წარმოადგენს „დამოუკიდებელ აბლატივუსს“, რომელშიც „Cicerone et Antonio“ ქვეედებარეებს უდრის, ხოლო შემასმენელს შეესატყვისება „consulibus“. ჩვენ რომ ზემოთ მოყვანილი წესის მიხედვით ეს გამოთქმა ვრცელ გარემოებით წინადადებად ვაქციოთ, მივიღებთ:

Natus est Augustus, cum Cicero et Antonio consules essent

ამ გარემოებითს წინადადებაში შემასმენელია „consules essent“, ე. ი. გვაქვს შედგენილი შემასმენელი, რომლის ზმნური ნაწილი (essent), თანახმად ზემოთ მოყვანილი სქემისა, წარმოადგენს imperfectum coniunctivi activi-ს. იმავე სქემის მიხედვით, თუ ვრცელს გარემოებითს წინადადებაში გვაქვს Imperfectum coniunctivi activi, მის შესატყვის „დამოუკიდებელ აბლატივუსში“ უნდა გექონდეს აწმყოს მიმღეობა (Participium praesentis activi). მაგრამ ზმნას sum მიმღეობა არ მოეპოვება და ამიტომაც არის, რომ შედგენილი შემასმენელი consules essent ვერ პოულობს სრულ გამოხატულებას „დამოუკიდებელ აბლატივუსში“: ამ შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი consules ჩადგება მოქმედებით ბრუნვაში (consulibus), ხოლო რადგან essent-ის შესატყვისი მიმღეობა არ არსებობს, ამიტომ შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი „დამოუკიდებელ აბლატივუსში“ ვეღარ იპოვის გამოხატულებას.

სხვა მაგალითები:

1) **Relinquebatur una per Sequanos via, qua Sequanis invitis (=cum Sequani inviti essent) ire non poterant** — „რჩებოდა ერთი გზა (სეკვანელების ქვეყანაზე), რომლითაც ისინი ვერ შესძლებდნენ გავლას, თუ სეკვანელები თანახმანი არ იქნებოდნენ“.

2) **Helvetii legatos ad Dumnorigem Haeduum mittunt, ut eo deprecatore (=cum is deprecator esset) a Sequanis impetrarent** — „ჰელვეციელებმა ედუელ დუმნორიგს მოციქულები გაუგზავნეს, რათა მისი შუამდგომლობით სეკვანელებისაგან ნებართვა მიეღოთ“.

3) **Romani Hannibale vivo (=cum Hannibal vivus esset) nunquam se sine insidiis futuros existimabant** — „რომაელები ფიქრობდნენ, რომ, სანამ ჰანიბალი ცოცხალი იქნებოდა, იმათ მოსვენება არ ექნებოდათ მის ვერაგობათაგან“.

§ 83. სუპინუმი. ზემოთ, მორფოლოგიაში (§ 44, § 58), გარკვეულია სუპინუმის წარმოება და, ზოგადად, მისი მნიშვნელობაც. ამჟამად გვინდა შევჩერდეთ იმაზე, რომ პირველი სუპინუმი წინადადებაში იხმარება მიზნის გამოსახატავად. ასე, მაგალითად, მიზნის გარემოების წინადადება (ut finale)

Multae venerunt bestiae, ut leonem visitarent et salutarent

(„მრავალი ნადირი მოვიდა, რომ ლომი ენახულათ და მისალმებოდნენ“)

შეიძლება გამოითქვას სუპინუმის საშუალებითაც:

Multae venerunt bestiae leonem visitatum et salutatum.

ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველი სუპინუმი გამოყენებულია ლათინურში ზმნის გარემოების წინადადების შესამოკლებლად. მსგავსად ამისა ქართულ ენაშიც მიზნის გარემოების წინადადება შეიძლება შემოკლდეს მყოფადის მიმღეობის მეშვეობით:

მრავალი ნადირი ბოკიდა, რომ ავადმყოფი ლომი ენახათ
მრავალი ნადირი მოეიდა ავადმყოფი ლომის **ხანახავად.**

მაშასადამე, ლათინურ part. perfecti-საგან ნაწარმოებ სახელს, აღებულს ბრალდებით ბრუნვაში (visitatum) ქართულში უდრის მყოფადის მიმღეობა, აღებული ვითარებით ბრუნვაში („სანახავად").

ლათინური მეტრიკა

ábdico 1 უარს ვამბობ, ხელს ვიღებ.

abdico, xi ctum 3 უარს ვეუბნები, ხელს არ ვეწყობ.

ábdo, didi, ditum 3 ვაშორებ, ვაცილებ, ვმალავ.

abdómen, inis სშ. მუცელი.

addúco, xi, ctum 3 მიმყავს (წაყვანა).

ábeo მივდივარ (წასვლა). იხ. **eo.**

abésse იხ. **absum.**

ábhinc აქედან.

abício იხ. **abiicio.**

ábies, ietis დ. ნაძვი.

ábitus, us მ. წასვლა, გასვლა.

abiício, iéci, iéctum 3 ვისვრი, ვყრი, ვაშორებ.

adiúngo, nxi, nctum 3 გამოვხსნი, გამოვუშვებ (ხარს, ცხენს); ვაცალკევებ.

ablátum იხ. **aufero.**

ábnego 1 უარს ვეუბნები, უარვყოფ.

abolésco, óvi 3 ვნადგურდები, ვქრები.

aborígines, um (მრ. რ.) მ. თავდაპირველი ბინადრები, აბორიგენები.

abrúpte მოულოდნელად, უცბად.

abrúptus, a, um დაქანებული, ციცაბო.

abs იგივეა, რაც **a, ab.**

abscído, di, sum 3 ვჭრი (მოჭრა, წაჭრა).

ábsens, ntis არმყოფი, არდამსწრე.

absímilis, e არამსგავსი.

absísto, ábstiti 3 განზე ვდგავარ, ჩამოვრჩები.

absolútus, a, um დასრულებული, სრულქმნილი, დამოუკიდებელი.

absólvo, lvi, lútum 3 გამოვხსნი, ვათავისუფლებ; ვამთავრებ.

abstínco, tínui, téntum 3 ვაკავებ, თავს ვიჭერ, თავს შორს ვიჭერ.

abstráctus, a, um განყენებული.

ábstraho, áxi, áctum 3 განზე მივათრევ; განვაყენებ.

ábstuli იხ. **aufero.**

ábsum, áfui, abésse შორს ვარ, არ ვარ.

absúrdus, a, um არაკეთილხმოვანი: უხამსი, სულელური.

abúndo 1 ვიღვრები; უხვად ვარ: **ámnis abundávit** მდინარე ადიდდა.

ac და.

accédo, céssi, céssum 3 ვეახლოვდები.

accélero 1 ვაჩქარებ; ვჩქარობ.

accéndo, di, sum 3 ვანთებ, ვანათებ.

accéntus, us მ. მახვილი (გრამატ.).

1. áccido, i 3 ვვარდები (დავარდნა); **áccidit** მოხდა, ხდება. [ad, cado].

2, accído, di, sum 3 წავკრი, წავკვეთ. [ad, caedo].

accípio, cépi, céptum 3 ვღებულობ; ვგებულობ, ვტყობილობ.

acclamátio, ónis დ. შეძახილი.

acclámo, 1 შევძახებ (მოწონების ან დაწუნების ნიშნად).

acclívis, e შემაღლებული, ფერდობიანი.

acclívitas, átis დ. მაღლობი, აღმართი.

áccola, ae მ. მეზობელი.

---

[1] შემოკლებანი: **მ.** — მამრობითი სქესი; **დ.** — მდედრობითი სქ.; **ხშ.** — საშუალო სქ.; **მრ.**—მრავლობითი; **რ.**—რიცხვი; s.—sum; porto 1=porto, portavi, portatum, portare.

accómodo 1 შეუგუება, შეუფარდებ.
áccubo, áre გვერდით ემდებარეობა; წამოვწვები.
accúmbo, cúbui/cúbitum 3 ვწვები, წამოვწვები.
accúmulo 1 ვაგროვებ (დაგროვება).
accurátus, a, um გულმოდგინე, ზუსტი.
accúro, cúrri ან **cucúrri, cúrsum** 3 მოვირბენ.
accusátio, iónis დ. ბრალდება.
accusatívus: casus acc. ბრალდებითი ბრუნვა.
accúso 1 ბრალს ვდებ, ვუჩივი.
ácer, ácris, ácre მწვავე, წვეტიანი; მძაფრი.
acérbe სასტიკად, მწარედ; სამწუხაროდ.
acérbitas, átis დ. სიმწარე; უბედურება; სიმკაცრე.
acérbus, a, um მწარე, მძაღე; სამწუხარო, მკაცრი.
acérvus, i მ. გროვა, ზვინი.
acétum, i სშ. ძმარი.
ácidum, i სშ. მჟავა.
ácidus, a, um მჟავე.
ácies, éi წვეტი, პირი; რაზმი; ბრძოლა.
aconítum, i სშ. ბაია (ბალახია), შხამი.
acquiésco, iévi, iétum 3 ვისვენებ.
acquíro, quisívi, quisítum 3 ვეუმატებ, ვიძენ.
ácriter მწვავედ, მძაფრად.
áctio, iónis დ. მოქმედება; სასაჩართლო ძიება.
actívus, a, um საქმიანი; მოქმედებითი (გრამატ.).
áctor, óris მ. მოქმედი, შემსრულებელი; მსახიობი.
actuárius, a, um ადვილად ასამოძრავებელი; სწრაფი; მსუბუქი.
áctus, us მ. ამოქმედება; მოქმედება.
ácumen, inis სშ. წვეტიანი ბოლო, წვეტი.
ácuo, ui, útum 3 ვმახავ, ვლესავ.
ácus, us დ. ნემსი, ქინძისთავი.
acútus, a, um წვეტიანი; მწვავე.
ad (წინდებული **accus.**) -კენ, -თან, მახლობლად, -მდე; მიხედვით; -თვის; დაახლოებით (რიცხვით სახელთან).
a. d. =ánte díem; a. d. V=anté diem quintum ხუთი დღის წინ, ხუთი დღით ადრე.
adáctum იხ. **ádigo.**
adaequo 1 ვათანაბრებ, ვასწორებ; ვუსწორდები.
ádamas,ántis მ. ანდამატი.
ádamo, 1 ვეტრფი; მხიბლავს.
adc... იხ. **acc.**
addíco, xi, ctum 3 მივაკუთვნებ; მივუსჯი.
áddo, didi, ditum 3 ვუმატებ, ვურთავ.
addúco, xi, ctum 3 მიმყავს (მივიყვან); ვაქეზებ.
addúctus, a, um წაქეზებული; პირქუში, მკაცრი.
adémptum იხ. **údimo.**
1. ádeo ამდენად, იმდენად.
2. ádeo მოვდივარ (მოსვლა). იხ. **eo.**
adéquito 1. ვუახლოვდები ცხენით.
adf... იხ. **aff...**
adg... იხ. **agg...**
adhaereo, haesi, haesum 2 ვეკერი, ვემხრობი.
adhaerésco, haesi 3 მიეკვრები, შევეჩხირები.
adhíbeo, bui, bitum 2 მივადებ, დაეურთავ; ვიყენებ (საშუალებას).
adhórtor, tátus s. 1. ვაჭნევებ, ვახალისებ.
ádhuc აქამდე.
adiácco, ére ვეკვრი, ვესაზღვრები,
adício, იხ. **adiício,**
ádigo, égi. áctum 3 მოვრეკ, მოვდენი (საქონელს); მივიყვან -მდე; ჩავსცემ (მახვილს).
adiício, iéci, iéctum 3 ვისვრი; მივუერთებ.
ádimo, émi, émptum 3 ვართმევ.
adipíscor, adéptus s. 3 დაეწევი, ვაღწევ, ხელში ვიგდებ.
áditus, us მ. მოსვლა; მისასვლელი; შემთხვევა.
adiúdico 1. მივუსჯი.
adiúngo, iúnxi, iúnctum 3 ვაბამ (მიბმა), ვუერთებ.
adiúro 1 ფიცს ვდებ.
adiútor, óris მ. **adiútrix** დ. დამხმარე; თანაშემწე.
ádiuvo, iúvi, iútum 1 ვეხმარები.
adl... იხ. **all..**
admatúro 1 ვაჩქარებ.
adminíster, tri მ. მსახური.
administrátio, iónis დ. სამსახური, გამგებლობა.
administrátor, óris მ. განმგებელი, გამგე.
adminístro 1 განვაგებ.
admirábilis, e საკვირველი.
admirátio, iónis დ. გაკვირვება.
admíror, mirátus s. 1 მიკვირს.
admítto, mísi, míssum 3

ვეშვებ (დაშვება, მიშვება); ვღებულობ.

ádmodum ფრიად, ძალიან; დაახლოებით.

admóneo, ui, itum 2 მოვაგონებ; ვაიძულებ; ვარწმუნებ.

admóveo, móvi, mótum 2 ვწევ (მიწევა); ვამოძრავებ; ვუნერგავ.

adn.. იხ. **ann.**

adoléscens, éntis მ. და დ. მოზარდი, ახალგაზრდა.

adolescéntia, ae დ. სიყრმე, ახალგაზრდობა.

adolésco, adolévi, adúltum 3 ვიზრდები.

adóptio, iónis დ. შვილად აყვანა.

adorátio, iónis დ. თაყვანისცემა.

adórior, órtus s. 4 გამოვჩნდები უცბად; დავეცემი ვინმეს; წამოვიწყებ.

adóro 1 ვემუდარები; თაყვანს ვცემ.

adp... იხ. **app..**

adr... იხ. **arr.**

ads.. იხ. **ass...**; **adsc...** იხ. **asc...**

adt... იხ. **att.**

aduléscens იხ. **adoléscens.**

adúlter, tera, terum მრუში, ავხორცი.

adultérium, ii სშ. მრუშობა.

ádveho, véxi, véctum 3 მოვაქვს, ვზიდავ (ცხენით, ეტლით, ნავით).

advénio, véni, véntum 4 მოვდივარ.

advénto 1 ვუახლოვდები.

advéntus, us მ. მოსვლა.

advérsus, a, um მოპირდაპირე; არახელსაყრელი.

advérsus და **advérsum** 1. (ზმნს.) წინააღმდეგ, პირიქით; 2. (წინდებ. **accus.**) წინააღმდეგ.

advérto, rti, rsum 3 მივმართავ, ყურადღებას ვაქცევ.

advocátus, i მ. დამცველი.

ádvoco 1 მოვუწოდებ.

ádvolo 1 მოვფრინდები.

aedes, is დ. ტაძარი; ოთახი; მრ. რ. **aedes, ium** სახლი.

aedifícium, ii სშ. შენობა.

aedífico 1 ვაშენებ.

aedílis, is მ. ედილი.

aeger, gra, grum ავადმყოფი; დამწუხრებული.

aegis, idis დ. ფარი (იუპიტერისა და მინერვასი); მფარველობა.

aegre უგუნებოდ, ძლივს; **aegérrime** დიდის ვაივაგლახით.

aegrótus, a, um ავადმყოფი.

aemulus, a, um მეტოქე, მუყაითი, თავგამოდებული.

aëneus, a, um სპილენძისა.

aequális, e თანაბარი, ტოლი.

aequáliter თანაბრად, ტოლად.

aeque თანაბრად; აგრეთვე.

aequinóctium, ii სშ. ბუნიობა.

aequitas, átis დ, თანასწორობა; წონასწორობა; კმაყოფილება; სამართლიანობა.

aequo 1 მოვასწორებ; გავათანაბრებ.

aequus, a, um თანაბარი; სამართლიანი.

áër, áëris (ბრალდ. **áërem** და **áëra**; ბერძნ. **ἀήρ**) მ. ჰაერი.

aerária, ae დ. მაღარო.

aerárium. ii სშ. ხაზინა.

aerárius, a, um სპილენძისა; ფულისა.

aerátus, a, um სპილენძით (ლითონით) მოჭედილი.

aes, aeris სშ. სპილენძი; ფული; **aes alienum** ვალი.

aestas, aestátis დ. ზაფხული.

aestimátio, iónis დ. შეფასება.

aestimo 1 ვაფასებ; ვთვლი.

aestívus, a, um ზაფხულისა; საზაფხულო.

aestiárium, ii სშ. დაჭიმებული ადგილი; ტბა; ყურე.

aestus, us მ. სიცხე; ზაფხული.

aetas, átis დ. ხანი, დრო; ასაკი.

aetérnitas, átis დ. მარადისობა; საუკუნე.

aetérnus, a, um სამუდამო, საუკუნო.

aether, eris (ბრალდ. **aethera**; **αἰθήρ**) მ. ეთერი, ჰაერი.

aevum, i სშ. საუკუნე, მარადისობა; ასაკი.

1. afféctus, us მ. განწყობილება, გუნება.

2. afféctus, a, um განწყობილი; დაჯილდოებული (რაიმე თვისებით).

áffero, áttuli, allátum, afférre მოვაქვს (მოტანა).

affício, féci, féctum 3 ვმოქმედებ ვინმეზე, გავლენას ვახდენ.

affígo, fíxi, fíxum 3 მივაკრავ, მივამაგრებ, მივაჭედებ.

affíngo, fínxi, fíctum 3 მიეუმატებ; მ ი ვ ა ნ ე რ (ვინმეს რამეს).

affínis, e 1. მოსაზღვრე; 2. ნათესავი.

affínitas, átis დ. ნათესაობა.

affirmátio, iónis დ. მტკიცება, რწმუნება.

affírmo 1 ვადასტურებ, ვამტკიცებ.

afflícto 1 მაგრად ეურტყამ; ვაზიანებ, ვაწვალებ.

afflígo, flíxi, flíctum 3 ვცემ, მივარტყამ, ვმუსრავ.

áfflo 1 ვუბერავ; **áfflat** უბერავს, ქრის.

áffui იხ. **assum.**

áfui იხ. **absum.**

agáso, ónis მ. მეჯინიბე.

ágc, ágcdum ჰო, ეგრე, კეთილი!

ágens, éntis გამომეტყველი; ცოცხალი, მკვირცხლი.

áger, ágri მ. მიწა, ყანა; სოფელი.

ágger, ággeris მ. ყრილი, ნაყარი; ჯებირი.

aggrédior, gréssus s. 3 ვუახლოვდები; ე უ ტ ე ვ (შეტევა).

ággrego 1 დავურთავ, დავუმატებ.

aggréssor, óris მ. თავდამსხმელი, შემტევი.

agitátio, iónis დ. მოძრაობაში მოყვანა; აღძრა.

agitátor, óris მ. ამამოძრავებელი, მდევარი.

ágite ჰო, ეგრე, კეთილი!

ágito 1 მოძრაობაში მომყავს; ვდევნი.

ágmen, minis სშ. გროვა, ბრბო; მწყობრი, ჯარი; ლაშქრობა; **ágmen novíssimum** არიერგარდი.

agnósco, agnóvi, ágnitum 3 ვცნობ, ვაღიარებ.

ágnus, i მ. ბატკანი.

ágo, égi, áctum, ágere 1. ვაკეთებ; 2. ვდევნი; 3. ვაქეზებ; 4. (დროს) ვატარებ; 5. ელაპარაკები.

agrárius, a, um მიწისა, ყანისა.

1, agréstis, e 1. მინდვრისა; სოფლისა, სოფლური; 2. გაუნათლებელი, ტლანქი.

2. agréstis, is მ. სოფლელი, გლეხი.

agrícola, ae მ. მიწისმუშა.

agricultúra, ae დ. მიწათმოქმედება.

aio ვამბობ; **ait** ამბობს.

ála, ae დ. 1. ფრთა, მხარი; 2. ფრთა, რაზმი, ცხენოსანთა რაზმი.

álacer, álacris, álacre მხნე, მკვირცხლი, მხიარული.

alácritas, átis დ. სიმხნე, სიმკვირცხლე.

alárius, a, um გვერდითი, გვერდისა; ფ რ თ ი ს ა, ფლანგისა.

álbeo, albére თეთრი ვარ.

álbidus, a, um მოთეთრო.

álbum, i სშ. ცილა.

álbus, a, um თეთრი.

álces, is დ. ცხენ-ირემი.

álca, ae დ. კამათლის თამაში; წილი, ხვედრი, კენჭი.

álias სხვა დროს; სხვა ადგილას.

álibi სხვა ადგილას; **álibi—álibi** აქ—იქ.

alienátio, iónis დ. დაკარგვა.

alióno 1 მოვიშორებ; განვასხვისებ.

aliénus, a, um უცხო, სხვა; **aes aliénum** ვალი.

álio სხვაგან.

aliméntum, i სშ. საზრდო. იხ. **alo.**

aliquámdiu, aliquándiu ერთ ხანს.

aliquándo ერთხელ, ოდესღაც.

aliquántus, a, um საკმაო, არამცირედი; **aliquánto** გაცილებით უფრო.

áliqui, áliquae, áliquod რომელიმე.

áliquis, áliqua, áliquid ვინმე, რამე.

áliquo სადმე.

áliquot რამდენიმე, ზოგიერთი.

áliter სხვანაირად.

álius, ália, áliud მეორე, სხვა.

allátum იხ. **áffero.**

allegória, ae (*ἀλληγορία*) დ. ალეგორია.

allício, léxi, léctum 3 ვიზიდავ, მივიტყუებ.

álligo 1 მივაკრავ, მივაბამ.

állium, ii სშ. ნიორი.

álmus, a, um მასაზრდოებელი, ნოყიერი.

álo, álui, áltum ან **álitum** 3 ვასაზრდოებ.

álte მაღლა; ღრმად.

álter, áltera, álterum მეორე; **álter—álter** ერთი—მეორე.

altérnus, a, um შენაცვლებითი, ცვალებადი.

altitúdo, dinis დ. სიმაღლე; სიღრმე.

áltus, a, um მაღალი; ღრმა.

alucinátio ან **halucinátio, iónis** დ. ბოდვა.

alúmen, minis სშ. შაბი.

álita, ae დ. ნატი, რბილი ტყავი.
álveus, i მ. 1. გობი; 2. აუზი; 3. სკა; 4. მარაყში.
amábilis, e სასიყვარულო, გულითადი.
amárus, a, um მწარე.
amatórius, a, um სატრფიალო, სასიყვარულო.
amátrix, tricis დ. მოყვარული; საყვარელი (ქალი).
ambáctus, i მ. რაზმელი, მოლაშქრე.
ambíguus, a, um ორაზროვანი, ორპოვი.
ámbio, ambívi ან ámbii, ambítum, ambíre გარშემო დავდივარ.
ambítio, iónis დ. 1. გარშემო სიარული; 2. პატივმოყვარეობა.
ambitiósus, a, um 1. თავს დამტრიალებელი; 2. პატივმოყვარე.
ámbitus, us გარშემო სიარული.
ámbo, ámbae, ámbo ორივე.
ambulatórius, a, um მოსეირნე, მოსიარულე, მოძრავი.
ámbulo 1 დავეხეტები, ვსეირნობ.
amóntia, ae დ. უგუნურება, შეშლილობა.
améntum, i სშ. ღვედი.
amica, ae დ. მეგობარი (ქალი).
amicítia, ae დ. მეგობრობა.
1. amícus, a, um მეგობრული.
2. amícus, i მ. მეგობარი (ვაჟი).
amíssum იხ. amítto.
ámita, ae დ. მამიდა,
amítto, amísi, amíssum 3 ვგზავნი, ვუშვებ; ვტოვებ (გამოტოვება); ვკარგავ.
ámnis, is მ. მდინარე.
ámo 1 მიყვარს.
amoenus, a, um მშვენიერი, სასიამოვნო.
ámor, óris მ. სიყვარული; ámor habéndi მოხვეჭის სურვილი.
ámple უხვად, ბრწყინვალედ; ámplius (შედარ. ხარ.) უმეტესად; non ámplius არა უმეტეს.
amplífico 1 ვაფართოებ, ვაერცელებ.
amplitúdo, dinis დ. სიდიდე; ძალა, ღირსება.
ámplius იხ. ámple.
ámplus, a, um დიდი, დიდებული, ბრწყინვალე.
ampúlla, ae დ. შეშა, ამპული.
amputátio, iónis დ. მოჭრა, მოკვეთა.
ámputo 1 მოვჭრი, მოვკვეთ.
amygdala, ae დ. (ἀμυγδάλη) ნუში.
an ან; თუ.
ánceps, ancípitis ორთავიანი; ორმაგი.
ancílla, ae დ. მხევალი მოსამსახურე.
áncora, ae დ. ღუზა.
ángina, ae დ. კუმშვა, კრუნჩხვა; ანგინა; ángina péctoris გულის ანგინა. შდრ. ango.
ángo, ánxi 3 ვკუმშავ, ვუკერ; ვაწუხებ.
ánguis, is მ. დ. გველი.
ángulus, i მ. კუთხე; წიბო.
angústiae, árum დ. ვიწროები.
angústus, a, um ვიწრო.
ánima, ae 1. სუნთქვა; 2. სული.
animadvérto, rti, rsum 3 ყურადღებას ვაქცევ.
ánimal, ális სშ. ცხოველი.
animális, e სულდგმული, ცოცხალი.
animósus, a, um მხნე, გულითადი.
ánimus, i მ. სული; გონება; სულისკვეთება, ხასიათი.
anísum, i სშ.; anísus, i მ. ანისელი (ბერძნ. ἄνισον).
annáles, ium მ. მატიანე.
annális, e წლიური.
annítor, annítxus s. ან annísus s. 3 მივეყრდნობი, ვემყარები.
annóna, ae დ. წლიური მოსავალი; სერსათი; სურსათის ფასი.
annotátio, iónis დ. შენიშვნა.
annótinus, a, um შარშანდელი.
ánnuo, ui 3 კერს ვუკრავ, ვეთანხმები.
ánnus, i მ. წელიწადი.
ánnuus, a, um წლიური; ყოველწლიური.
ánser, eris მ. ბატი.
ánte 1. (ზმნს.) წინათ, წინ, ადრე; 2. (წინდებ. accus.) წინ, -მდე; ánte diem წინდაწინ.
ántea წინათ.
antecédo, céssi, céssum 3 წინ ვუსწრებ, დავასწრებ.
antecúrsor, óris მ. მოწინავე (ჯარისკაცი, მტრის დასაზვერავად გაგზავნილი).
anté-fero, tuli, látum, férre წინ მიმაქვს; უპირატესობას ვაძლევ.

antémna, ae ან **anténna, ae** დ. ქანდარა.

antepóno, pósui, pósitum 3 წინ ვდგამ; უპირატესობას ვანიჭებ.

ántequam სანამ, ვიდრე.

antevérto, vérti, vórsum 3 ვასწრებ (დასწრება, გასწრება): უპირატესობას ვანიჭებ.

antícus, a, um წინა.

antídotum, i სშ. შხამის საწინააღმდეგო საშუალება.

antíquitas, átis დ. სიძველე; ძველი დრო, ძველი წესწყობილება.

antíquitus ძველად; ძველთაგან, დიდი ხნიდან.

antíquus, a, um ძველი, ძველებური; ანტიკური.

ántrum, i სშ. მღვიმე, გამოქვაბული.

ánulus, i მ. ბეჭედი, რგოლი.

1. **ánus, us** დ. დედაბერი; დიდედა.

2. **ánus, i** მ. ყითა.

ánxius, a, um მხდალი, მშიშარა; შეფიქრიანებული.

aórta, ae დ. (*doρτή*), აორტა.

ápor, ápri მ. გარეული ღორი.

apério, rui, rtum 4 ვაღებ; ვააშკარავებ.

apérte ღიად; აშკარად.

apértus, a, um ღია, აშკარა; ხელმისაწვდომი; გულღია.

ápex, ápicis მ. წვერი, მწვერვალი.

ápis, is დ. ფუტკარი.

apparátus, a, um მომზადებული; კარგად დამუშავებული.

appáreo, ui 2 ნათელი ვარ; ვეახლები, ვემსახურები.

appáret ცხადია რომ.

ápparo 1 ვამზადებ, ვემზადები.

appellátio, iónis დ. ვინმესადმი მიმართვა (სიტყვით, საჩივრით).

1. **appéllo** 1 ვეწოდებ, მივმართავ.

2. **appéllo, áppuli, appúlsum** 3 მოვრეკ, მოვდენი.

appéndix, dicis დ. დანამატი.

appéto. ívi, ítum 3 მივისწრაფვი; ვეტევი (შეტევა).

ápplico 1 მივაყრდნობ; **applicáre cástra** დ:ბანაკება.

appóno, pósui, pósitum 3 მივდგამ; დავერთავ; დავალაგებ.

appórto 1 მომაქვს.

approbo 1 ვიწონებ.

appropínquo 1 ვეახლოვდები.

ápto 1 მოვარგებ; მივდგამ.

áptus, a, um მორგებული; გამოსადეგი.

ápud (წინდ. **accus.**) -თან, -ში, ახლოს.

áqua, ae დ. წყალი.

aquaeductus, us მ. წყალსადენი.

aquátio, iónis დ. წყლის მოტანა.

aquátor, óris მ. წყლის მომტანი.

áquila, ae დ. არწივი.

aquílifer, líferi მ. მედროშე.

áquilo ónis მ. ჩრდილოეთის ქარი; ჩრდილოეთი.

áquor, átus s. 1. წყალი მომაქვს.

aquósus, a, um წყლიანი; წვიმიანი.

ára, ae დ. საკურთხეველი.

aránea, ae დ. ობობა.

arátio, iónis დ. ხენა; სახნავი მიწა.

arátrum, i სშ. გუთანი.

árbiter, tri მ. მოწმე; მომრიგებელი.

árbitror, átus s. 1. ვფიქრობ, მიმაჩნია, ვთელი.

árbor, árboris დ. ხე; **árbor Jóvis** მუხა.

arbóreus, a, um ხისა.

arbúteus, a, um მარწყვისა.

árca, ae დ. 1. ყუთი; ზანდუკი; 2. ბნელი საკანი; კუბო.

arcánus, a, um ფარული, საიდუმლო.

árceo, ui 2 ვაკავებ (შეკავება).

arcésso, ívi, ítum 3 ვიწვევ, მოვეწოდებ.

árcus, us მ. მშვილდი; რკალი, თაღი.

árdens, éntis ცხელი; ფიცხი.

árdeo, ársi, ársum 2 ვიწვი.

árdor, óris მ. სიცხე, გზნება.

árduus, a, um ციცაბო; მაღლა ამართული; ამაყი; ძნელი.

aréna, (haréna), ae დ. ქვიშა; ასპარეზი.

argénteus, a, um ვერცხლისა; მოვერცხლული.

argéntum, i სშ. ვერცხლი.

argílla, ae დ. თიხა.

arguméntum, i სშ. ნათელყოფა; თხრობა; საბუთი.

árguo, árgui, argútum, argúere ნათელვყოფ; ვამხელ.

áridus, a, um ხმელი, მშრალი.

áries, ietis მ. 1. ვერძი; 2. ურნალი (კედლების სანგრევი იარაღი).

arista, ae დ, თავ-თაკი.

árma, órum სშ, იარაღი.

armamẽnta, órum სშ. იარაღი; გემსართაკი.

armatúra, ae დ. მოწყობილობა; იარაღი,

armátus, a, um შეიარაღებული.

arméntum, i საქონელი, ჯოგი.

ármo 1 ვაიარაღებ (შეიარაღება); ვამაგრებ.

ármus, i მ. მკლავი; ბეკი (ცხოველისა).

áro 1 ვხნავ.

arrídeo, rísi, rísum 2 ვუღიმი, ვეცინი.

arrípio, rípui, réptum 3 ხელს ვტაცებ; შევითვისებ.

arrogánter ამაყად; თავხედად.

arrogántia, ae დ. ქედმაღლობა.

árrogo 1 მივითვისებ; დავნიშნავ; ვიშვილებ.

ars, ártis ო. ხელოვნება, მეცნიერება; ხერხი.

árte მჭიდროდ; მაგრად.

artéria, ae დ. ბერძნ. (ἀρτηρία); დ. 1. სასულე; 2. არტერია.

artículus, i მ. სახსარი.

ártifex, ficis მ. ხელოვანი, ოსტატი.

artifícium, ii სშ. ხელოვნება; ხელობა; ხერხი.

ártus, a, um 1. მჭიდრო; 2. უკმარი.

arúndo (harúndo), dinis დ. ღერწამი.

arúspex (harúspex), úspicis მ. მკითხავი (ცხოველის შიგნეულობის მიხედვით).

árvum, i სშ. ნახნავი, ხოდაბუნი.

arx, árcis დ. სიმაგრე; კოშკი.

as, ássis მ. ასი (საზომი, ფული).

ascéndo, ndi, nsum 3 ავდივარ.

ascónsus, us მ. ასვლა.

ascísco, ascívi, ascítum 3 ვღებულობ; მივითვლი.

aséllus, i მ. ჩოჩორი.

ásinus, i მ. ვირი.

aspéctus, us მ. შეხედვა; გამოჩენა, ხედი.

ásper, era, erum მკისე, ხორკლიანი; მკაცრი; მწვავე; ძნელი.

aspício. aspéxi, aspéctum 3 ვუყურებ; ვათვალიერებ, ვიკვლევ.

aspíro 1 ვუბერავ, ხელს ვუწყობ.

áspis, áspidis დ. იქედნე; შხამიანი გველი.

ássequor, assecútus sum 3 დაველევნები; დავეწევი.

assérvo 1 ვინახავ, ვიცავ.

assíduus, a, um 1. მჯდომარე; 2. მყარი; 3. ბეჯითი.

assímilis, e მიმსგავსებელი, მსგავსი.

assimilátio, iónis დ. მიმსგავსება; მსგავსება.

assísto, ístiti 3 ვინმესთან ან რამესთან ვდგავარ; ვეხმარები.

assuefácio, féci, fáctum 3 მივაჩვევ.

assuésco, suévi, suétum 3 ვეჩვევი.

ássum (adsum), áffui, adésse თან ვარ, ვესწრები; ვეხმარები.

assúmo, súmpsi, súmptum 3 ავიყვან, შევიერთებ.

astríngo, ínxi. íctum 3 დაკვრამავ; მოკვრამავ.

ástrum, i სშ. ვარსკვლავი.

at მაგრამ, ხოლო.

átavus, i მ. პაპისპაპა; átavi წინაპრები.

áter, átra, átrum, მექი; შავი.

átque და, -ც.

átrium, i სშ. 1. ატრიუმი (ოთახი, დარბაზი); 2. ანატ. წინაგული.

átrox, ócis საზარელი, საშინელი.

atténdo, téndi, téntum 3 მივმართავ (ყურადღებას, აზრს).

atténtio, iónis დ. ყურადღება.

attéxo, xui xtum 3 მივაქსოვ; დავურთავ.

attíngo, áttigi, attáctum attíngere ვეხები, ხელს ვახლებ.

attóllo 3 აღვმართავ; აღვაფრთოვანებ.

attríbuo, bui, bútum 3 მივანიჭებ, მივაკუთვნებ.

áuctor, óris მ. ავტორი: წამომწყები.

auctóritas, átis დ. ღირსება, ავტორიტეტი; შეხედულება.

auctúmnus, i მ. შემოდგომა.

audácia, ae დ. გამბედაობა; უკმეხობა.

audácter ან audáciter გაბედულად; უკმეხად.

áudax, ácis გაბედული; უკმეხი.

áudeo, áusus sum, audére ვბედავ.
audiéntia, ae დ. მოსმენა.
áudio, ívi, ítum 4 ვისმენ, მესმის.
audítio, iónis დ. მოსმენა.
áufero, ábstuli, ablátum, auférre მიმაქვს (წაღება), ვართმევ.
Aufidus მ. ავფიდი (მდინ.).
áugeo, áuxi, áuctum 2 ვხარდი, ვამრავლებ.
áugmen, minis სშ. ნამატი.
augméntum, i სშ. ნამატი.
áugur, áuguris მ. მკითხავი (ფრინველთა მიხედვით), მისანი.
áuguro 1 ვმისნობ.
augústus, a, um აღზევებული.
áula, ae დ. (αὐλή) ეზო; სასახლე.
áura, ae დ. ნიავი.
áureus, a, um ოქროსი.
auríga, ae მ. მეეტლე.
áuris, is დ. ყური.
auróra, ae დ. განთიადი; აისი.
áurum, i სშ. ოქრო.
auspícium, ii სშ. მკითხაობა.
aut ან.
áutem მაგრამ, ხოლო.
áutor იხ. áuctor,
autúmnus, i მ. შემოდგომა.
auxília, iórum სშ. დამხმარე ჯარი.
auxiliáris, e დამხმარე.
auxiliárius, a, um დამხმარე.
auxílium, ii სშ. დახმარება.
avarítia, ae დ. სიხარბე.
avárus, a, um ხარბი.
áve გამარჯვებით იყავი!
ávcho, avéxi, avéctum 3 მიმყავს, მიმაქვს.
avérto, rti, rsum 3 მივაბრუნებ: თავიდან ვიცილებ.
ávia, ae დ. დიდედა.
ávidus, a, um ხარბი.
ávis, is დ. ფრინველი.
avúncus, i მ. ბიძა (დედის ძმა ან დეიდის ქმარი).
ávus, i მ. პაპა.
áxis, is მ. ღერძი.

Bácchus, i მ. ბახუსი (ღვინის ღმერთი).
bacíllum, i სშ. კნ. ჩხირი.
báculum, i სშ. ჯოხი.
balíneum, ei ან bálneum, ei სშ. აბანო.
bálteus, ei მ. ქერქი; გადასაკერი.
bárba, ae დ. წვერი.
bárbarus, a, um უცხო; უხეში; ბარბაროსი.
básium, ii სშ. კოცნა.
beátus, a, um ნეტარი, ბედნიერი.
belladónna, ae დ. შმაგა.
bellicósus, a, um მამაცი მებრძოლი.
béllo 1 ვომობ.
béllum, i სშ. ომი.
béllus, a, um მშვენიერი, სასიამოვნო.
béne კარგად.
benefícium, ii სშ. სიკეთე, წყალობა.
benevoléntia, ae დ. წყალობა.
benévolus, a, um მოწყალე.
benígnus, a, um გულითადი.
béstia, ae დ. პირუტყვი.
bíbo, bíbi 3 ვსვამ.
bíduum, ui სშ. ორი დღე (bis, dies).
biénnium, ii სშ. ორი წელი (bis, annus).
bilínguis, e ორენოვანი (bis, língua).
bini, ae, a ორ-ორი.
bipedális, e ორ-ფუტიანი.
bipertíto ორად; ორმაგად; ორი მხრით.
bis ორჯერ.
blandítia, ae დ. პირმოთნეობა.
blándus, a, um პირმოთნე.
bombycínus, a, um აბრეშუმისა.
bónitas, átis დ. სიკარგე; სიკეთე.
bónum, i სშ. სიკეთე; დოვლათი.
bónus, a, um (შედ. melior, აღმ. optimus) კარგი.
bóreas, búrcae დ. ჩრდილოეთის ქარი.
bos, bóvis მ. დ. ხარი; ძროხა.
bráchium, ii სშ. (βραχίων) ხელი.
breviárium, ii სშ. მოკლე მიმოხილვა.
brévis, e მოკლე.
brévitas, átis დ. სიმოკლე.
bréviter მოკლედ.
brúma, ae დ. მოკლე დღე (ზამთრისა); ზამთარი.
brumális, e ზამთრისა.
búcca, ae დ. ლოყა.
bucólicus, a, um მწყემსური, სამწყემსო.
búlla, ae დ. ამონაზნექი; ყუა, ბუშტული.
búxum, i სშ., búxus, i დ. ბზა.

Cabállus, i მ. ცხენი.
cacúmen, minis სშ. წვერი, მწვერვალი.
cadáver, eris სშ. ლეში.
cádo, cécidi, cásum 3 ვცემი, ვვარდები.
caecus, a, um ბრმა.

caedes, is დ. დაპობა; მოკვლა; სისხლის ღვრა.
caeléstis, e ზეციური; caeléstes, ium მ. ღმერთები.
caelum, i სშ. ცა.
caena, ae (coena, ae) დ. სადილი.
caepa, ae დ. ხახვი.
caerimónia, ae დ. თაყვანისცემა; მღვდელმსახურება.
caerúleus, a, um ღერჯი, ლაჟვარდი.
caespes, pitis მ. ბელტი.
caesúra, ae დ. გაკვეთა; ცეზურა (ლექსში).
caesus, a, um მოკრილი.
calámitas, átis დ. უბედურება,
cálamus, i მ. 1. ლერწამი; 2. კალამი (საწერი).
cálcar, áris სშ. დეზი.
cálculus, i მ. 1. კენჭი; 2. ანგარიში.
caléndae, árum (kaléndae, árum) დ. თვის პირველი რიცხვი.
cálidus, a, um თბილი; ცხელი.
caligo, gínis დ. სიბნელე.
callíditas, átis დ. ხერხიანობა, უშმაკობა.
callídus, a, um დახელოვნებული; მოხერხებული, თვალთმაქცი.
cálo, ónis მ. მეჯინიბე (ჯარში).
cálor, óris მ. სიცხე, სიმხურვალე.
cálvus, a, um მელტი.
1. calx, cálcis დ. ქუსლი.
2. calx, cálcis დ. კირი.
cámera, ae დ. კამარა.
camínus, i მ. კერა; ბუხარი.
campéster, tris, tre მინდვრისა.
cámphora, ae დ. ქაფური.
cámpus, i მ. ველი.
canális, is მ. არხი, მილი.
cáncer, cáncri მ. 1. ხარიხა; 2. კიბო.
cándeo, ui 2 ბრწყინავ; გავარვარებული ვარ.
cándidus, a, um თეთრად მბრწყინავი; სპეტაკი; ბედნიერი.
cánis, is მ. დ. ძაღლი.
cáno, cécini, cántum 3 ვმღერი.
cánto 1 ვმღერი.
cántus, us მ. მღერა; სიმღერა.
cánus, a, um რუხი; ჭაღარა.
cápax, ácis ტევადი; უნარიანი.
cáper, pri მ. მამალი თხა.
capillus, i მ. თმა.
cápio, cépi, cáptum 3 1. ვღებულობ; 2. ვატყვევებ.
cápra, ae დ. ნეზვი თხა.
cápsa, ae დ. ყუთი.
cápsula, ae დ. კნ. პატარა ყუთი; კაპსულა.
captívus, a, um დატყვევებული; ტყვე.
captus, us მ. 1. ხელის ტაცება; 2. ათვისება.
cáput, cápitis სშ. თავი.
cárbo, ónis მ. ნახშირი.
carbúnculus, i მ. კნ. 1. ნახშირი; 2. ლალი; 3. ძირმაგარა.
cárcer, eris მ. 1. ხარიხა; 2. საკანი.
carco, ui 2. მაკლია (რამე).
carina, ae დ. ხომალდის ხერხემალი; ხომალდი; კორძი.
curiósus, a, um დამპალი.
cármen, minis სშ. სიმღერა, ლექსი.
cáro, cárnis დ. ხორცი.
cárpo, psi ptum 3 ვწუწუტ (მოწუწეტა); ვკიცხავ.
cárrus, i მ. ეტლი.
cárus, a, um ძვირფასი.
cása, ae დ. ჭოხი.
cáseus, ei მ. ყველი.
cássis, cássidis დ. მეზარადი.
castéllum, i სშ. ციხე-სიმაგრე.
cástra, órum სშ. ბანაკი.
cástro 1 ვასაპურისებ; ვასუსტებ.
cásus, us მ. 1. დავარდნა; 2. შემთხვევა; 3. ბრუნვა (გრამატ.).
caténa, ae დ. ჯაჭვი; ბორკილი.
cáuda, ae კუდი.
cáusa, ae დ. მიზეზი; სასამართლო ძიება.
cáute ფრთხილად.
cáutes, is დ. ციცაბო კლდე.
cáutus, a, um ფრთხილი.
cávco, cávi, cáutum 2 ფრთხილად ვარ.
cavérna, ae დ. მღვიმე; ხვრელი.
cávus, a, um გამოფუღრული; ცარიელი.
cédo, céssi, céssum 3 დავდივარ; ეუთმობ.
céleber, célebris, célebre 1. მრავალრიცხოვანი; 2. დიდებული.
célebro 1 ხშირად ვნახულობ; ვადიდებ.
céler, céleris, célere სწრაფი, ჩქარი.
celéritas, átis დ. სისწრაფე.
celériter სწრაფად.
célla, ae დ. ოთახი; უჯრედი.
célo 1 ვმალავ.

cēna, ae (coena, ae) დ. სადილი.

cēno 1 ვსადილობ.

cēnseo, sui. sum 2 ვაფასებ; ვფიქრობ.

cēnsor, ōris ი. შემფასებელი, ცენზორი.

cēnsus, us მ. შეფასება; აღრიცხვა; ქონება.

centēsimus. a, um მეასე.

cēntrum, i სშ. (ბერძნ. κέντρον) ცენტრი.

cēntum ასი.

centūria, ae დ. ასეული, ცენტურია.

centūrio, iōnis მ. ასეულის მეთაური.

cēra, ae დ. ცვილი, სანთელი.

cērasum, i სშ. ალუბალი.

cerātus, a, um გასანთლული.

cērebrum, i სშ. თავის ტვინი.

cērno, crēvi, crētum 3 ვყოფ; ვატყობ, ვამჩნევ.

cērte უთუოდ; რასაკვირველია; დიაღ.

cērtus, a, um ცნობილი; certiōrem fācere შეტყობინება.

cērva, ae დ. ფურ-ირემი.

cērvus, i მ. ირემი.

cēspes, pitis მ. ბელტი.

cēterum თუმცა, კი.

cēterus, a, um დანარჩენი.

ceu როგორც, მსგავსად; თითქოს.

chālybs, bis მ. (χάλυψ) ფოლადი.

chārta, ae დ. ქაღალდი.

chōrda, ae დ. (χορδή) სიმი.

cibārius, a, um საკვები; cibāria, ōrum სშ. სურსათი.

cibus, i მ. საჭმელი.

cingo, cīnxi, cīnctum 3 ვსარტყელავ; ალყას ვარტყამ.

cīnis, cīneris მ. ფერფლი, ნაცარი.

cippus. i მ. 1. საფლავის სვეტი; 2. სამიჯნო სვეტი.

circa 1. ირგვლივ (ზმნს.); 2. ახლოს, გარშემო (წინდებ. accus.).

circēnsis, e საცირკო.

circinus, i მ. ფარგალი.

circiter ახლოს; დაახლოებით.

circūeo იხ. circūmeo.

circūitus, us მ. 1. გარშემო სიარული; 2. მიმოქცევა; 3. წრე.

circulus, i მ. წრე, რგოლი.

circum 1. ირგვლივ მჭლობლად (ზმნს.); 2. ახლოს, გარშემო (წინდებ. accus).

circumcīdo, cīdi, cīsum 3 შემოკვრა.

circumclūdo, clūsi, clūsum 3 გარშემოვარტყამ; შემოვაცლებ.

circumdo, dedi, datum 1 გარშემო ვაცლებ.

circumdūco. dūxi, dūctum 3 გარშემო ვატარებ.

circumeo (circūeo), īvi. ītum, īre გარშემო დავდივარ.

circumfundo, fūdi, fūsum 3 გარშემო ვასხამ; შემოვასხამ.

circumicio, iēci, iēctum 3 ირგვლივ ვისვრი.

circummitto, mīsi, mīssum 3 დავაგზავნი.

circummūnio, munīvi, munītum 4 შემოვღობავ; ვამაგრებ ირგვლივ.

circumplēctor, plōxus s., plēcti გარშემო ვეხვევი; შემოვზღუდავ.

circumsisto, circumsteti 3 გარშემო ვდგები(თ).

circumspicio, spēxi, spēctum 3 გარშემო ვიცქირები.

circumvallo 1 შემოვსანგრავ; ალყას შემოვარტყამ,

circumvehor, vectus s., vehi გარშემო დაედივარ (არაქვეითად).

circumvēnio, vēni, ventum 4 გარშემოვიცვლი, გარემოვიცავ.

circus, i მ. 1. რკალი; 2. ასპარეზი; 3. ცირკი.

cis (წინდებ. accus.) 1. აქეთა მხარეს; 2. განმავლობაში.

cisalpinus, a, um ალპებსაქეთა.

cisrhenānus, a, um რეინის-აქეთა.

citātus, a, um აჩქარებული.

citērior, citērius პირაქეთელი.

cito სწრაფად, სასწრაფოდ.

citra 1. (ზმნს.) აქეთა მხარეს; 2. (წინდებ. accus.) აქეთა მხარეს.

cītro აქეთა მხარეს.

cītrum, i სშ. ლიმონი,

cītrus, i დ. ლიმონის ხე.

cītus, a, um სწრაფი, ჩქარი.

cīvilis, e სამოქალაქო.

cīvis, is მ. დ. მოქალაქე.

cīvitas, ātis დ. 1. მოქალაქეობა; 2. მოქალაქეები; 3. სახელმწიფო.

clādes, is დ. დაღუპვა; დამარცხება.

clam ფარულად.

clāmito 1 ყვირილით ვეძახი.

clámo 1 ვყვირი.
clámor, óris მ. ყვირილი.
clandestínus, a, um ფარული, საიდუმლო.
clárus, a, um ნათელი, ცხადი.
clássis, is დ. 1. კლასი, ფენა; 2. ჯარი; 3. ფლოტი.
cláudo, cláusi, cláusum 3 ვკეტავ.
clásula, ae დ. დასკვნა, ბოლო.
clávis, is დ. საკეტი, გასაღები.
clávus, i მ. ლურსმანი.
clémens, ntis წუნარი, მწყალობელი.
cleméntia, ae დ. წყალობა.
clíens, éntis მ. მორჩილი; კლიენტი.
clientéla, ae დ. 1. კლიენტობა; 2. კლიენტები.
clínicus, i მ. (*κλίνη* „საწოლი") მწოლიარე ავადმყოფი; ავადმყოფის მომვლელი.
clívus, i მ. მაღლობი, ფერდობი.
coacérvo 1 ვაგროვებ.
coáctus, us მ. იძულება.
coagméntо 1 მკიდროდ შევკრავ.
cóctus, a, um მოხარშული.
códex, dicis მ. 1. ხის ტანი; 2. წიგნი.
coelum, i სწ. ცა.
cóëmo, émi, émptum 3 შევისყიდი.
cóeo, có-ii, có-itum, coíre შეეუერთდები.
coepi, coepisse დავიწყე.
coërceo, cui, citum 2 ვაკავებ; აკლავმავ.
cogitátio, iónis დ. ფიქრი, განზრახვა.
cógito 1 ვაზროვნობ; განვიზრახავ.
cognátio, iónis დ. 1. ნათესაობა; 2. ნათესავები.
cognómen, minis სწ. მეტსახელი.
cognósco, cognóvi, cógnitum 3 ვცნობ; ვიცი.
cógo, co-égi, coáctum 3 1. ვაგროვებ; 2. ვაიძულებ.
co-haereo, haesi, haesum 2 კავშირი მაქვს.
cóhors, cohórtis დ. კოჰორტი (ლეგიონის $^1/_{10}$),
cohortátio, iónis დ. შეგონება; გამხნევება.
collátio, iónis დ. თავის მოყრა; შედარება.
colléctio, iónis დ. შეგროვება; მოკლე მიმოხილვა.
colléctívus, a, um კრებითი.
colléga, ae მ. ამხანაგი.
1. cólligo, légi, léctum 3 ვკრებ.
2. cólligo 1 ერთად ვკრავ.
cóllis, is მ. ბორცვი.
collocátio, iónis დ. მოთავსება; გათხოვება (ქალიშვილისა).
cólloco 1 ვათავსებ; გავათხოვებ (ქალს).
collóquium, ii სწ. საუბარი.
cólloquor, locútus s., loqui ვესაუბრები.
cóllum, i სწ. კისერი.
cólo, cólui, cúltum 3 ვუვლი; თაყვანს ვცემ.
colónia, ae დ. ახალშენი.
colónus, i მ. ახალმოშენე; მიწათმოქმედი.
cólor, óris მ. ფერი, იერი.
colúmbus, i მ. მტრედი.
cóma, ae დ. თმა.
combúro, bússi, bústum 3 გადავწვავ.
cómes, cómitis თანამგზავრი.
cómicus, i მ. 1. კომედიების მწერალი; 2. კომიკოსი—მსახიობი.
comítium, ii სწ. ადგილი, სადაც იმართებოდა სახალხო კრება,
cómitor, tátus sum 1 გავყვები, მოვყვები.
commeátus, us მ. მიმოსვლა.
commémoro 1 მაგონდება; ვყვები (მოყოლა).
commendátio, iónis დ. რჩევა, შეამდგომლობა.
comméndo, 1 ვურჩევ; ვშეამდგომლობ.
commentárius, ii მ. commentárii შენიშვნები; მოგონებანი.
cómmeo 1 მივდი-მოვდივარ.
cómminus ხელჩართულ ბრძოლაში; პირდაპირ.
commisúra, ae დ. შეერთება, შეერთების ადგილი.
committo, mísi, míssum 3 ვუშვებ (მიშვება, გაშვება); ვაწარმოებ.
cómmode შესაფერისად, კარგად.
cómmodum, i სწ. ხელსაყრელი პირობები; მარჯვე დრო.
cómmodus, a, um შესაფერისი, ხელსაყრელი.
commoneфácio, féci, fáctum 3 მოვაგონებ.
commóveo, móvi, mótum 2 მოძრაობაში მოვყავს; ვაქეზებ.
communíco 1 ვუზიარებ; მონაწილეობას ვღებულობ.
commúnio, ívi, itum 4 ვამაგრებ.

cómmúnis, e საერთო, საზოგადო.

commutátio, iónis დ. ცვლილება.

cómmúto 1 ვცვლი, ვიცვლი.

comoedia, ae დ. კომედია.

compáctus, a, um მკიდრო, მკვრივი.

1. cómparo 1 ვამზადებ.

2. cómparo 1 ვადარებ.

compéllo, cómpuli, compúlsum 3 ვაგროვებ; ვერეკები.

compéndium, ii სშ. დანაზოგი; შემოკლება.

compério, cómperi, compértum 4 ვტყობილობ.

compilátio, iónis დ. ქურდობა, ძარცვა.

compílo 1 ვძარცვავ.

compíngo, pégi, páctum 3 მკიდროდ შევკრავ.

compléctor, pléxus s. 3 გარშემოვავლებ.

cómpleo, évi, étum 2 ავავსებ; შევასრულებ.

complúres (მ. დ.), **complúra** (სშ.) ბევრნი.

compóno, pósui, pósitum 3 ვაზავებ, ვადგენ.

compórto 1 ერთ ადგილას მიმაქვს.

compositío, iónis დ. შედგენა.

compositor, óris მ. შემდგენელი.

compósitus, a, um შედგენილი.

comprehéndo, di, sum 3 ხელს მოვკიდებ.

cómprimo, préssi, préssum 3 ეკუმშავ, ვუჭერ (მოკერა).

cómprobo 1 ვიწონებ.

conátus, us მ. ცდა, მისწრაფ)ა

concédo, céssi. céssum 3 მივდივარ (წასვლა); ვუთმობ.

concéptio, iónis დ. აღქმა; ჩასახება.

concérto 1 ვებრძვი, ვედავები.

concéssus, us მ. ნებართვა. თანხმობა.

1. concído. cídi, císum 3 ვაპობ; ვკლეტ.

2. cóncido, di 3 ვეარდები.

concílio 1 ვაერთიანებ; ვურჩევ; ვიძენ.

concílium, ii სშ. გაერთიანება; კრება; სახალხო კრება.

concitátor, óris მ. წამქეზებელი; ამშფოთებელი.

cóncito 1 დიდ მოძრაობაში მომყავს; ვაქეზებ.

conclámo 1 ერთად ვყვირ(თ) ; ვძახი, ვიწევ.

conclúdo, clúsi, clúsum 3 ჩავკეტ, დავამწყვდევ; ვასკვნი.

concórdia, ae დ. თანხმობა.

concrépo, pui, pitum 1 ვხმაურობ; ვაჟღარუნებ.

concrétus, a, um შესქელებული; მტკიცე, მაგარი.

concúrro, cúrri, cúrsum 3 მოვრბივარ; ვებმები (ბრძოლაში).

concúrso, 1 ვეტაკები (შეტაკება); დავრბივარ.

concúrsus, us მ. ერთად თავის მოყრა; შ ე ბ მ ა, ბრძოლა.

concútio, cússi, cússum 3 ვარყევ, ვაჟღარუნებ.

condémno 1 მსჯავრს ვდებ; ვკიცხავ.

condénso 1 ვასქელებ (შესქელება).

condício (conditio), iónis დ. მდგომარეობა. პირობა.

condicionális, e პირობითი.

condítio, iónis იხ. condício.

cónditus, a, um დაარსებული.

cóndo, didi, ditum 3 ვაარსებ.

condóno 1 სარჩულად ვაძლევ; ვუთმობ, ვაპატიებ.

condúco, dúxi, dúctum 3 თავს ვუყრი.

confféctio, iónis დ. შესრულება.

confércio, férsi, fértum, 4 ერთად შევყრი, შევაგროვებ.

cónfero, cóntuli, collátum, conférre ერთ ადგილას მიმაქვს.

confféstim დაუყოვნებლივ, მაშინვე.

confício, féci, féctum 3 ვასრულებ (შესრულება); ბოლოს მოვეღები.

confído, físus sum. fídere იმედს ვამყარებ.

confígo, fíxi, fíxum 3 შევკრავ. გადავაბამ: განვგმირავ.

confínis, e მომიჯნავე, მეზობელი.

confínium, ii სშ. საზღვარი.

cónfio=confícior.

confírmátio, iónis დ. დამტკიცება, გამხნევება.

confírmo 1 ვამტკიცებ, ვამხნევებ.

confíteor, féssus sum 2 ვაღიარებ.

cónflagro 1 ვიწვი.

conflícto 1 ვიბრძვი, შევებმი.

cónflo 1 ვაღეიებებ.
cónfluo, flúxi 3; cónfluit ერთვის; cónfluens შესართაი.
cónfúgio, fúgi, fúgitum 3 გაერბიეარ თაეშესაფარს ეეძებ.
confúndo, fúdi, fúsum 3 ვღერი; ერთმანეთში ეურევ.
congrédior, grédsus s., cóngredi ეკრიბები(თ), ვებმი(თ) ბრძოლაში.
congréssus, us მ. ყრილობა; შეხვედრა, შეტაკება.
coniectúra, ae დ. მოსაზრება; განმარტება.
coniício, iéci, iéctum 3 ვყრი ერთ ადგილას; განვმარტავ.
coniúnctim, ერთობლივ.
coniúnctio, iónis დ. 1. კავშირი, ნათესაობა; 2. კავშირი (გრამ.).
coniunctívus, a, um კავშირებითი (გრამატ.).
coniúnctus, a, um დაკავშირებული; ერთგული.
coniúngo, iúnxi, iúnctum 3 ვაერთებ.
cóniunx, cóniugis მ. დ. მეუღლე.
coniurátio, iónis დ. შეთქმულება.
coniúro 1 ფიცს ვდებ(თ), შეთქმულებას ვაწყობ(თ).
cónor, conátus s. 1 ვცდი.
conquiésco évi, étum 3 ვისვენებ.
conquíro, quisívi, quisítum 3 დაეეძებ.
consanguíneus, a, um ერთი სისხლისა, მონათესაეე.
conscéndo, di, sum 3 ავდივარ.
onsciéntia, ae დ. შეგნება.
cónscio, íre შეგნებული მაქეს.
conscísco, scívi, scítum 3 ერთად ვადგენთ; გადაწყეეტილება გამომაქეს.
cónscius, a, um თანამზრახველი, შემცნობი.
conscríbo, scripsi, scriptum 3 ეწერ (ჩაწერა, აღწერა).
cónsecro 1 ვაკურთხებ, შეეწირავ.
conséctor, átus s. 1 მივდევ; დაეედევნები.
consénsio, iónis დ. ერთსულოვნება.
consénsus, us მ. თანხმობა.
conséntio, sénsi, sénsum 4 ეეთანხმები, ეეთანხმდები.
cónsequor, secútus s. 3 მივდევ. ვაღწევ.
consérvo 1 ეიცავ, ეინახავ.
consído, sédi, séssum 3 ეჯდები (ჩაჯდომა), ეთავსდები.
consílium, ii ს. ბჭობა; რჩევა; consílio განზრახ.
consímilis, e სრულიად მსგავსი.
consísto, stiti 3 ვდგავარ, ვდგები (დადგომა), ესახლდები (დასახლება).
consobrínus, i მ. ბიძაშვილი, დეიდაშვილი.
consolátio, iónis დ. ნუგეში.
consólor, átus s. 1 ვანუგეშებ.
cónsonans, ntis დ. თანხმოვანი (ბგერა).
consórtium, ii ს. თანამონაწილეობა, ამხანაგობა.
conspéctus, us მ. მიმოხილვა; in conspéctu თვალწინ.
conspício, spéxi, spéctum 3 ეუცქერი.
cónspicor, átus s. 1 ვამჩნევ, ვხედავ.
conspíro 1 შეთანხმებული ვართ; შეთქმულნი ვართ.
cónstans, ántis მედგრი; მტკიცე.
constánter მედგრად; მტკიცედ.
constántia, ae დ. მედგრობა; სიმტკიცე.
cónstat ცნობილია.
1. constérno 1 ვაშინებ.
2. constérno, strávi, strátum 3 დავდებ, მოეფენ.
constítuo, tui, tútum 3 ვაყენებ (დაყენება), ვადგენ (დადგენა).
constitútio, iónis დ. 1. მდგომარეობა; 2. აგებულება; 3. დადგენილება.
cónsto, stiti, statúrus 1 მტკიცედ ვდგავარ; cónstat ცნობილია.
cónstruo, strúxi, strúctum 3 ვადგენ; ვაგებ.
consuésco, évi, étum 3 ეეჩვევი, ეეგუები.
consuetúdo, dinis დ. 1. ჩვეულება; 2. ნაცნობობა.
cónsul, lis მ. კონსული.
consulátus, us მ. კონსულობა.
cónsulo, súlui, súltum 3 ეთათბირობ, ეეკითხები.
consúlte ან consúlto განზრახ.
consúlto 1 ეეთათბირები.
consúltum, i ს. გადაწყეეტილება.
consúmo, súmpsi, súmptum 3 ეხმარობ, ეხარჯავ, ეფლანგავ.

consúrgo, surréxi, surréctum 3 ვდგები, (ადგომა).
contábulo 1 ფიცრებს ვაფენ.
contáctus, us მ. შეხება; ზეგავლენა.
contágio, iónis დ. შეხება, ზეგავლენის მოხდენა.
contámino 1 ვსვრი, ვბღალავ.
cóntego, téxi, téctum 3 დავაფარებ, გადავხურავ.
contémno, témpsi, témptum 3 არად ვაგდებ.
contémptio, iónis დ. არად ჩაგდება; ზიზღი.
contémptus us მ. არად ჩაგდება; ზიზღი.
conténdo, di, tum 3 ვჯიბავ; ვეჯიდები, ვცდილობ მივაღწიო.
conténtio, iónis დ. დაჯიბვა, შეჯიბრება, შებმა.
conténtus, a, um კმაყოფილი.
contéstor, átus s. 1 ვიმოწმებ.
contéxo, téxui, téxtum 3 ვქსოვ, ვწნავ, ვაერთიანებ.
cóntinens, ntis 1. მომიჯნავე; 2. განუწყვეტელი.
continénter განუწყვეტლივ.
continéntia, ae დ. თავშეკავება, ზომიერება.
contíneo, tínui, téntum 2 მიჭირავს; შევიცავ, continétur ისაზღვრება.
contíngo, cóntigi, contáctum 3 ვეხები; საზღვრად ვარ.
continuátio, iónis დ. გაგრძელება.
contínuo დაუყოვნებლივ,
contínuus, a, um განუწყვეტელი, მუდმივი.
cóntio, iónis დ. კრება.
cóntra 1. (ზმნს.) პირიქით; 2. (წინდებ. accus.) წინააღმდეგ.
cóntraho, tráxi, tráctum 3 ვაერთებ, გადავეკიდები (რამეს).
contrárius, a, um საწინააღმდეგო.
controvérsia, ae დ. დავა.
contumélia, ae დ. შებღალვა, შეურაცხყოფა.
contúsio, iónis დ. 1. მსხვრევა; 2. დაშავება, ნაჟეჟი.
conúbium, ii სშ. ქორწინება.
convalésco, válui 3 ვიკურნები.
convállis, is დ. ხეობა, ქვაბური.
cónvcho, véxi, véctum 3 ჩამომაქვს, ვაგროვებ.
convéllo, vélli, vúlsum 3 მოვგლეჯ; შევარყევ.
convénio, véni, véntum 4 ვიკრიბები(თ), შეთანხმებას ვაღწევ(თ).
convéntio, iónis დ. შეთანხმება, ხელშეკრულება.
convéntus, us მ. კრება, ყრილობა.
conversátio, iónis დ. ურთიერთობა.
convérto, rti, rsum 4 ვატრიალებ, ვაბრუნებ; ვთარგმნი.
convínco, víci, víctum 3 ვამხელ, ვამტყუნებ.
convívium, ii სშ. ნადიმი.
cónvoco 1 ვიწვევ (მოწვევა).
convúlsus, a, um კრუნჩხვითი.
cooptátio, iónis დ. დამატებით არჩევა (კოლეგიის წევრთა).
coórior, órtus s. 4 ამო ვარდნა (ქარისა), გაჩაღება (ომისა).
cópia, ae დ. სიმრავლე;
cópiae, árum ლაშქარი.
copiósus, a, um დოვლათიანი, მდიდარი.
cópula, ae დ. კავშირი; თოკი, ღეღი.
cor, córdis სშ. გული.
córam 1. (ზმნს.) პირადად; 2. (წინდებ. accus.) წინაშე.
córium, ii სშ. კანი, ტყავი.
córnix, icis დ. ყვავი.
córnu, us სშ. რქა, საყვირი; ფრთა (ჯარისა).
córnum, i (სშ.) და cornus, i (დ.) შინდი.
coróna, ae დ. გვირგვინი.
coróno 1 გვირგვინს ვადგამ.
córpus, córporis სშ. სხეული.
corréctor óris მ. გამსწორებელი.
córrigo, réxi, réctum 3 ვასწორებ.
corrúmpo, rúpi, rúptum 3 ვაზიანებ, ვაფუჭებ.
córtex, córticis მ. დ. ქერქი.
córus, i მ. ჩრდილო-დასავლეთის ქარი.
córvus, i მ. ყორანი.
cos, cótis ქვა; სალესი ქვა; ერბო-ქვა.
cósta, ae დ. ნეკნი.
cotidiánus, a, um ყოველდღიური.
cotídie ყოველდღიურად.
cránium, ii სშ. (κρανίον) თავის ქალა.
cras ხვალ.
crassitúdo, dinis დ. სისქე.
crástinus, a, um ხვალინდელი.

crátes, is დ. წნული, კონა,
créber, bra, brum ხშირი; უხვი.
crébro ხშირად.
crédo, didi, ditum 3 მრწამს; ვენდობი.
crémo 1 ვწვავ (დაწვა).
créo 1 ვქმნი, წარმოვშობ; ვირჩევ.
crépo, ui, itum 1: crépat ხმაურობს, ჭრაჭუნობს.
crésco, crévi, crétum 3 ვიზრდები, ვძლიერდები.
créta, ae დ. ცარცი.
crímen, minis სშ. ბრალდება; დანაშაული.
cruciátus, us მ. წამება.
crudélis, e მკაცრი, უწყალო.
crudélitas, átis დ. სიმკაცრე.
crudéliter მკაცრად, უწყალოდ.
cruéntus, a, um სისხლიანი.
crus, crúris სშ. წვივი.
crux, crúcis დ. ჯვარი.
cubículum, i სშ. საწოლი ოთახი.
cubíle, is სშ. საწოლი.
cúbo, ui, itum 3 ვწევარ.
cúius რომლისა (qui).
cuiúsque módi ყოველგვარი,
culína, ae დ. სამზარეულო.
cúlmen, minis სშ. მწვერვალი.
cúlpa, ae დ. დანაშაული; ცოდვა.
cultúra, ae დამუშავება; განვითარება.
cúltus, us მ. 1. დამუშავება; 2. თაყვანისცემა.
1. cum (წინდებ. abl.) -თან, -ურთ.
3. cum (quam) როდესაც; რადგან, თუმცა.
cunctátio, iónis დ. ჯანჯლობა.
cunctátor, óris მ. 1. ფრთხილი კაცი; 2. ჯანჯალი.
cúnctor, átus s. 1 ვაყოვნებ; ვმერყეობ.
cúnctus, a, um ყველა.
cuncátim სოლისებურად, შემჭიდროებული რაზმებით.
cúneus, ei მ. სოლი.
cuniculus, i მ. 1. შინაური კურდღელი; 2. მიწისქვეშა ხვრელი.
cúpa, ae დ. კასრი.
cupíditas, átis დ. სიხარბე.
cupído, dinis დ. წადილი, ტრფობა.
cúpidus, a, um მოსურნე, მოტრფიალე.
cúpio, ívi, ítum 3 მსურს.
cur რატომ.
cúra, ae დ. ზრუნვა.
curátor, óris მ. მზრუნველი.
cúro 1 ვზრუნავ.
currículum, i სშ. გზა, ეტლი.
cúrro, cucúrri, cúrsum 3 მივრბივარ, მივიჩქარი.
cúrrus, i მ. ეტლი.
cúrsus, us მ. რბენა, მიმართულება, გეზი.
cúrvus, a, um მრუდე.
custódia, ae დ. დარაჯობა; დაცვა.
custódio, ívi, ítum 4 ვდარაჯობ.
cústos, ódis მ. დარაჯი.

Dáctylus, i მ. (δάκτυλος) დაქტილი (სალექსო ტერფი — ⏑ ⏑).
dámno 1 დამნაშაედ ვაღიარებ; ვსჯი.
dámnum, i სშ. ზარალი, ზიანი, საურავი.
datívus, a, um მიცემითი ბრუნვა (გრამატ.).
de (წინდებ. abl.) -გან, გამო; შესახებ.
déa, ae დ. ღმერთ-ქალი.
débeo, ui, itum 2 ვალდებული ვარ.
débilis, e სუსტი.
débitor, óris მ. მოვალე.
decédo, céssi, céssum 3 ვშორდები, ვცილდები, (გაცლა).
décem ათი.
decémber, bris, bre დეკემბრისა.
decérno, decrévi, decrétum 3 ვწყვეტ (გადაწყვეტა).
decérto 1 გადამწყვეტ ბრძოლას ვუმართავ.
decéssus, us მ. განშორება, გაცლა; დაკლება (წყლისა).
décet შეფერება.
décido, cidi 3 ვვარდები. ვიღუპები,
décies ათჯერ.
décimus, a, um მეათე.
decípio, cépi, céptum 3 ვიჭერ; ვატყუებ.
declamátio, iónis დ. მჭევრმეტყველად წარმოთქმა.
declarátio, iónis დ. განცხადება, განმარტება.
decláro 1 ვაცხადებ.
declinátio, iónis დ. კანკლედობა (გრამატ.).
declívis, e დამრეცი.
declívitas, átis დ. დამრეცობა; ფერდობი.
decóctum, i სშ. ნახარში.
décor, óris მ. ზრდილობა, ლაზათი.
decrétum, i სშ. დადგენილება.

decumánus, a, um მეათედი (ღვინა); მეათე რაზმისა.

decúrio, iónis მ. ათეულის მეთაური.

decúrro, cúrri ან **cucúrri, cúrsum** 3 ჩავირბენ, მოვირბენ.

decúrsio, iónis დ. ჩარბენა, მორბენა; თავდასხმა.

décus, décoris სშ. სამკაული.

dédecus, dedécoris სშ. 1 უპატიობა. სამარცხვინო საქმე.

dedicátio, iónis დ. მიძღვნა; კურთხევა.

dedítio, iónis დ. დანებება, დაცლა (ციხისა, ქალაქისა).

dédo, dédidi, déditum 3 ვუცლი (დაცლა), გადავცემ.

dedúco, dúxi, dúctum 3 ჩამყავს, გამყავს ძალით; მივაცილებ (პატარძალს); ვათხოვებ (ქალს).

defatigátio, iónis დ. დაღლა.

defátigo 1 ვღლი.

defféctio, iónis დ. ჩამოშორება.

defóndo, ndi, nsum 3 ვიგერიებ; ვიცავ.

defénsio, iónis დ. დაცვა, თავდასხმა.

defénsor, óris მ. მომგერიებელი; დამცველი.

défero, détuli, delátum, deférre 1. ჩამაქვს (ჩატანა); 2. მიმაქვს ცნობები, ვაუწყებ.

deféssus, a, um დაღლილი.

defetigátio, iónis დ. დაღლა.

defício, féci, féctum 3 ვცილდები, ვსუსტდები.

défigo, fíxi, fíxum 3 ჩავარჭობ.

definio, ívi, ítum 4 განვსაზღვრავ: ვამთავრებ.

definítio, iónis დ. განსაზღვრა.

défluo, flúxi, flúxum 3 ჩამოვმდინარებ.

defórmis, e უფორმო, დამახინჯებელი.

defúgio, fúgi, fúgitum 3 გავრბივარ.

degénero 1 გადავგვარდები.

degrédior, gréssus s. 3 ქვეყით ჩავდივარ.

déhinc აქედან.

deício, iéci, iéctum 3 ჩამოვაგდებ.

deiéctus, us მ. 1. ჩამოგდება; 2. დაქანება.

déin ან **deinde** იქიდან, შემდეგ.

deínceps ერთიმეორეზე მიყოლებით.

deínde ან **déin** იქიდან, შემდეგ.

delécto 1 ვასიამოვნებ; **deléctor** მესიამოვნება.

delléctus, us მ. არჩევანი; შეკრება (ჯარისა).

delégo 1 მივეუთითებ; ვგზავნი (დაეალების შესასრულებლად).

déleo, évi, étum 2 ვანადგურებ, ვსპობ.

delíbero 1 ავწონ-დავწონი, მოვიფიქრებ.

délibro 1 ქერქს ვაცლი; ვფცქვნი, ვსხლავ.

delíctum, i შეცდომა, ბრალი.

1. **déligo** 1 ვკრავ, ვაბამ (მიბმა).
2. **déligo, légi, léctum** 3 ვირჩევ (გამორჩევა, ამორჩევა).

delitésco, lítui 3 ვიმალები; თავს ვაფარებ.

demándo 1 ვანდობ.

deménti a, ae დ. უგუნურობა; გონების დასუსტება.

démeto, méssui, méssum 3 მოვთიბავ.

démigro 1 გადავსახლდები.

demínuo, nui, nútum 3 ვამცირებ, ვაკნინებ; ვართმევ.

demíssus, a, um დაცემული (ადგილი); ჩაშვებული.

demítto, mísi míssum 3 ჩავუშვებ; ჩავგზავნი.

démo, démpsi, démptum 3 ვართმევ, ვაკლებ.

demónstro 1 ვუჩვენებ.

démoror, átus s. 1 ვაყოვნებ; ვაჩერებ (შეჩერება).

démum სწორედ, მხოლოდ.

dénego 1 გადაჭრით უარზე ვარ.

déni, ae, a ათ-ათი.

dénique ბოლოს.

dens, déntis მ. კბილი.

dénsus, a, um სქელი.

dentális, e კბილისა; კბილისმიერი (გრამატ.).

denúntio 1 ვუცხადებ, ვატყობინებ.

depéllo, dépuli, depúlsum 3 ჩამოვრეკ; ჩამოვიშორებ; ავიცდენ.

depérdo, pérdidi, pérditum 3 ვკარგავ; ვღუპავ.

depérco, rii, rítúrus, ríre ვიღუპები.

depóno, pósui, pósitum 3 გადავდგამ, გადაედებ; **memóriam depónere** დავიწყება.

depópulor, átus s. 1 ვარბევ.

depórto 1 მიმ ქვს (წაღება).

depósco, popósci 3 დაკითხვით მოვითხოვ.

deprecátio, ónis დ. მუდარა.

deprecátor, óris მ. შუამავალი, ქომაგი.

déprecor. átus s. 1 ვმუდარებით; ვშუამავლობ.

deprehéndo, ndi, nsum 3 ველს ვტაცებ, ვიჭერ.

déprimo, préssi, préssum 3 ვაწევები (დაწოლა); **depréssus** დაწოლილი, დაცემული.

depúgno 1 გაშმაგებით ვიბრძვი.

derívo 1 გადავაგდებ (წყალს); ვაწარმოებ (გრამატ.).

dérogo 1 ვხღუდავ; ვართმევ.

descéndo, ndi, nsum 3 ჩავდივარ; ვეთანხმები.

descénsus, us მ. 1. ჩასვლა; 2. თაედაღმართი.

descríbo, scripsi, scríptum 3 აღვწერ; გადავწერ; გადავანაწილებ.

déseco, sécui, séctum 1 მოვკვეთ.

désero, sérui. sértum 3 ვტოვებ (მიტოვება).

desértor, óris მ. დამტოვებელი; გაქცეული.

desidérium, ii სშ. სურვილი.

desídero 1 ვეტრფი, ვენუკვი.

desídia, ae დ. უსაქმურობა.

desígno 1 დავნიშნავ; ვსაზღვრავ.

desílio, sílui, súltum 4 ჩამოვხტები; გადმოვხტები.

desísto, stiti 3 გადავდგები; შევწყვეტ.

despéctus, us მ. 1. ზევიდან ქვევით ხედვა; 2. ზიზღი.

desperátio, ónis დ. უიმედობა.

despéro 1 სასოწარკვეთილი ვარ.

despício, spéxi, spéctum 3 ვიყურები (ზევიდან ქვევით); არად ვაგდებ.

despólio 1 ვძარცვავ.

destillátus, a, um გამოხდილი (წყალი).

déstino 1 ვამტკიცებ, ვამაგრებ; ვნიშნავ; ვწყვეტ (გადაწყვეტა).

destítuo, ui, útum 3 ცალკე ვდგამ; თავს ვანებებ; ვატყუებ.

destríngo, strínxi, strictum 3 მოვგლეჯ; ვიშიშვლებ (ხმალს).

désum, défui, deésse 1. არ ვარ; 2. არ ვხრუნავ; **désest** არ არის, აკლია.

désuper ზევიდან.

detérior მ. დ. **detérius** სშ. უარესი.

detérreo, ui, ítum 2 ვაშინებ.

detéstor, átus s. 1 ავიცდენ; ვწყევლი.

detíneo, tínui, téntum 2 შევაკავებ.

detrácto=detrécto.

détraho, tráxi, tráctum 3 ჩამოვართმევ, წავართმევ.

detrécto ან **detrácto** 1 თაეიდან ვიცილებ.

detriméntum, i სშ. ზიანი, ვნება.

detrúdo, trúsi, trúsum 3 გადმოვაგდებ, ჩამოვაგდებ.

detúrbo 1 გამოვაგდებ; გამოვდენი.

deúro, ússi, ústum 3 გადავწვავ.

déus, déi მ. ღმერთი.

dévcho, véxi, véctum 3 ჩავზიდავ სადმე; ჩავიყვან (არაქვეითად).

devénio, véni, véntum 4 ჩამოვდივარ; ვაღწევ.

devéxus. a, um დამრეცი.

devínco, víci, víctum 3 საბოლოოდ ვძლევ.

dévoco 1 გამოვიძახებ; ვიშველიებ; ვაგდებ (ხიფათში).

dévoro 1 გადავყლაპავ.

devóveo, vóvi, vótum 2 აღთქმას ვდებ; შევწირავ.

déxter, tra, trum (ან **tera, terum**) 1. მარჯვენა; 2. ბედნიერი.

déxtre ან **déxtere** მარჯვედ.

diaeta, ae დ. (*díaita*) მოწესრიგებელი ცხოვრება; დიეტა.

dialéctos, i დ. (*diálektos*) კილო.

diálogus, i მ. (*diálogos*) საუბარი.

dicio=ditio.

1. díco, díxi, díctum 3 ვამბობ; ვეწოდებ; ვნიშნავ.

2. díco 1 აღვთქვამ; შევწირავ.

dictátor, óris მ. დიქტატორი.

díctio, ónis დ. გამოთქმა; ლაპარაკი.

díctum i, სშ. სიტყვა, ბრძანება.

didúco, dúxi, dúctum 3 გავშლი; ვაცალკევებ.

dies, éi მ. დ. დღე; დრო; ვადა.

diffámo 1 სახელს ვუტეხ.

differéntia, ae დ. განსხვავება.

díffero, dístuli, dilátum, diférre 1. დამაქვს; 2. განვსხვავდები.

difficúltas, átis დ. სიძნელე.

diffído, físus sum, fídere არ ვენდობი.

diffúgio, fúgi, fúgitum 3 გავრბივარ(თ), ვიფანტები(თ).

diffúndo, fúdi, fúsum 3 ვასხამ (დასხმა, ჩასხმა); ვქსაქსავ.

dígitus, i მ. თითი.

dígnitas, átis დ. ღირსება; დამსახურება.

dígnus, a, um ღირსი.

diiúdico 1 მსჯავრს ვდებ.

díligens, ntis ბეჯითი.

diligénter ბეჯითად.

diligéntia, ae დ. სიბეჯითე.

díligo, léxi, léctum 3 ვაფასებ, მიყვარს.

diménsio, iónis დ. გაზომვა; განზომილება.

dimétior, ménsus sum 4 ვაზომავ.

dimicátio, iónis დ. ბრძოლა.

dímico 1 ვიბრძვი.

dimídius, a, um ნახევარი.

dimítto, mísi, míssum 3 ვუგზავნი, ვაგზავნი; ვუშვებ (გაშვება).

díploë, díploës დ. (*διπλόη*) ღრეჩლისებური ნივთიერება.

dirécte პირდაპირ.

diréctus, a, um პირდაპირი.

dírigo, réxi, réctum 3 გავმართავ.

dírimo, rémi, rémptum 3 განვაცალკევებ; შევწყვეტ.

dirípio, rípui, réptum 3 ვაოხრებ; ვძარცვავ.

díruo, rui, rútum 3 ვანგრევ.

dis, dítis (díves, dívitis) მდიდარი.

discédo, céssi, céssum 3 ეშორდები, ვცილდები.

disceptátor, óris მ. მსაჯული.

discépto 1 ვარჩევ დავას.

discérno, discrévi, discrétum 3 ვაცალკევებ.

discéssio, iónis დ. განზე გასელა.

discéssus, us მ. გაშორება, უკან დახევა.

disciplína, ae დ. 1. მოძღვრება; 2. წესი.

discípulus, i მ. მოწაფე (ვაჟი); **discípula, ae** დ. მოწაფე (ქალი).

disclúdo, clúsi, clúsum 3 განვაცალკევებ.

dísco, dídici 3 ვსწავლობ; ვცნობ.

discórdia, ae დ. უთანხმოება.

discrímen, minis ს შ. 1. მანძილი; განსხვავება; 2. გადაწყვეტა; ხიფათი.

discúrsus, us მ. აქეთ-იქით რბენა.

díscus, i მ. (*δίσκος*) დისკო.

discússio, iónis დ. 1. შერყევა; 2. გამორკვევა.

discútio, cússi, cússum 3 ვამსხვრევ; ვსპობ.

disício, iéci, iéctum 3 დავფანტავ; გავფლანგავ.

díspar, díspāris არათანაბარი.

dísparo 1 ვაშორებ, ვყრი (გაყრა).

dispérgo, rsi, rsum 3 ვაბნევ, ვფანტავ.

dispóno, pósui, pósitum 3 ვალაგებ (განლაგება).

disputátio, iónis დ. მსჯელობა; პაექრობა.

dísputo 1 ვმსჯელობ, ვსინჯავ; ვკამათობ(თ).

dissónsio, iónis დ. უთანხმოება.

dissóntio, sénsi, sénsum 4 არ ვეთანხმები.

1. díssero, dissévi, dissítum 3 ვთესავ; ვრგავ.

2. díssero, sérui, sértum 3 ვიძიებ, ვიკვლევ.

dissertátio, iónis დ. გამოკვლევა; მსჯელობა.

dissérto 1 ვიძიებ, ვიკვლევ.

dissímilis, e არამსგავსი.

dissímulo 1 თავს მოვაჩვენებ; ვმალავ.

díssipo 1 ვფანტავ.

dissuádeo, suási, suásum 2 გადავათქმევინებ.

distántia, ae დ. მანძილი.

distínco, tínui, téntum 2 ცალკე მიჭირავს; ვაცალკევებ.

dísto, distáre ცალკე ვდგავარ.

dístraho, tráxi, tráctum 3 მივათრევ აქეთ-იქით.

distríbuo, ui, útum 3 ვანაწილებ.

dítio, iónis დ. ბატონობა.

ditíssimus, a, um უმდიდრესი.

